

K 18 151  
4



# ჭ' ა რ თ უ დ ხედნაწერთა აღწერილობა

I

«მეცნიერება»

# ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

## ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა

ტომი I<sub>4</sub>

შეადგინეს და დასაბუქდალ მოამზადეს:

თ. ბრეზაძე, მ. ქავთარიამ,

ლ. ქუთათელაძე

ელ. მებრეველის რედაქციით



თბილისი  
„მეცნიერება“  
1985

ქახაიძე ხელნაწილები

4Г  
091(47.922)  
კ. 279

წინამდებარე ნაკვეთი შეიცავს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A კოლექციის (საეკლესიო მუზეუმის ყოფილი ფონდის) 100 ხელნაწერის აღწერილობას (№№ 301—400). აღნიშნული კოლექცია ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესია ქართულ ხელნაწერთა კოლექციებს შორის. აღწერილობის IV ნაკვეთი, ისევე როგორც წინა ნაკვეთები, გამოირჩევა მასალის სიძველით, სიმდიდრით, მრავალფეროვნებით და დიდ სამსახურს გაუწევს სხვადასხვა დარგის მკვლევრებს.

ამ ნაკვეთით დასრულდა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის A კოლექციის I ტომის გამოცემა.

ამ ტომის მასალა აღწერეს:

ლ. ქუთათელაძემ	№№ 301—322
მ. ქავთარიაშვილმა	№№ 323—349
თ. ბრეგვაძემ	№№ 350—500

ლ. ქუთათელაძის აღწერილი მასალა გამოსაცემად მოამზადა  
ც. კახაბრიშვილმა.

151817



სწავლანი კეთილმსახურებისანი. 1822

01+289 ფ., 20×16,5, ქაღალდი, წითელ ტყავგადაკრული, ტვიდრული მუყოს ყდა, ოქროს ვარყიანი ჩარჩოთი; ფურცლების კიდებზე ოქროსფერია, მხედრული (სამი სხვადასხვა ხელი), სათაურები და სახედაო ასოები სინგურით; 1822 წ. (104v), გადაწერილი: ოსე გაბაშვილი (104r-v. მესამე ნაწილისა — უცნობია), ლუარსაბ მეღვინეთუხუცესი (274r-დან ბოლომდე, 287v); მთარგმნელი რუსულიდან იოანე ბაზლიძე, შემსწორებელ-გამმართველი გელათის არქიმანდრიტი ზაქარია (1r), დამკვეთი იმერეთის დედოფალი ანნა (104v), ხელნაწერის მოხატულობას წარმოადგენს ოსე გაბაშვილიაგან შესრულებული, მთელ გვერდზე განლაგებული წარწერა მხედრული ასოხვეულით, სინგურით (01v) და კოსმა და დამიანეს გამოსახულება (1v), დაუწერელია: 107rv, 108v, 109rv, 273v, 288v—289v. ხელნაწერი გადაწერილია რუსეთში.

1. „სწავლანი კეთილმსახურებისანი გინა მაგალითნი ქრისტეანეთა კეთილ-მოქმედებანი, გამოკრებულნი მამათ ცხოვრებიდან.

მაგალითნი კეთილ-მსახურებისანი. მოთხრობა ა, კოსმა და დამიანესთვის, უვეცხლოთა მკურნალთა. — წმიდანი ესე ენებათ-დამთმენნი კოსმა და დამიანე იყუნენ ჯორციელად მძანი ურთიერთისანი, ქუეყნისაგან პრომოსასა, აღზრდილნი ქრისტეანობითსა შინა კეთილმსახურებასა. სიყრმიტგანვე განსწავლულნი მკურნალობითსა კელოვნებასა...“ 2r—104r.

შენიშვნები: 1. მამათ ცხოვრებიდან გამოკრებილი „სწავლანას“ I ნაწილი შეიცავს 63 მოთხრობას. გარდა ზემოთ მოტანილისა, ესენია:

„მოთხრობა ბ. სახე მოწყალებისა, თუ ვითარ ჯერ-არს“ (3rv).

„მოთხრობა გ. ღირსისა პამბოსთვის, რომელი ცრემლეოდა ერთისა დედათა-განისათვის“ (4rv).

„მოთხრობა დ. უდაბნოს მოყვარება და უზოგარების მოყვარება“ (4v—6v).

„მოთხრობა ე. შეურაცხება სიმღიდრისა და სიყვარული სიწმიდისა და ქალ-წულებისა“ (6v—8r).

„მოთხრობა ვ. ჭეშმარიტი კეთილ-მოქმედება მჭონებელ არს დიდისა უკუე ძალისა ურწმუნოთასა ზედა“ (8r—9r).

„მოთხრობა ზ. ვითარ წმიდა ალექსანდრე იქმნა ეპისკოპოს კომანსკისა“ (9r—11v).

„მოთხრობა თ. უდაბნოს მოყვარებისათვის“ (11v—13r).

„მოთხრობა თ. ღონისძიება, რათა იქმნეს მტერი მეგობრად“ (13r—14r).

„მოთხრობა ი. საგანი უდაბნოთა, ესე იგი არს რათა ვიტყოდეთ სიტყვათა ჯეროვანთა და შესაბამთა“ (14v—15r).

„მოთხრობა ია. კანონნი სწავლულებისანი ღირსისა მამისა ჩუქნისა პიმენისანი“ (15r—17v).

„მოთხრობა იბ. ჭეშმარიტისა მოღუაწისათვის“ (17v—18r).

„მოთხრობა იგ. სიტყვა ალექსანდრესთვის კოსტანტინუპოლის პატრიარხისა მწველებელთა მიმართ“ (18r—19r).



- „მოთხრობა იდ. წმიდისა ანთიმო ეპისკოპოსისა ნიკომიდისა, რომელმაცაჲ ქრისტეტუს ნებსით თავი თვის მისცა სიკუდილად“ (19v—21v).
- „მოთხრობა იე. მოქცევისათჳს მტანჯველთასა“ (21v—22v).
- „მოთხრობა ივ. კეთილმსახურისა კელონისათჳს“ (22v—23v).
- „მოთხრობა იზ. სასწაული მიხაილ მთავარანგელოსისა კლასეს შინა, რომელ არს ხონას“ (23v—26r).
- „მოთხრობა იმ. ღმერთი მიმღებულობს ჭეშმარიტებით ლოცუაჲს, არა სიმხედველი პირსა ანუ გუამსა“ (26r—27r).
- „მოთხრობა ით. აღრჩევისათჳს სასძლოსა მეფისასა, პულხერიასაგან დისა მისისა“ (27r—28v).
- „მოთხრობა კ. უზრუნველობისათჳს მეფისა და ძმისა თვისისა, მხილება პულხერიასი“ (28v—29v).
- „მოთხრობა კა. თუ რასათჳს იწოდების განახლება ტაძრისა ქრისტეს აღსადგომელისა, რომელიცა არს იერუსალიმს შინა“ (30r—31r).
- „მოთხრობა კბ. ამალეებისათჳს პატიონისა ჭვარისა ცხოველყოფელისა, თუ რასათჳს სახელ-ედვა ანუ დააწესეს“ (31rv).
- „მოთხრობა კვ. ივეისათჳს საქმეთა შინა სარწმუნოებისათა“ (31v—32v).
- „მოთხრობა კდ. განცდა სარგებლად და უდიდესისა შეძინებისათჳს“ (32v—34v).
- „მოთხრობა კე. კაცი სიმდიდრისაგან და პატივისა დაგლახებულო“ (34v—37r).
- „მოთხრობა კვ. კეთილმსახურებისა მისაგებელი“ (37r—39v).
- „მოთხრობა კშ. რამეთუ უსარგებლო არს მათჳს აოცუნად ღეთისადმი ლოცვათა, ვინცა არა მეჭონ არს კეთილთა საქმეთა“ (41v—43r).
- „მოთხრობა კთ. სიმდაბლე ღირსისა რადონესკის იღუმენისა“ (43r—44r).
- „მოთხრობა კი. გულსმოდგინება მოყუსისა ცხოვნებისათჳს“ (44v—46r).
- „მოთხრობა ლა. პატივი უარის-ყოფისა ღეთისა“ (46r—47r).
- „მოთხრობა ლბ. გონება ყრმისა ანუ ჭკუა“ (47r—48v).
- „მოთხრობა ლგ. მისთჳს, თუ რაოდენ ცოცხა არს განკითხვა სხვათა“ (48v—49v).
- „მოთხრობა ლდ. მორჩილებისათჳს“ (49v—50v).
- „მოთხრობა ლე. გულსმოდგინებისათჳს ქადაგებასა შინა“ (50v—53r).
- „მოთხრობა ლვ. ამრამისთას და ძმის ასულისა მისისა მარიაჲსა მოქცევის-თჳს“ (53r—56r).
- „მოთხრობა ლზ. ერთი ოდენ ჭეშმარიტი სარწმუნოება შეურყეველ არს ბოროტ ვნებულებათა შინა“ (56r—57r).
- „მოთხრობა ლმ. თუ ვითარ შეეწევის მიცვალებულთა მოკვსენება და მსახურება“ (57rv).
- „მოთხრობა ლთ. ქცევა იოანე მოწყალისა თვისისა თანა ძმის-წულისა“ (57v—58v).
- „მოთხრობა მ. ქსენებისათჳს სიკუდილისა“ (58v—59r).
- „მოთხრობა მა. კეთილქმარებისათჳს ნიეთთა წყალობად მიღებულისა“ (59r—60v).
- „მოთხრობა მბ. იოანე ოქროპირისა, ევტროპიოსისთჳს, რომელმან ბოროტისა წილ კეთილ უყო მას“ (60v—62r).
- „მოთხრობა მგ. სახელისათჳს თუ რამასათჳს ეწოდა იოანეს ოქროპირი“ (62r—v).
- „მოთხრობა მდ. მიუწოთმელობისათჳს სამართოთა მსჯავრთასა“ (53r—65r).
- „მოთხრობა მე. სიციოტლისა და სიკუდილისათჳს კაცთასა, იაკუბი ღირსისა ვარლამისა“ (65r—66v).
- „მოთხრობა მვ. ამფლოქესთჳს იკონის ეპისკოპოსისა სიტყუსყოფა პირის-პირ თეოდოსის ბერძენთა მეფისა“ (66v—67v).
- „მოთხრობა მზ. წმიდისა გრიგორი აკრაკანტიის ეპისკოპოსისა, რაჲმს ცილჳ შესწამეს მას მღუდელთა მისთა“ (67v—69r).
- „მოთხრობა მძ. მოქცევა წმიდისა დიდისა ქალწულმოწამისა ეკატერინისი“ (69r—74r).

„მოთხრობა მთ. პეტრე ალექსანდრიისა პატრიარქისათჳს რომელმანცა თავი თჳსი ნებსით მისცა ქრისტესთჳს სიკუდილად, რათა დააცხროს შფოთისა ამბოხება“ (74r—75v).

„მოთხრობა ნ. სინანულისათჳს წმიდისა იაკობისა“ (75v—78r).

„მოთხრობა ნა. მდიდართათჳს და გლახაკთა. იგავნი ღირსისა ვარლამისა“ (78r—80r).

„მოთხრობა ნზ. სულგრძელებისათჳს ღმრთისა“ (80r—82r).

„მოთხრობა ნგ. სასყიდელი მოწყალებისა“ (82r—84r).

„მოთხრობა ნდ. ფილარეტისათჳს, ვითარ სერი უმზადა გლახაკთა“ (84r—85r).

„მოთხრობა ნე. საქმეთათჳს კაცობრივთა. იგავნი ღირსისა დანიილისა“ (85r—v).

„მოთხრობა ნვ. შემოქმედი თჳსთა დაბადებულთ შორის იხილვების“ (86r—89v).

„მოთხრობა ნზ. მაგალითი მოწყალების მიცემისა“ (89v—92r).

„მოთხრობა ნმ. წმიდისა ნიკოლოსისა, რომელმან დააცხროს შფოთი და ამბოხება“ (92r—93r).

„მოთხრობა ნთ. თუ ვითარ უბრალოება თავისუფალ ჰყოფს სასიკუდიროსა პატივთაჲს“ (93r—94r).

„მოთხრობა ნი. წმიდისა ამბროსისთჳს, რაჲამს აღირჩიეს ეპასკოპოსად მედიოლანისა“ (94r—96v).

„მოთხრობა ია. პირუთენულობა წმიდისა ამეროსისა“ (96v—101v).

„მოთხრობა იბ. მწყემსმთავრისა ამეროსისთჳს, რომელმან მიაცა კეისრისა კეისარსა და ღუთისა ღთსა“ (101v—103v).

„მოთხრობა იგ. ჭეშმარიტი დიდება“ (103v—104r).

2. უძღვის: ა. ასოხვეულით შესრულებული წარწერა ოსე გაბაშვილისა, რომელიც იკითხება ასე:

„ორბელითთა ასულმან უმალესმან იმერთა დედოფალმან ანნამან მიბრძანა სახსოვრად სასარგებლოდ სულიერთა მკითხველთათვის და აღწერე“ (01v).

ბ. ანდერძი ზაქარია გენათელი არქიმანდრიტისა. — „მაგალითნი კეთილმსახურებისანი, გამოკრებული მამთ ცხოვრებიდან, რომელი ესე ვითარგმნა რუსულთ ქართულსა ზედა ენასა სიბრძნის-მოყუ(არ)ესა ქართულსა იოანეს ვისმე ბაზლიძეს პერეოჩიკსა. გარნა უჩუქველობისათჳს ჩუქნ ენათა ქართულთასა, არა თანასწორ-დადებულებათა ლექსთასა წყობილ ვყავ და განვმართე ჩუქნისამებრ ენისა ქართველთასა მე, მდაბალმან არხიმანდრიტმან გაენათისამან ზაქარია. რათა უცხადეს იყოს ცნობად ყოველთა მიერ წარმკითხულთა და სწავლის მოყუარეთაჲს.“

წელსა ჩუქბ, თთუქსა ნოემბერსა ა“ (1r).

გ. კოსმა და დამიანეს გამოსახულება შემდეგი წარწერით: „წმიდაა კოსმა და დამიანე, რომელთა მადლი კურნებათანი მიიხვენით და მიპაფენთ ქრვეულთა სიმრთელესა. საკრველნი მკურნალნი, მოხდეთა თქვენთა დაიფარეთ სულით და ქორციით უმალესი იმერთა დედოფალი ანნა“ (1v).

3. ერთვის: ა. „საძიებელი მოთხრობათა“ (105r—106v). ამავე საძიებლის ნაწილი განმეორებულია (108r—ზე).

ბ. ანდერძი გადამწერისა. — „მათს უმალესობას, ჩემს ქელწიფას იმერთა დედოფალს ანნას, ორბელითთა ასულს ებრძანა. გადაწერა წიგნისა ამის და აღწერე მე, ზახარია მოძღურის ძემან, პროთოიერმან ოსე გაბაონმან.“

გარდა ამისა, ექსორიობასა შინა რუსეთს ბელედოროდის ქალაქსა, მონასტერსა წმიდისა ნიკოლოსისასა, აღწერე ორი სამოკიჭეულო, ორა დიდი მეტადრასი, ერთი კონდაცი, წლის წმიდის იამბიკოდ თქმული იოანე პეტრიწისა, ერთი კლემასკი, ერთი ყამნი მისის თვეებით, სხვა ლოცვები, დაუჭლომელი, პარაკლისი იესო ტკიბილი. ოთხნი ესენი აღწერე და ჭერეთ კიდევ აქ ვართ მადლითა

ღვთისათა დაცულნი. შ მე, ვითარ გამაგრდა მე მწირობა ჩემი! უელთა ქრისტესით ჩუკბ, დეკენბრის კ“ (104v).

ბ. ტექსტის დასასრულს მოთავსებულია ოსე გაბაშვილის ხელრთვა (104r).

4. ხელნაწერში არა გვაქვს ამავე ხასიათის თხზულების მეორე ნაწილი, ხოლო მესამე ნაწილი, დამოუკიდებელი თავფურცლით, გამოყოფილია ცალკე და გადაწერილია სხვა ხელით. ეს ნაწილი შეიცავს 87 მოთხრობას.

5. როგორც გადაწერის ანდერძიდან ჩანს, ხელნაწერი რუსეთშია გადაწერილი.

2. „სო ლ ა კ ე თ ი ლ მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს ა. მოთხრობა 1. დაწყება წირვისა წმიდისა დიდის ვასილის მიერ. — წმიდა განმანათლებელი ქრისტესი, ვასილი დიდი სთხოვდა უფალსა...“ 111r—269v.

შენიშვნები: ა. გარდა ზემოთ მოტანილისა ამ III ნაწილში წარმოდგენილია შემდეგი თხრობები:

1. „აღსრულება ანუ გარდაცვალება ვასილი დიდისა (112r—114r).
2. „ძალი სახელისა იესოჲსა. მოთხრობა ღირსისა ილიაი, ეკვიპტის მეუღაბნოჲსა“ (114r—115r).
3. „მეგობარნი ქრისტეს სარწმუნოებისამებრ“ (115v—117v).
4. „რუსეთის ამბროსი“ (117v—122r).
5. „პირუთნოება შეერთებული პატრიარქისმცემლობითა“ (122r—123v).
6. „ახლის აღთქმის ელისი“ (123v—124r).
7. „არა ჭერ-არს თვისთა კეთილ-მოქმედებათათვის მალალ მწხრველობა“ (124v—126v).
8. „შრომა და ლოცუა“ (126v—127v).
9. „მეუღაბნო და წარმართ ბრძენნი“ (128r-v).
10. „საზოგადო კანონი მთავართათვის და მშობელთა, გინა მამათა სახლელისათა“ (128v—130r).
11. „პატრიარქის მოყვარება უდიდესისა მეუღაბნოთა შორის“ (130r—131r).
12. „თან ვნებულება შეცდომილთადმი“ (131v—132r).
13. „კეთილგონიერი ღმობიერება და სიმშვიდე კელქვემეთთადმი, გინა მონათა, არს კეთილ-მოქმედებ[ა] მთავრისა შორის და უფლისა“ (132r-v).
14. „დიდება ქველის საქმისა“ (133r-v).
15. „სირცხვილულ-ყოფილი ცილის წამება“ (133v—136r).
16. „გვაჯიობა, დაკრძალვად კეთილისა უკუჲს სახელისა მოყვასისათა“ (136r—137v).
17. „მისთვის, რომელ ნიჭიერებისა სათანადო არს ხმარებად მხოლოდ სარგებლობისათჳს მოყუასათა“ (138v—140r).
18. „მისთვის, თუ რაოდენ საყვარელ არიან ღმრთისადმი კეთილმოქმედებანი სახლელებათანი“ (140r—141v).
19. „ძალი მეგობრულისა აღერსისა და საუბრისა“ (141v—143r).
20. „სიყუარული საგანთადმი ძულგებულთა და სიძულვილი საგანთადმი საყვარელთა“ (143v).
21. „ქალწულება წმიდისა მოწამისა ეფქრასისა“ (144r—145v).
22. „მისთვის, თუ რაოდენ მწარე არს ნაყოფი ურჩებისა“ (145v—147v).
23. „მისთვის, თუ რაოდენ ცოდვა არს მსუბუქ-გონიერებით მიღება სიტყვისა უფლისა“ (147v—150r).
24. „მმადლობა ახლად განათლებულთა დიდისა ევთიმისადმი“ (150r—154r).
25. „სამკვიდრებელი მამულისა“ (154v—156r).
26. „ჩვენება გრიგოლი ღვთის-მეტყუელისა სიჭაბუკესა შინა თვისსა“ (156r—157v).
27. „უხილავი მარჯვენე, გარემიქცევი სასიყუდილო ზარგანჩილებისა გრიგოლი ღვთისმეტყუელისაგან“ (157v—159v).
28. „განცდა თავისა თვისისა“ (159v—160r).
29. „სიმშვიდე და თვით მქებელობა“ (160v).
30. „რაჲსა გამო დაწყებულ-არს დღესასწაული სამთა განმანათლებულთა ვა-

- სილი დიდისა, გრიგოლი ღვთისმეტყუელისა და იოანე ოქროპირისა“ (160v—162v).
31. „მთურულგებელი მცველი ქრისტეს სარწმუნოებისა“ (162v—165r).
  32. მგრძნობელთა წმიდის აგაქიასი საპყრობილესა შინა“ (165r—166v).
  33. „უძლეველი შემწე და მეობი“ (166v—167v).
  34. „ლოცუთა ბედნიერებისათვის მტერთასა“ (168r—169r).
  35. „მისთვის, თუ რაოდენ მაცხოვრებითი არს არა სმენად ცილის წამებია საკუთარად სამღვდელთა ზედა“ (169r—170r).
  36. „ძალი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა“ (170v—172v).
  37. „სალმობა და კურნება ვერცხლისა მოყუარისა“ (172v—173v).
  38. „ძალი მშობელთა ლოცვისა“ (174r—176v).
  39. „მოწამე შემწე მწვალებელისა“ (176v—178r).
  40. „სული ფუცვისა“ (178r—179v).
  41. „სიყუარული მამულისადმი შორის მძვინვარეთა მტარვალთა (178v—181r).
  42. „მტრობა და მეგობრობა დიდისა თავადისა მონოზნისა თანა“ (181r—183v).
  43. „აღმსარებელი წმიდისა სამებისა“ (183v—186r).
  44. „დათმენა წმიდისა მელეტისა“ (186r—189r).
  45. „დიდება და ქება წმიდისა მელეტისა“ (189r—191v).
  46. „წარმოებისათვის წესისა შემზადებდა კოლიოსი, ხსენებისათვის წმიდისა დიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისათა“ (191v—193v).
  47. „სინანული ცოდვილისა“ (193v—197v).
  48. „სხვაობა დანაშაულისა“ (197v—198v).
  49. „კორციელი და სულიერი განრთულობა“ (198v—200v).
  50. „კაცთ-მოყვარება განშორებულისა“ (198v—199v).
  51. „ღირსი მომაკუდავი“ (200v—201r).
  52. „შრომის მოყვარენი მემარხულენი“ (201r—202r).
  53. „ქრისტიანებრივი ძმათ მოყვარება“ (202r—205r).
  54. „მამა და შვილი შორის სატანჯველისა“ (205v—208r).
  55. „წამება ორმოცთა მხედართა სევასტიანესა ტბასა შინა ქრისტესთვის აღსრულებულთა“ (208r—210v).
  56. „უშიშარი მხედარი ქრისტესი“ (210v—212v).
  57. „ჩჩვილი ზეგარდამო კელითა აღზრდილი“ (212v—214v).
  58. „მაღლი ხილვისათვის წმიდათა ადგილთა“ (214v—216v).
  59. „წყალობა უფლისა წყალობისა წილ გლახაკადმი“ (216v—220r).
  60. „მისთვის, თუ რაოდენ ძნელ არს ბრძენისა მთავრისა თვისცა თნებად თვი ზნეობისა კელ-ქვეშეთასა“ (220r—221v).
  61. „ძალი მორჩილებისა“ (222r—223r).
  62. „უღირსად მიმღები მღვდელობისა“ (223r—224r).
  63. „მხილებული მტაცებელი“ (224r—v).
  64. „სარგებლობა მოხსენებად კეთილსა შინა მიცვალებულთა“ (225r—226r).
  65. „კეთილ-მოქმედი მეუღაბნოე“ (226r—227r).
  66. მონაზონნი, დამღებნი სულისა თვისისა ღვთისა ეკკლესიისათვის და ძმათა თვისთა“ (227v—230v).
  67. „უძლეველი საპურველი პირის-პირ მტერთა ხილულთა და უხილავთა“ (231r—233r).
  68. „ღვთისა შურის-გება დევნულისა უბრალოებისათვის“ (233r—235r).
  69. „მონაზონი, რომელმანცა წინასწარმეტყულებრ ამხილა დიდ შემძლესა მემობოხსა“ (235v—238r).
  70. „განრჩევა იოვანე მეუღაბნოჲსა მიღებასა შინა მისდა კომსკულთასა“ (238r—239r).
  71. „შეურყველობა ქრისტეს აღმსარებელისა“ (239v—241r).
  72. „მისთვის, თუ რაოდენ მაცხოვრებით არს ცხოვრება სიწმინდობითა გულისათა და არცა განკითხვად სხვათა“ (241r—242v).
  73. „მსჯავრი უწყალოსი“ (243r—v).



74. „წინასწარ დაკრძალვა ახალგაზრდა კაცთათვის“ (243v—244r).  
 75. „ივლიანეს სიბოროტე ქრისტიანეთა ზედა და შურისგება ლუთისა მიერ მას ზედა მივლენილი“ (244r—247v).

76. „სხვისნი და სხვათა ცოდუანი“ (248r-v).

77. „ჩვენება ღირსისა ზოსიმესა ზედღრისათვის ნოვაგოროდის დიდებულთა“ (248v—251r).

78. „სიწმიდე სეფისკვერისა“ (251r-v).

79. „მადლობა განტეველელისა მონისა“ (252r-253r).

80. „ნაცვალგებითი მოწყალება“ (253r—254r).

81. „ძალი და ძლიერება ჯვარისა უფლისათა“ (254r—255r).

82. „სასწაულ-მოქმედებითი ძალი წმიდათა ხატთა“ (255r—257v).

83. „გიორგი ძლევაშოსილი“ (257v—162r).

84. „დაუცხრომელი ლოცუა“ (262r—263r).

85. „დიდი პერმის მოციქული“ (263r—267v).

86. „ფიცი, რომლისაცა შესაძლო არს დარღვევა“ (267v—269v).

ბ. უძღვის თავფურცელი: „სხოლა კეთილ-მსახურებისა, გინა მაგალითნი ქრისტიანობითა კეთილ-მოქმედებათანი, გამოკრებილი წმიდათ მამათ ცხოვრებათაგან, ნაწილი მესამე, სტამბა მეორე, ს.-პეტერბურღსა შინა, ბრძანებითა უწმიდესისა და უმმათეველესისა სინოდისათა, წელსა 1817-სა, ხოლო რუსულიდგან ქართულსა ენასა ზედა თარგმნილი პერეველჩიკის იოანეს ბაზლიძის მიერ, წელსა 1823-სა.

ყოველნი მოთხრობანი საღმრთონი ინებენ სმენად და იგავნა მეცნიერებისანი, რათა არა ილტვიან შენგან“ (ისო ზიარაჟი, თა[ვ], 6, მუ[ხ], 35) (110r).

ერთვის: სარჩევი თხრობათა (270r—273v).

გ. I, III ნაწილში თხრობათა ტექსტიდან ადგილები განმარტებულია.

დ. იხ. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 201, 287.

მ. აქვეა მოთავსებული: 1. „ხატება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუქნისა იესო ქრისტესი ანუ გამოწერილი ძველთა რომაელთა კელით წერილთაგან...“ (274r—275v). 2. „განჩინება ქრისტეს ზედა. — 1550 წელსა, კონსტანტინეპოლის, იერემიას პატრიარხობის ეამსა, განცხადნა განჩინება ესე პონტოელისა პილატეს მიერ გამოცხადებული...“ (275v—277r). 3. „მეორე ეპისტოლე, მიწერილი ქრისტეს იესოს მიერ. — ნეტარ ხარ შენ ავგაროზ და ქალაქი შენი...“ (277v—279v). 4. „პირი წიგნისა წარვლინებულისა იერუსალიმით ტიბერიოს იმპერატორისა მიმართ უბუღიო ლენტულო მთავრისგან ურისტანისა იესო ქრისტესთვის...“ (279v—281r). 5. „ნაშთი ეკლესიურის ისტორიისგან ევსევი ეპისკოპოსისა პალესტინის კესარიისა. ისტორია ედესიისა მფლობელისათჳს (წიგნი ა. I. თავი იგ 13). — ღუთაებრიობაი უფლისა და მაცხოვრისა ჩუქნისი იესო ქრისტესი საკურველთ-მოქმედებითისა ძალისა მიერ მისისა ცხადქმნილ ყოველთა ერთა შორის“ (281r—283v). 6. „პირი წერილისა იესოსაგან პირველი მიწერილისა ავგაროზის მთავრისა მიმართ და წარვლინებულისა ანანიას მიერ მალესრბოლისა. — ნეტარ ხარ შენ ავგაროზ, რამეთუ გრწმუნე მე, არა მზილველსა ჩემსა...“ (283v—286r). 7. „ნაშთი ისტორიისაგან გიორგი კედრინისა, კელით უქმნელისათჳს ხატისა იესო ქრისტესისა (წიგნი ა, ფურცელი რვე). — ეამსა ქუყნად ცხოვრებისა ქრისტეს, ჰეშმარტისა ლუთისა ჩუქნისასა, იყო ვინმე მფლობელი ედესია ქალაქისა, სახელით ავგაროზ...“ (286r—287v). 8. „რუსულიდგან. წმიდა გერმანე პატრიარხისაგან განხილვითა. — ოდესცა ცაში გამოჩნდა ურმის თუალი და ოთხ-პირნი ერთად შეთვისებულნი, ეს ოთხი პირი ესრედ ინიშნებთან, ესე იგი: ლომისა, ზეარაქისა, კაცისა და არწივისა...“ (288r).

ანდერძი (ერთ-ერთი ვადამწერისა): „გადიწერა ივლისის კჳ 27 დღესა, ჩყაბ 1862 წელსა. ვადამწერილ არს პორუჩიკის ლუარსაბ მელვინეთოცოვისა მიერ“ (286v).

მინაწერები: 1. „შემდგომად დედოფლის ანნას ვარდაცვალების დეიდე დიმიტრიმ კოსტანტინე ბატონიშვილასაგან“ (01r).

2. „წიგნი ესე იურომონახის ნაკონ ჯობინაშვილისა. წელსა ჩყავსა, იანოსის 20-სა“ (01r).

**შენიშვნა:** პირველ მინაწერში სახელი „დიმიტრიმ“ ჩაწერილია სხვა მელნი-  
 თა და სხვა ხელით (შდ. დიმიტრი ბაგრატიონის მინაწერებს საბას  
 ლექსიკონის ერთ-ერთი ნუსხის — H 95-ის უკანასკნელ გვერდზე). ანა დედოფ-  
 ლის ვაჟის კოსტანტინე ბატონიშვილის აგან წიგნი შექმნილია  
 დიმიტრი ბაგრატიონის მიერ.

## 302

## „განჩევისათვის საზოგადოდ კაცთა სახისა“. XIX

30 ფ., 20,4×16,3; მოლურჯო ქაღალდი, ლურჯოლენკორგადარული ახალი  
 ყდა; აქვს თეთრი საცაი ფურცლები. ზედა ყდასთან ძველი საცაი ფურცელი  
 დაცულია; დაზიანებული (პირველ ფურცელს ქვედა კუთხე მოხუცი და ტექს-  
 ტის ნაწილი დაკარგული აქვს. მელნის ჰარბი სიმეფის გამო ტექსტს გადაკრავს  
 ვანგის ფერი); ბოლონაკლები, აკლია 3 ფ. 29—30 ფურცლებს შორისა; მხედ-  
 რული (სათურები და საზედაო ასლები სინგურით); თავებთა გასაყოფად ვასშუ-  
 ლია ხაზები; XIX საუკუნის დასაწყისი (ქაღალდის დამზადების თარიღი: 1813).

„განპრჩევისათვის საზოგადოდ კაცთა სახისა. ა. — პირუშლი და ღირსი გან-  
 ხილუა ამათ სხსა დ სხსა ჰაზრებისა არს ფეროვნებანი, მეორე — სახენი და  
 სიდიდე, და მესამე — თსება ამა ერთა შორის...“ გვ. 1—66.

წყდებდა: „... როგორც გვქმენია ამა დიდ-ტანოვანთა კაცთა გამო, ამა-  
 თა ჰქვიანთ პატალონი, რომელნიცა სა...“ (თავიდან: „მაღელანიჩესკის ადგილ-  
 თა გარემოს მცხოვრებელთათვის).

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერი თარგმნილია რუსული ენიდან. 2. მოარგმნელს  
 თავის მხრივ დაუმტებია თავები: „ქართულთათვის“ და „ჩერქეზთა და მენგ-  
 რელთათვის“ (112r-v), გარდა ამ ჩანამატისა, წიგნში წარმოდგენილია და დახასია-  
 თებული გარეგნობა და ზნე-ჩვეულებანი სხვადასხვა ხალხებისა, ეს თავებია:  
 „თათართათვის“, „კიტაიელთა ანუ ჩინელთათვის“, „იაპონელთათვის“, „კაკთა, კუ-  
 დისა მქონებელთათვის, „ინდელთა ანუ მალთონთათვის“, „მოლოღელთათვის“, „სპარს-  
 თა ანუ ყიზილბაშთათვის“, „არაბთათვის“, „ეგვიპტელთა ანუ მისირელთათვის“, „ეგვი-  
 ვარიისა საზოგადოთა ანუ ბარბაროსთა ერთათვის“, „ოსმალთათვის“, „პურათათვის“,  
 „ბერძენთათვის“, „ეგრობელთა ერთათვის“, „იტალიელთათვის“, „ლიმპანელთათვის“,  
 „პორტუგალელთათვის“, „ჭრანცულთათვის“, „ინგლისთა ანუ ანლიელთათვის“,  
 „ლოლანდიელთათვის“, „ნემცთათვის“, „შვედელთათვის“, „დატჩანელთათვის“, „როსსი-  
 ელთათვის“, „ეთიოპელთათვის“, „აკრიდოჭაიელითათვის“, „შვეითათვის“, „ერთა  
 მათთვის, რომელნიცა არიან პირველი ჩამომავლობანი ნელრნი სენგელაღისანი“,  
 „ნელრთათვის ზელუნაღისათა“, „ლუნეისა ნელრთათვის“, „ნელრნთა კონლოზისა-  
 თა“, „ერთა მათთვის, რომელნიცა არიან მეორისა ჩამომავლობისანი ლოტტენ-  
 ტონი“, „ნატალისა სოფალისა და მონომოტებისა ერთათვის“, „ერთა მათთვის, რო-  
 მელ არიან მოზამბიჩესკის კერძობისანი“, „კუნძულთათვის მადალასკარისათა“,  
 „ამერიკისათვის — სწორითვან დაწყებულთა ამერიკისა ერთათვის“, „დაჯისის ტბის  
 მცხოვრებელთა ერთათვის“, „ერთა მათთვის, რომელ არიან ლუდსონის ტბისა,  
 ხოლო კუალად აღმოსავლეთის ლაბრადორის ქუჩენისანი“, „შვეიცერთა კაცთა-  
 თვის“, „ერთა მათთვის ამერიკანელთა, რომელნიცა არიან მექსიკისა და პერსა ში-  
 ნა“, „შვეიცურთა ქლორიდელთა და სხუთა სამკრეთისა მკარესა ზედა მკშრალთა  
 ჩრდილოეთის ამერიკისა შინა მცხოვრებელთა ერთათვის“, „ლუკაის კუნძულთა  
 შინა მცხოვრებელთა ერთათვის“, „კარაბინთა ერთათვის“, „ინდიისა ერთა ხილთა  
 შინა მცხოვრებელთათვის“, „მაღელანიჩესკის ადგილთა გარემოს მცხოვრებელ-  
 თათვის...“

3. ტექსტიდან კიდევ გატანილია ზოგიერთი სიტყვა და ახსნილია დავით  
 რექტორის მიერ.

4. ხელნაწერს აქვს რიცხვობრივი პაგინაცია. აგრეთვე ანბანური თავთა სა-  
 თვალავი. 29—30 ფურცლებს შორის აკლია მზ—ნზ თავები. წყდება ნდ თავზე

5. „განჩევისათვის კაცთა სახისა“ რუსული ენიდან უთარგმნია დავით ჭანანოვსკი. იხ. ტრ. რუხაძე, რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 287. ამავ თხზულებას შეიცავს S 207-ც (იხ. იქვე).

## 303

## ორბელიანი სულხან-საბა. „სამოთხის კარი“. 1701

90 ფ., 20,8×11; ქალაღი, შეტყავაგადაკრული მუყაოს მკვრივი ყდა (ახლად აკინძული), აქვს თეთრი საცავი ფერცლები; ნაკლები (აქლია ფ. ფ. 55—56, 83—84-ს შორის); მხედრული (ავტოგრაფი), [1701 წ.], ტექსტი ნასწორებია ავტორისაგან (ჩაკრულია ქალაღის ვიწრო ნაჭრები ჩასწორებებით); ზოგი ადგილი ამოშლილია (იოანა ხელაშვილის მიერ), დაუწერელია: 37v, 48v, 79v, 82r, 85r-v, 87v—88r. აქვს ჰვირნიშანი.

„სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ. — საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათჳს, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი.“

სარწმუნოებისათჳს მართლისა და უბიწოსა შჯულისა. რომელი მოგვეცა წმიდათა მამათა მიერ. —

მოძღვარმან ჰკითხა ყრმასა ვისმე ვითარმედ: შენ ვინ ხარ?

ყრმამან მიუგო და პრქუა: ქრისტიანე.

მოძღვარმან: რა არს ქრისტიანობა?

ყრმამან: რათა გურწმენეს მართალ-მადიდებლობის სარწმუნობა...“

1r—31v.

შენიშვნა: გარდა კითხვა-მიგებით გამართული „საქრისტიანო მოძღვრებისა“ ანუ „სამოთხის კარისა“, ამ ხელნაწერში (საბას უბის წიგნაკში), მისივე ხელით შეტანილია შემდეგი მასალა:

1. „შვიდნი ფსალმუნნი შეწყალე ბისანი. ფსალ. ვ. — უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე...“ (32r—35r).

2. „ლოცვანი ცოდვათა მისატევებელნი გამოკრებულნი. ლოცვანი შეიღთა ეკლესიათანი ხუთთა წყლულებათათჳს ქრისტესა ცოდვათა მიტევებისათჳს სათქმელნი. — უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, სარწმუნოება აღაორძინე...“ (35r—373r).

3. „ლოცვა მიცვალებულთათჳს. — მართლმადიდებელს რა სულთებრძოდენ ა მამათ ჩუენო, ა გიხაროდენი, ა დიდება ვინც თქვას, დიდი მადლია...“ (38r—42v).

4. „აღთქმა ქრისტიანეთა, რომელთა ენებოს სწავლებად კეთილთა გზისა ჟამსა სიყუდლისასა. — მე, სახელით ესე აღვიარებ წინაშე წმიდისა ანგელოზისა ჩემისა, ვინათგან ღმერთმან მოწყალებითა თჳსითა დამსახა მუცელთა შინა დედისა ჩემისასა...“ (43r—46v).

5. „შენობის წიგნი წმიდის პაპისა რომაელისა, მიტევებისათჳს ცოდვილთა მონაწულთა. — კრიალესონთა, ჯვართა და ხატთა ოქრო იჯოს თუ ვერცხლი, თუ რომელიც ნივთიანისა, რომელი კვირათა შინა ერო გზის ქრისტეს კრიალესონს ანუ ღვთისმშობლის კრიალესონსა ანუ სავარდის მესამედსა... განასრულედეს...“ (47r—48r).

6. „ლიტანია ყოვლად წმიდისა. — კრიალესონ, ქრისტე ელეოსონ ქრისტე ისმინე ჩემი, ქრისტე შეისმინე ჩუენი...“ (49r—54r).

7. სახარებათაგან გამოკრებილნი ლოცვანი: „ლოცვა სიმართლისათჳს დევნულთაგან, ლოცვა სასუფეველის მრავალ სავაჰროთა თხოვისათჳს, ლოცვა თხოისა და კარის რეკისა და ძიებისათვის, ლოცვა უმცოდნის თხოვისათვის, ლოცვა ქვეყნიერის სავანის თხოისათჳს, ლოცვა ღლეუი აღტეხ-

სათვს, ლოცვა ეშმაკისაგან დაცვისათვს, ლოცვა სულიერთა სამკალთათვს, ლოცვა ტერითმძიმეთაგან, ლოცვა უქმისა სიტყვისა ლტოლვისათვს...“ (55რ—62ვ).

უძღვის: „წს სახარებათაგან გამოკრებულთა ლოცუთა საიხებელნი“ (55რ-ვ).

8. „თ თ ვ ე ნ ი. ა პ ა ნ ს ა, რომელ არს იანვარი. — ა. წინა დაცუტთა უფლისა. ბ. სტეფანეს წარგზავნა. გ. პაპის იოანეს წარგზავნა...“ (63რ. დასახელებულია 31 პირი).

ს ა რ წ ყ უ ე ნ ი ს ს ა, რომელ არს ფებერვალი. — ა. ეგნატი ეპისკოპოსი ანტიოქიისა. ბ. მიგებება უფლისა. გ. ვასილი ეპისკოპ. და ლუვისა ქვრივისა...“ (63ვ. დასახელებულია 28, ამოშლილია — 10).

მირკანსა, რომელ არს მარტი. —

ა. კოზიმირი აღმსარებლისა. ბ. კოლეთა ქალწული[სა]. გ. თომა აქვინელისა...“ (64რ. 31 დასახელებია, აქედან 16 ამოშლილია, ზოგიც შესწორებული, შეცვლილი).

ი გ რ ი კ ა ს, რომელ არს აპრილი. —

ა. ფრანჩისკოს პავლაელისა. ბ. თეოდორე ეპისკოპ., ბიკენტი დომინიკანისა. გ. ლეონ პაპისა...“ (64ვ. 30 დასახელებია, ამოშლილია 15).

ვ ა რ დ ო ბ ი ს ა ს, რომელ არს მაისი. —

ა. ფილიპე და იაკობ მოციქულთა. ბ. ათანასე ეპისკოპ. ალექსანდრიელი. გ. პოვნა პატიოსნისა ჭუარისა...“ (65რ. 31 დასახელებიდან ამოშლილია 9, გადაკეთებულია 7).

მ ა რ ი ა ლ ი ს ს ა, რომელ არს ივნისი. —

ა. მარჩილიონოს და მოყვასთა მისთა. ბ. ბრიმოს და ფელიქსიონო ზოწამეთა. გ. მარგალიტა სკოციის დედოფლისა...“ (65ვ. 30 დასახელებია. ამოშლილია 11).

თიბისას, რომე არს ივლისი. —

ა. მარკელე მოციქულისა და მოწაფისა. ბ. ელისაბედის მოკითხვა მარიამისაგან. გ. იაკინთე მოწამისა...“ (66რ. 31 დასახელებია).

ქველთობისა, რომელ არს აგვისტოსი. —

ა. პეტრეს შეპყრობა და განტევება მისივე. ბ. სტეფანე პაპისა. გ. სტეფანე დიაკუნის ნაწილთ აღმოყვანება...“ (66ვ. 31 დასახელებია).

ა ხ ა ლ წ ლ ი ს ა, რომელ არს სექტემბერი. —

ა. აბბა ეგაიოსი. ბ. ანტონიოს მოწამისა. გ. იევფემია და მოყვასთა მისთა...“ (67რ. 30 დასახელებია).

სოვლისას, რომელ არს ოქტომბერი. —

ა. რემიჯიოს ეპისკოპოსისა. ბ. მფარველი ანგელოზისა. გ. კონდიდოს მოწამისა...“ (67ვ. 31 დასახელებია).

ტირისკონსა, რომელ არს ნოემბერი. —

ა. ყოველთა წმიდათა. ბ. ყოველთა სულთა მიცვალბულთა. გ. აბერთიოს ეპისკოპოსისა...“ (68რ. 30 დასახელებია).

ტირისდენსა, რომელ არს დეკემბერი. —

ა. ბანბინოს ქალწულასი. ბ. ბიბიანა ქალწულასი. გ. ფრანციკოს ქსავერიოსი აღმსარებლისა...“ (68ვ. 31 დასახელებია).

9. „ლოცვა საეარდისა განწესებულთ. — წმიდამა მარიამ ღმრთისმშობელმან მოცა საეარდის კრიალესონი წა თომა აქვინელსა დომენიკანს მამასა...“ (69რ—73ვ).

„სავარდედან“ მოტანილია: „პირველი — ხარებისათვს მარიამ ყოვლაწმიდისა“, „მეორე — სინხარული ელისაბედის მოკითხვისათვს“, „მესამე — საიდუმლო შობა უფლისა“, „მეოთხე — საიდუმლო სვიმეონისაგან მირქმისათვს“, „მეხუთე — საიდუმლო ტაძარში პოვნისა“.

„ხუთნი საიდუმლონი ქრისტეს ვნებისანი: პირველი — სისხლის ოფლით გესამანიას მტილში ლოცვისათვს“, „მეორე საიდუმლო — ვნებისა სვეტზედ დაბნა და შოლტით ცემა“, „მესამე საიდუმლო — ეკლის გვირგვინის დადგმა“, „მეოთხე საიდუმლო — ოდეს ჭვარი აჰკიდეს“, „მეხუთე საიდუმლო — ჯვარტმა“.

„ხუთნი საიდუმლონი დიდებისანი: პირველი საიდუმლო — აღდგომისათვს“, „მეორე საიდუმლო — ამაღლება ზეცად“, „მესამე საიდუმლო —

სულისწმინდის მოსვლა, „მეოთხე საიღუმლო — ყოვლად წმინდის მიცვალება“, „მე-  
 ხუთე საიღუმლო — ყოვლად დაგვირგვინება“.

10. „ლოცვა სრვის მოსვლის განრომისათვის. — ვარსკვლავ-  
 მან ცისამან, მაწუნებელმან მაცხოვრისამან, აღმომგზავრელმან მომხრელებისა სიკუ-  
 დილისამან, რომელი პირველ ადამ, მამამან ჩვენმან, მოგვაცყვა, მანვე ვარსკვლავ-  
 მან გვიქსნეს მომსპოვრელისა ამისგან, რომელი მძინეარედ ბრძავს ერსა წრტიან-  
 ლითა ტვივნეულობითა...“ (73r-v).

11. [შაირი] „სრეთ მკურნალის“ როკესადმი. —

„გიხაროდენ წმიდა როკე, აზნაურთა ტომთა ძეო,  
 დაგენიშნა წმიდა ჭვარი მარცხენისა გუერდსა ზეო,  
 როკე, მწირად სიარულით სენთ კურნება შეახეო,

და ტვივნეულთა შენ აცხონებ, სრვათა ულხენ ზედიზეო.  
 გამდლობ როკე, სრვათ მკურნალო, რომ აღადგენ შეგებითა,  
 განგაღვიძა ანგელოზმან ღთის ბრძანებით, მისის კმითა,  
 ყოვლს სენთავან ქრისტიანთა განარიებ სწრაფად ღთითა,  
 და მისგანა გაქუს მონიჭებით მაღლი ესე ჩუენებითა“ (73r-v).

შენიშვნა: ეს ლექსი საბას მიერ გადმოკეთებულა შაირად კათოლიკური ლოც-  
 ვანიდან „სავარდე“. იხ. ლ. ქუთათელაძე, ს.-ს. ორბელიანის კონფესიონალური  
 შეხედულებანი მისი ლექსიკონის მიხედვით, „მრავალთავი“, III, 1973.

1. „ვითარ ჭერ-არს აღსარებათათქმა წინაშე მოძღვრისა მოწაფისა  
 მიერ, რომლისა კიდე შეუძლებელ არს ცხობება. — საყუარელო ძმო, ღთისმეტყ-  
 ველნი ორთა საქმეთა იტყვიან: ქრისტეს მიერ შესვლად კართა ცხობებისათა...“  
 (74r-77v).

13. „უფროსად წმინდის ზიარებისათვის განმზადება. — მო-  
 ძღვარმან ჰკითხა მოწაფეს: იესო ქრისტე სად არს? მოწაფემ მიუვო: ღთებით  
 ყოველგან, ხოლო კაცებით ცათა შინა და წმიდასა ზიარებასა შინა...“ (77v-79r).

14. „ცოლქმართ ნათესავნი. ქმრისა და ცოლის კორცთერთობისა და  
 მათთა ნათესავთა ერთობისათვის, ნამუშავენი სულხანსაბა ორბელიანისა-  
 სიგან რომით. — ღმერთმან, ყოვლისა კეთილისა გამგებელმან, ოდეს შექმნა  
 ადამი, პირველი კაცი, აღმოულო გუერდისაგან მისისა ფერცხალი წაბოთავან და  
 კორცისავე მისისაგან შეუმზადა მეუღლედ ვეა, ცოლი მისი...“ (80r-81v).

15. „შვიდი ხარისხი მღვდელობისა. —

ა. კლიტეთ მპყრობელობის კელის დასხმა, ოსტარიუს.

ბ. მნათობა და ეკლესიის სამსახური, აკოლიტა.

გ. წიგნის მკითხველად, ლეკტორ...“ (82v).

16. „მოკლედ ამბავნი წმინდისა სახლისანი, რომელი გარდ-  
 მოვიდენ რომანელთა წიგნისაგან მე, სულხანსაბა ორბელიანსა, რომ-  
 მელმან თუთ ვინილენ თუალითა ჩემითა წმიდა სახლი იგი. — ესე სახლი იგი  
 არს, სადა იწვა წმიდა მარიამ ღთისმშობელი და სამწლამდე მას შინა იზრდე-  
 ბოდა...“ (83r-v).

წყდება: „... რომელსა შინა ჰამდა ქრისტე და წმიდა დედა მისი და“...

17. [ცნობები მსოფლიო და ადგილობრივ კრებებზე]. — „... სამნი ეპისკო-  
 პოსნი ნისტორის სარწმუნოების აღორძინებას ცდილობდენ.

გ. მესამედ კოსტანტინეპოლის წაკრება წელსა 680, წმიდა აგათოს პა-  
 პის ზე...

ზ. მეორედ ნიკიას წაკრება წელსა 787, წაანდრიანე პაპის ზე...

დ. მეოთხედ კოსტანტინეპოლის წაკრება წელსა 869, ანდრიანე მეორე  
 პაპის ზე...

თ. ლატერნის წაკრება რომისასა, წელსა 1122, მეორე კალისტოს პაპის  
 ზე...

ი. რომსავე მეორედ ლატერნის წმიდა კრება, წელსა 1139, მეორე ინოკენ-  
 ტი პაპის ზე...

ია. ლატერნის მესამედ წაკრება, მესამე ალექსანდრე პაპის ზე...

იბ. მეოთხედ იქვე ლატერნის წმიდა კრება წელსა 1215, მეაჟე ინოკენტი  
 პაპის ზე...“ (84r-v).

18. „ნონებერსა თვესა იდ. წამება წმიდისა ფლავიოს კლემენტოსისა და მისთანა სხვათა. — ესე იყო ქრისტეს აქათ წელსა ოთხმოცდაათრამეტსა, ჟამსა დომენტიანოს მეფისასა. ძმისწული დომენტიანოს მეფესა რომელისა...“ (86r-v).

19. ლოცუა უწინარეს ლოცვისა დაწყებად. — უფალო, აღახუნე ბირი ჩემი კურთხევად წმიდისა სახელისა შენისათჳს და კუალად განწინდე გული ჩემი...“ (87r).

20. [ქორონიკონი]. — „დასაბამიდამ წელსა ოთხითას ოთხმოცსა გამოჩნდენ რომლეს — რომელნი, მგელმან აღზარდნა, ძუძუს აწოვებდა, ამით აღწერეს რომის ქალაქი ნიზლია, ისტორიკასა შინა წერელ არს... წელსა: 1715 აღდგეს ოსმალი და დაიპყრას მორია და ისტრია.“

1716 წარვიდეს ჩრდილოდ კერძო და ბრძოლა ყო აღმანელთა ზედა...“ (89r-v).

**შენიშვნა:** თხზულება ხელნაწერში სხვა ხელით არის გადაწერილი.

**ანდრძი:** „ესე არს მართალი და უბიწო საქრისტიანო მოძღვრება, მოკლითა სიტყვითა მე, სულხან-საბა ორბელიანი გან აღწერილი, რომელსა ეწოდების, სამოთხის კარი, დაიწერა(!) ქქს... ივნის 21, 1701 (31v). უკანასკნელი თარიღი დაწერილია ოთხეუთხა ქალაღზე და დაკრულია შემდეგ. წინ ქქნი ამოფხეკილია და ქვემოთ მიწერილია „1669“(!). ბოლოში — ჩღკე [1725] ამ საკითხზე და საერთოდ, „სამოთხის კარის“ შესახებ იხ. ივანე ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1898—1713 წწ.), სულხან-საბა ორბელიანის საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 104—132, 146.“

ანდრძის შემდეგ წერია: „ვიყავ ერად, მკობდენ ვერად, ვიქმენ ბერად, ვემსავსე რად“ (ამ კალამბურის შესახებ იხ. შ. ონიანი, ერთი ძველი კალამბურის შესახებ, ძვ. ქართული მწერლობის საკითხები, I, 1962, გვ. 141, 141, 149).

**შინაწერები:** 1. „აღთქმა ქრისტიანეთაში“, სადაც ნათქვამია: „...ამას ჰეშმა-რიტითა აღთქმითა აღვიარებ, რამეთუ ჰაბა რომისა მართლად იესო ქრისტეს მაგიერი არს და მისი მორჩილი ვარ...“ იონა ხელაშვილის ხელით მიწერილია: „ნუვის ხაღი მამით(!) და თავად, რამეთუ ერთ არს მამა ღმერთი და ძე მისა იესო ქრისტე თავ და სიძე ბუნებითი სძალისა წმიდისა, რომელ არს ეკკლესია ღმრთისა ცხოველისა და არა კაცისა მოკვდავისა. იონა მღ[ვდელ] მ[ი]ნ[ა]ს[ონი]“ (46v) იქვე რუსულად მიწერილია: «Прописка на полях принадлежит иеромонаху Иона Хелашвили».

2. კალიგრაფიული მხედრულით, სხვა ხელით ჩაწერილია ლოცვა, რომლის წერისას ხელნაწერი უკუღმა სდებიათ. ლოცვა თავდება სიტყვებით: „ოსპოლი ფომილე“ (54v).

3. ეს საბა ორბელიანის სამოთხის კარი, რომელსა კათოლიკოსი ანტონი უწოდს ჭოჯოხეთისა ბჰედ, ზოგი შესაწყნარებელი და ზოგი არა, კინადგან ფრანგულის წვალეზებით შერევენილია.

არხ[იმანდრიტი] ტარასი“ (88v).

4. „იეგორ მაკარიჩის მოსახსენებლად და ძმისა მისისა სერაპიონისა თვით იაგორ მაკარიჩმან ჩუგუნოვმა მაჩუქა ბეტერბურღში 1826 წელში“ (9Cr).

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერს აქვს ავტორისეული რიცხვობრძევი პაგინაცია.

2. „საქრისტიანო მოძღვრების“ ტექსტი გამოცემულია B რედაქციის ხელნაწერით. იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი. III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, 1963, გვ. 227—234.

3. თხზულების შესახებ იხ. აგრეთვე ქართული ლიტ. ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 474—475, სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1959, გვ. 311; ლ. მენაბდე, ნიკოლოზ ორბელიანი — ს. ს. ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 164; გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტ. ისტორიიდან, თბ., 1949, გვ. 80; მისივე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 150; ა. გაწერელია, სულხან-საბა ორბელიანი, ლიტ. ხელოვნება, 1948, 21.XI. № 46.

### მცირე გულანი. XII—XIII

267 ფ., (ძველი პავინაციით აღრიცხულია 38 რვეული), 20×15,7; ეტრატის; უცლო; დაშლილი, საგრძნობლად დაზიანებული (სინესტიკაჲს ფურცლების გვერდები შემომპალი და შემოგლეჯილია, ტექსტი აქა-იქ გადასული, ზოგან ვაცხოველებული, ლაქებიანი), თავ-ბოლონაკული (საკმაოდ ბევრი აკლია შიგადაშიგაც. დანაკლისი ნაწილობრივ აღუდგენიათ ერთგან XVI (ფფ. 26—31), ზოლო სხვადასხვა ადგილას — XVIII ს-ში (ფფ. 9. 24 ნაწ., 72—75) ქალაღ-ზე. ხელნაწერი დაზიანებულია შევსების შემდეგაც, რადგან აღდგენილი ქალღ-დის ფურცლებიც შემომპალია და დაშლილი (ამჟამად გამაგრებულა); ნუსხური (სათაურები სინგურით); [XII—XIII სს.]; შემორჩენილია ერთი თავკაზმულობა წნული ორნამენტის სახით, შეხამებული წითელი და შავი ეტრატის ფერთან (148r), გადამწერი მახარებელი (234r). XVIII ს-ში შეუწირავე იოანე ნათლას-მცემლის მონასტრისათვის (147v).

1. პარაკლიტონი ... „გალობანი წმიდისა სამებრსანი. კჳმა ა გ. ეტლთა-სიმრავლე. — სიმტიცესა სამგვამოვნისა ერთ ღუთაებისასა უგალობდეთ და ვლადებდეთ...“ 2r—73r.

შენიშვნები: 1. 1r—2r-ზე მოთავსებული ტექსტი, რომელიც წინ უძღვის ჩვენ მიერ მოყვანილ დასაწყისს, უნდა იყოს „გალობანი აღდგომისანი“.

2. პარაკლიტონის დასაწყისში, 1r—35r დატულია აღდგომის, წმიდისა სამებისა და ღმრთისმშობლის საგალობლები მხოლოდ პლაკალურ (გვერდით) ხმებზე. შემდეგ იწყება საგალობლები მე-4 ხმაზე: „ღღე ორშაბათი, სინანულისა და მოვარანგელოზთა. კჳმა ღ...“ (35r—73r). პარაკლიტონის პასალა თავიდანვე რომ ამ რიგით იყო დალაგებული, ამაში გვარწმუნებს ხელნაწერის რვეულებრივი ანბანური სათვალავი.

2. [სადღესასწაულო]. — „თუესა სეკდენბერსა ა. ღირსისა მამისა ჩუჴნისა სჳმეონ მესვეტისა წ. გ. დიდ არს უფალი ჩუჴნი, დიდ არს ძალი მისი, დს. ბ. აქებდით უფალსა, რამეთუ კეთილ არს გალობა მისი. ტიმოთელთა მიმართ ებისტოლე...“ 73v—86r.

შენიშვნა: 72—75 ფურცლები ქალაღისაა. მათზე ტექსტი აღდგენილია XVIII საუკუნის ხელით.

3. [საკითხავები ახალი და ძველი აღთქმის წიგნებიდან მარხვის დღეებზე]. — „ბირველსა შაბათსა წმიდა მარხვათასა წმიდისა თეოდორესი. ფსალმუნი. იხარებდით მართალნი. ... შეგესემინ, ღმერთო, ლოცვისა ჩემისაა ებრაელთა მიმართ ები. — მრავლით კერძო და მრავლით სახით...“ 86r—112v.

შენიშვნა: ტექსტის ხელით, კიდეზე მიწერილია ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნა: „ღიდი კრიაიკისა დასასრული. ამაღლებად ესეცა შეუღებინე“ (103r).

4. [საკითხავები ბიბლიური წიგნებიდან მარტივლიაზე]. — „კრიაიკე სული-სა წმიდისა მოსლვისა წინაით წმიდათა მამათა, რომელნი ნიკეას შეკრბეს მწუხრ წინა დღით, დაბადებისა საკითხავი. — ესმა აბრაჰამს, რამეთუ წარიტყჴნა ლოთ, ძმისწული მისი...“ 112v—115r.

5. [საკითხავები ბიბლიური წიგნებიდან მთავარ დღესასწაულებზე]. — „თუესა სეკდენბერსა ა. წმიდისა სჳმეონ მესუჴტისაა წინადღით მწუხრი საკითხავნი. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. — მართალთა სულნი კელთა შინა ღმრთისათა და არა შეეხოს მათ ტანჯვაჲ...“ 115r—147v.

6. [გამოკრებილი საწელიწოდო თვენი]. — „თუესა სეკდენბერსა გვრკვნი წელიწდისაა და დაწყებჲა ინდიკტიონისაა. — უფალო ღალადყავსა, უქცევეთ ი ზედა, სამთა ა, ზეცისა განწეს. სამთა სმ-ნისთა ა გ-სა. — ღირსო მამაო...“ 148r—267v.

წყდება: „... ყოვლად ღირსნო მოციქულნო, და განაქარვეთ თქუენ“...

მინაწერები: 1. „სულსა სოფრონისასა შეუნდენეს ღმერთმან, ამინ. თქუმნ-  
 ცა შეგინდენეს ღნ“ (15r. XIII ს. ნუსხურით).

2. ... „და რაც ამ[ა]შიდ წმიდანი ეწვროს... მრ... ღმერთო, ასწავლე მალა-  
 ქისა“ (67v. XVII ს. მხედრულით).

3. თეიმურაზ I:

„აღმართა მხსნელმან ჯვარი გოგოთას, სისხლი დასთია ადამის ბრალთა(!).  
 აღმოსავლეთით მისცა მამული პირველ მუნითგან [გამონამქალსა]“

...[შემინდვენ] ჩემნი ცოდვანი, შენ გვედრებთ ზეცისა [ძა]ლსა...

და მივიწიებ, რომელი გვიშვა“... (68r. იმავე. XVII ს. მხედრული ხელით)...

4. „ობოლი და ქუბრივი შეიწყალოსა ღმერთმან“ (100v, XVI ს. მხედ-  
 რულით).

5. „ღმერთო, სწავლა კეთილად მოუხდინე... ე...“ (111r. XVI ს. მხედ-  
 რულით).

6. [ანდერძ-მინაწერი XVIII ს. მხედრულით] „შემოგწირე შენ, ჩემს სა-  
 სობას იოვანე ნათლისმცემელს კისისხვეს — საყდარი შენის შობისა, — მას  
 შინა: „მ ც ი რ ე გ უ ლ ა ნ ი ე ს ე, ქ. სამოციქულო სტამბისა, ქ. დაეთნი სტამ-  
 ბისა, ქ. მცირე ქაშნი სტამბისა, ქ. ლოცვები ხელით წერილი, ქ. კურთხევანი  
 სტამბისა, ქ. სამი თვე სადღესასწაულო სტამბისა, ... სტამბის, ქ. კოვლისა შემ-  
 ძლებელი სტა... ..(ე)ოვი(?)?, კამარა, ლახვარი, მდღლარ... (ლ)არნაქ[ე]ბი ოთხი,  
 ორის ოდიკით... [...] მონი სტამბისა, ქ. შესამოსელი სრული ერთი ხელი, სა-  
 ცეცხლური... [ნა]ღვაწი შეიწირე შენ, ყოველთა დედათა ნაშობთ შორ... [ნათ-  
 ლის] მცემელი და ნაცვლად მაგე მოწყალეზა [ე]ამსა დიდსა] განკითხვისასა, ცოდ-  
 ვილს ბერს ნიქ[ოლოზს?]“ (147v).

7. „ღმერთო, შეიწყალე ცოდე[ილი...] ბაბუაძე...“ (169r. მე-5 მინაწე-  
 რის მხედრულით, XVII ს.).

8. „ღმერთო, შეიწყალე მახარაბელი“ (234r. ტექსტის მეღნიო და ნუს-  
 ხურით).

9. „ეს თვენი მოძღვართ მოძღვრის არის. ვინც მოიპაროს...“ (267v. XVIII ს.  
 მხედრულით).

10. „ნიკონ მღვდელ-მონაზონის [ჯობინაშვილის] ბიბლიოთეკისა. არხიმ. ნი-  
 კოლოზ“ (1r).

### 305

#### ოთხთავი. XIII—XIV

122ფ., 23X19; ეტრატე; უყლო; თავბოლონაკლული (აკლია შიგადაშვიაც.  
 მათეს თავიდან შემონახულია 1 ფ.); დაზიანებული (დალაქავებული, ზოგან ეტ-  
 რატე გაშვებულა, ზოგან კი — გადასული და ძნელად იკითხება; ყუისიკენ კი-  
 დები შემოკვეთილი); ნუსხური (სათაურები და სახელო ასოები სინგურით);  
 [XIII—XIV სს.] (ბელაწერის 1 ფ. (117) აღდგენილია ქალაღზე XVI ს. ხე-  
 ლით; წნული თავკაზმულობა ამავე საუკუნისა მოთავსებულია ეტრატის წინა  
 გვერდზე, (116v); გადამწერი ეფრემი (38v).

„ოთხთავი. „... ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ქურჭელთა მათ-  
 თა ლამპართა მათ[თა თანა]...“ 1r-v (მათე, 25,4).

... „ბადეთა ნაცსა შინა. და უწოდა მათ, ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს  
 ზებედე, მამა მათი...“ 2r (მარკ. I, 19—20).

წყდება: „... რამეთუ გარდამოვხედ ზეცით, არა-რა ვყო ნება ჩემი,  
 არამედ...“ (იოანე 6,38).

შენიშვნა: შემორჩენილია ლუკას და იოანეს სახარების თავთა და მუხლთა  
 საძიებელი (36r—38v, 107r—108r).



**ანდროი** (გადამწერისა) „მადლო ოთხთავისისაჲ, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ეფრემ დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ამინ და კსნ. ეიცო ჩემთვის შენდობა ბრძანოთ, თქუნცა შეგინდნეს ღმერთმან, ამინ“ (38v).

**მინაწერები:** 1. „სულსა სულკურთხეულსა ვაჩიანიფხესა ქეთონს შეუნდოს ღმერთმან, ვინცა ბრძანოთ, თქუნცა შეგინდოს ღმერთმან“ (35v—36r, ნუსხურით, XVI—XVII სს.).

2. „ღმერთო, შეიწყალე სულითა და კორცითა მათე გლდავა დღესა ამას სოფლისა სიამითა და დღეგრძელობითაჲ მამყოფე და მუნუ(!) საუკუნოსა მართალთანა ამრაცხე, და ნუ მიზამ მტერთა გულთასა ამინი(!) უფალო და კრიალისო(!), ისმინე, უფალო.

„ღმერთო და ყო[ვლად წმიდაო ღისმშობელო, ამა ოთხთა[ვსა წმიდანი წერია, მისო ძალო და მადლო, და მარხვათა ორმოცისა მადლო, ამრთელე, აღღეგრძელე პატაი ამჭაფარიძე. ცოლი და შვილები უტოცხლე და ბედნიერად ამყოფე ორივე ოორ-ქმარი(!) თქვენგან შენდობით ამყოფე, ღმერთო, და ნუ უზამ მტრითა გულთასა, ამინი(!) უფალო და კრიალისო(!), ისმინე უფალო.

„და ჩემიცა თავი გებრალეზოდეს. ბატონო, ჩვენ მაგიორად ღმერთი დაგიმადლებს. ბატონო, თქვენი ჰირიმე, თუ ღირსი ვიყოთ.

„ფარშავანდის ამჭაფარიძესა შეუნდვნესა ღმერთმან. მეუ[ლ]ლესა მისასა აღუსაჯანსა, ჯაინისა ქალსა, ყოველნი ცოდვანი მისინი(!) ცოცხლითა დღეგრძელებით შეუნდოსა ღმერთმან, ამინ, უფალო და კრიალისო“(!). (მთელი ტექსტი დაწერილია ერთი ხელით, XVI ს. ნუსხურით), (116v).

სხვა მინაწერები მხედრულით: 31v, 79v, 81v, 88v, 114v.

### 306

#### კურთხევანი. XVI

3 ფ. + 155 ფ.; 24×16,5; აქვს ძველი ანბანური რვეულეზობრივი სათვალავი; შემორჩენილია 26 რვეული; ქაღალდი; ყავისფერტყავადაკრული მუყაოს ყდა, ახლად დაკაშმული; აქვს თეთრი საცავი ფურტლები; თევზილონაკული (აქვლია შიგადაშიგად); დაზიანებული (სინესტისა ლაქებიანი, კუთხეები და კიდეები შემოშალი. ამჟამად რესტავრირებული). ნუსხური (წერილი ხელით, სათურები სინგურით, დასაწყისი ასოები მთავრულით); [XVI ს.], გადამწერი რუთი (53r). აქვს ჰეირინიშანი.

[კერთხევანი], [კურთხევაჲ ზეთისაჲ სნეულსა ზედა]. — „... განმწმედელ და განმდევნელ ყოვლისაგან ვნებისა და ყოვლისა სნებისა და უძლურებისა და ყოვლისა შეგინებისა...“ 1r—155v.

**წყდებ:** „... აღდგომითა შენითა მესამესა დღესაჲ, ვითარცა ძლიერ ხარ. ამისთვის მორწმუნენი სარწმუნოებით გ'დბთ...“ (151v).

**შენიშვნები:** 1. ერთვის: ა. „ზანდუკი ამის წიგნისა“ (151r-v. ნაკლულია, წყდებ: [ლოცვა] „ტარიგსა ზედა...“).

ბ. „ზუნდადები ქართული, ბერძული“ (152r. ნაკლული. ზუნდადებთა განმარტება: „... ბის და ან რომელსა ჟამსა დაიბადების, ამ სახელეზში იყარ მთვარის კიკლოსი...“).

გ. „მზის მოქცევა“ (152v—153r, განმარტებით კიდეზე: „უკეთუ კვალად გენებოს, რომელს დღეს კვრისასა დადგების თუში და იმ სახელეზში იყარ ზეით კიკლოსი მზისა და თუშში, რომელსაჲც ეძებ, და დაინიშნე...“).

დ. [აღდგომის ქორთიკონი. პასქალია] (153v—154r. ამასაც ერთვის განმარტებანი კიდეზე. — „იციოდეთ, ესე წმიდაჲ აღდგომაჲ აჲა კე აპრილამდი და ჩამოვა კბ მარტამდი...“).

ე. „მთვარის ციკლოსი“ (154v. ამ ცხრილის კიდევაც არის განმარტება: „უკეთუ გენებოს მოძიება მთვარისა, რომელსა დღესა ნახავთ და რომელსა წამსა იქნება“ ზედნადები იმათი, კიდევ იყარ თუძნი, რომ ეძიება...“).

3. [ხ ე ლ თ ა] „ათცამეტური მთვარის ციკლოსი“ (155r).

ზ. ზოდიაკოთა მოძრაობის ცხრილი (155v).

მოტანილი ცხრილები სხვა ზომის ქალაღზეა ნაწერი იმავე საუკუნის სხვა ხელით.

2. ხელნაწერის ყდაზე დაკრულ ჯიბეში ძეგს 3 ფ. სხვა (XVII ს.) ხელნაწერიდან.

ი წ ყ ე ბ ა : „... მეწუდესა პარასკევსა. — მწუხრი კსენებასა აღესრულებით საუკუნითან დაძინებულთა მიმართ...“

მ თ ა ე რ დ ე ბ ა : „... რათა გადიდებდეთ შენ წმიდასა და უბრუნელსა“.

3. კურთხევისის ეს ნუსხა მისდევს A 294-ს. (მისი სრული აღწერა იხ. A კოლ. ხელ. აღწერ. 1კ).

4. ხელნაწერი ეკუთვნოდა იოელ ალექსი-მესხიშვილს (155v).

მინაწერები: 1. ტექსტის ხელით: ა. „რ უ თ ი ს, ცოდვილსა და უღირსსა მონაზონსა, და მისთა მშობელთა შეუწინდეს ღმერთმან“ (53r).

ბ. „შემცდა, წინა უკან დაეწერე“ (139v).

2. ლოცვა, მხედრული ერთი ხელით 59r-სა და დანაშატი ფურცლების 3v-ზე.

## 307

## წესი ეკლესიის კურთხევისა. XVIII

26 ფ., 21,5×18; ქალაღი; ქალაღის ყდა; დაზიანებული (სანესტისაგან კიდები შემომბალი აქვს, ლაქებიანი, ფ.ფ.-ბი ამოცვენილი); ნუსხური (სათურები და კურთხევის დროს შესასრულებელი მოქმედება მღვდელმთავრისა სინგურით); [XVIII ს. ბოლო]. აქვს ჰვირნიშანი.

„კონდაკი ეკლესიის კურთხევისა“. „კურთხევისათუხ ეკკლესიისა მღუდელთმთავრისა მიერ ქმნილისა. — ეკკლესია რა აღსრულებულ იქმნების, მოვალს წარმოგზავნილი მღუდელ-მთავრისაგან, რომელსაცა უბრძანებს პირუშლ ერთისა დღისა ანუ უფროსისა და მოამზადებს ყოველთავე საკმართა კურთხევისათუხ...“ 1r—25v.

მინაწერები: 1. „საბა გულიევი. მისი მაღალს“ (ზედა ყდის v).

2. წიგნი ესე მღვდელ-მონაზონი ნიკონ ჯობინაშვილისა, წელსა 1893“ (1r).

3. „ესე ხელთნაწერი ეკლესიის კურთხევის გამოკრებული კონდაკი ვაჩუქე ჩემი საკუთარი ვ ლ ა დ ი მ ე რ მ ო რ გ ი ე ვ ს ა, ამინ და კირიელისონ. ედისის(?) პრიხოდის მღვდელი საბა გულიევი“ (26v).

4. ბერძნული, ქართული დაწერილობით: „ტარსის პროსკინიტიის ქეთონ ტეკონ, კესარიონ, იერო დიაკონუ ქეთიმიმერო. ანტონიუ პროსკინიტი სოფრონის მონაჰმის ლენონ თეკონ ქესინგენონ აეთონ (ჩემი მეგობრისა).“

გოლგოთაში კესარიო მთავრისათვის უნდა ვსწირო ორი პირველს ჩასლავლა-ზე(!)“ (26v).


შენიშვნა: მინაწერში ბერძნული სიტყვები დამახინჯებულია. ამიტომ მისი შინაარსის დადგენა ვერ ხერხდება.

## 308

## კრებული. 1808

94 ფ.; 21,4×17; მოლურჯო ქალაღი; 90—94 ფ. თეთრი ქალაღის; ყავისფერ კოლენკორგადაკრული ხის ყდა (ახლად დაკაზმული), აქვს თეთრი საცავი ფურცლები; ნაკლული (აკლია ფ. 12-ის წინ და ფ.ფ. 55—66, 71—72,

2. ქართულ ხელნაწერთა აღწერა



81—82 შორის); მცირედ დაზიანებული (აღდგენილი; ლაქებიანა); მხედრული, 1808 წ. (73r); გადაწყვეტილი იოანე პენტელაშვილი (73r); ხელნაწერის წინა, თავისუფალ ფურცლებზე მოიპოვება ორნამენტული, ცხენების, კენტაგონის, აქლემისა და „ორთავიანი არწივის“ მდარე გამოსახულებანი შესრულებული მელნით (1r-v, 3r, 4r, 10r—11v). დაუწერელია: 2v, 3v, 4v, 13v, 75r—76v, 77v, 92r-v.. აქვს ჭკვიანიშანი.

1. „ისტორია მის ნეტარისა ალექსანდრე(!) კაცისა ღვთისასა და ცხოვრება მისი. — იყო კაცი ვინმე დიდებული ქვეყანასა დიდს კოსტანტინეპოლისსა, რომელსა ეწოდებოდა სახელად ეფრემ და ცოლსა მისსა ანნა...“ 5r—10r.

შენიშვნა: „ისტორია ნეტარისა ალექსისა...“ მთავრდება ლექსით: „მოსთქმიდა, იცემდა მკერდსა, ღვარი სდიოდა ცრემლისა, მსმენელთ ეწყალებოდათ, კმა შეექმნათ ვაებისა, ჩემო თვალთა ჩინო, ვინ მუყანდეს მონელებისა, ვით გასძლოს გულმან ჩემმან ესდენ ჭირ-მოთმინებისა“ (10r).

2. [ზნეობითი სწავლანი, ამოკრებილი ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან]. — „... თქვენისა. მოშიშნი უფლისანი ესვიდეთ კეთილსა ზედა შეებასა საუკუნოსა და წყალობასა...“

„სწავლა გ, უღმრთოთა და უსჯულოთათვის, სწავლა სოლომონისა. — წყევთა უფლისა სახლსა ზედა უღმრთოსა, საყოფელი მართალთანი იკურთხნენ, იგავი გ...“ 12r—73r.

შენიშვნები: 1. „სწავლანი“ ნაკლულია. დასაწყისში აკლია სწავლა ა და ბ-ს ნაწილი. ბოლოში კი — აღ და აგ.

2. ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის“ (73v—74v).

3. „მეტაფრასისაგან და დიდის მინირილოლისაგან(!) შემოკლებულად. თთუშსა აპრილსა კგ, წამება წმიდისა დიდებულისა, დიდისა მოწამისა, ძლევამოსილისა გიორგისა. — რომის სამეფოს სკიპტრა უღირსად მიქილო რადიოკლიტიანე უსჯულომან...“ 78r—81v.

წყდებდა: „... და ჩუენ დაგვიმორჩილე იგი ანუ მოძულებასა მისსა...“

4. „ქართველ[თ] მეფობა. — ფარნავაზ იყო მამულად ქართველი, ნათესავი უფლოსი მცხეთოს ძისა და დედეულად სპარსი...“ 82r—90r.

შენიშვნები: 1. ცნობები ქართველ მეფეთა შესახებ, ამოკრებილი მატიანეთაგან, მოტანილია მეფე გიორგი შაჰნავაზის ძემდე.

2. კრებულის ამ ნაწილს ერთვის „ქორონიკონი“, (90v—91v), რომელშიაც მოცემულია რამდენიმე შემთხვევის თარიღი 1722—1797 წლამდე (ქქს უი — ქქს უპ). ამის ქვემოთ, იმავე ხელით, წლები მიწერილია სომხური ასოებით. შემდეგ ანბანურად გამოხატული ქორონიკონი გადატანილია ციფრობრივზე, მხოლოდ საჭიროებს სომხური მოქცევების (551 წ.) დამატებას.

3. ხელნაწერის ერთ გვერდზე მოცემულია ანბანურად გამოსახული თარიღების ქორონიკონში გადატანა, მაგ., ჩუიბ — ქქს ფ, ჩუიგ — ქქს ფა...“ (7r).

4. ეს ნუსხა ნიკონ ჯობინაშვილის ბიბლიოთეკიდანაა (თავფურც.).

აღდგომი: „აღსწერი წიგნი ესე სისწრაფით იოანე პენტელაშვილმა. ვისაც ჩავივარდისთ, კარგ კვლად გარდიღევით ჩუე წელსა, ფებერგლის კ, ქქს უეე“ (73r).

31 ფ.; 22,8×18,5; ეტრატე; უყდო; ფრაგმენტი; დაფურცელებული; ნუსხური, ორ სვეტად (ვარდა 30—31 ფურცლებსა), დასაწყისი ასოები მთავრულით და უმეტესად სინგურით; [XIII ს.], გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა.

[ოთხთავი]. — „... ჰფუცო, არამედ მიეც [უფალსა ფიცისა შენისათჳს]. ხოლო მე გეტყვ [თქუნენ] არა ფუცვად [დ ყოვლად]ვე ნუცა ცასა, [რამეთუ] საყდარო არს ღმრთისაჲ, ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბეგი არს ფერკთა მისთაჲ, ნუცა იჭრუსალემსა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისაჲ...“ (მ. 5, 33—35). 1r—29v.

წყდებ: „... რაჟამს სთქუ, ვითარმედ ამპარტავანი არა ვარ“.

შენიშვნები: 1. შემორჩენილია მათეს თავიდან რამდენიმე მუსლი (1r—12v); მარკოზის — (13r—22v); ლუკასი — (23r—28v), ფ. 29 წარმოადგენს საძიებელს, იწყება: „... ივ. რაჟამს ჰრქუა იესუ...“

წყდებ: „... ა. რაჟამს ჰრქუეს იესუს წარვედ ამიერ...“

2. ორი ფურცელი XI ს. ხელნაწერიდან — მსჯელობა სამონაზვნო ცხოვრებაზე — მოთავსებულია ბოლოში. იწყება: „... ფრიად სარგებელ არს ესე ვითართათჳს მორჩილებჲ, შეურაცხი და კიცხვად ბუნებისა უღარესთა მამათა სათნობათაჲ და ნუქუე ეყოს მათ ესრეთ სასობეჲ რამე ცხორებისაჲ“ (30r—31v).

წყდებ: „... რაჟამს სთქუ: ვითარმედ ამპარტავანი არა ვარ...“

## 310

## სადღესასწაულო. XVIII

156 ფ.; 30,5×20; ქაღალდი; შევტყავიგადარული ხის ყდა (ახლად აკინძული); აქვს თეთრი საცავი ფურცლები; დაზიანებული (ამჟამად რესტავირებული). სისველისაგან დალაქავებული, კიდევებშიმომპალი, ტექსტი აქა-იქ გადასული; თავ-ბოლონაკული (აკლია შივადამივაც. პირველი 40 ფურცლის ანბანური სათვალავი იცავს ათეულებრივ აღრიცხვას: მე-9 ფურცელზე ზის ასო ლ, მე-17-ზე — მ, და ა. შ. მ-ის ჩათვლით. შემორჩენილი პირველი 8 ფურცლის სათვალავი უნდა ყოფილიყო კ, მაგრამ კიდევების დაზიანების გამო, იგი დაკარგულია. 41-ე ფურცილიდან ტექსტს აგრძელებს სხვა ხელი, რვეულებრივი სათვალავიც იწყება თავიდან, უკვე ჩვეულებრივი ანბანური რივით და მიტანილია ით რვეულამდე. მასში 6 ფურცელია. 102r-დან მეორე ხელით ნაწერს აგრძელებს კვლავ პირველი — ტრიფილე); მხედრული (სათურები სინგურით, სხვადასხვა ხელით); [XVIII ს. 60-იანი წწ.], გადამწერი ტრიფილე დიკონ-მონაზონი (28v); ანტონ I რედაქციისა, 108v, 121v დაუწერელია. აქვს ჰეირინიშანი.

[სადღესასწაულო] „... უფალო მაცხო... რამეთუ სხუა ღმერთი... დღეს ვარსკულავი ქუეყანასა იუდას... დეველთა სოფლით, ვარსკულავთ მრიცხუ... მიუყვანნა თაყვანისცემად მისა მსგავსად ყრილისა.

თთუშსა დეკემბერსა კბ დღესა“, „... სჯულად იღუაწე და ჰსძღე უსჯულოთა მოწამეო ყოულად დიდებულო, ძალითა სულისათა...

„გალობა ვ სძლისპირი, სო ფ ლ ის ა ზ დ ლ უ ა ა დ ძ რ უ ლ ა რ ს ღ ე ლ-კითა ცოდვისათა...“ 1r—156r.

ანდერძი: „სრულ იქმნა კელითა ტ რ ი ფ ი ლ ე დიკონ-მონაზონისათა“ (28v. დეკემბრის თვის დასასრულს).

შინაწერები: 1. [მოსახსენებელნი] „მამანო და ძმანო, გთხოვთ მოიხსენოთ გარდაცვალებულნი შემდეგნი პირები ლარაქენი:

გიორგი, მეფის ირაკლის კარის დეკანოზი, პეტრე, იოსებ, დეკანოზი დავით, დეკანოზი ივანე, პროხოზე, სოლომონ, დავით, გიორგი, დიმიტრი, ხორეშან, მართა, თამარ, ბარბარე, ქეთევან, მარიამ, ეკატერინე, ხორეშან“ (121r).

2. მე, ხარების ეკლესიის დეკანოზის იონანეს ძემ პროხოროემ, დავიდე შეწვენითა ღმრთისათა სადღესასწაულო ესე წელსა ჩუი, თვესა აგვისტოს... პატრონსად, გვირგვინად მორწმუნეთა მეფეთა ჩნთა...“ (156v).

**შენიშვნები:** 1. საღვთისწავლის დასაწყისში აკლია: სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის (დიდი ნაწილი) თვეების მასალა.

2. იგი ანტონ I რედაქციისაა, მისდევს სრულ, 1760 წელს დადაწერილ საღვთისწავლის (S 1464-ს). ამ ორი ნუსხის გადამწერიც ერთი პირია — ტრივილე მღვდელ-მონაზონი.

3. A 310-ის რუსული საღვთისწავლოდან მომდინარეობას მოწმობს შემდეგიც: ა. ტექსტის ხელით, შესაბამის სძლისპირთან, კიდევ მაწერილია: „რუსულში არის სძლისპირი «ქყანასა მწყურნებასა», «ეს კანონიც რუსულშიც კმა არის» (141r).

ბ. ტექსტშია ჩართული: „... უკეთილმსახურებისა და უფიქრობებელისა, დიდისა კელმწიფისა ჩუენისა იმპერატრიცა ელისაბედ პეტროვნასა, ყოელისა როსისისა და მემკვდრისა მისისა ძისწულისა პეტრე პლისა, კეთილმორწმუნისა კელმწიფისა, დიდისა მთავრისა პეტრე თეოდორევიჩისა და მეუღლისა მისისა კეთილმორწმუნისა კელმწიფისა დიდისა მთავრისა ეკატერინა ალექსიევნისასა... და კეთილმორწმუნისა კელმწიფისა, დიდისა მთავრისა პავლე პეტროვიჩისა, და ყოელისა პალატისა და მკედრობათა მათათუხ უფლისა მიმართ ვილოცოთ“ (65r).

## 311

## აპოკრიფი სოფლის აღსრულებებისათვის. 1842

04+38 ფ.; 21,4×17; ქაღალდი, კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; შვიდ ტყავის ყუთი; მხედრული; 1842 წ. (34r), გადამწერი სვიმონ ბერძენოვი (34r), დაუწერელია: 01r—04v, 1r, 2r-v, 34v—38v.

<ნიკიფორე ხუცესი>. [„სხორებამ ანდრია სალოსიამ] „... სოფლისა აღსრულებისათვის. — ვითარ არს აღსასრული ამის სოფლისა, ანუ რომლითა სახითა გულის-ხმის-ყოფითა ეუწყების მისიმის(?) კაცთა“...

„მიუგო ნეტარმა: ესე უწყოდე პირველად, შვილო ჩემო, რათა ქალაქი ესე სამეუფო უფროს არს და უმდიდრეს ყოველთა...“ (3r—34r).

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერს უძღვის „ქარბის“ სქემა, ქარის სხვადასხვა სახელწოდების აღნიშვნით (1v).

**შენიშვნები:** 1. თხზულება შეიცავს შემდეგ ლოცვებს: ა). ლოცვა დაუსრულებელისა და დიდებულისა იესოს სახელისა მიმართ, რათა გჯსნას ჩუჴს სოფლისა ამის ამოებისაგან“ (27v—28v), ბ). „განზრახვა მესამე, სიკუდილისათჳს“ (28v—33v), გ). „ლოცვაჲ მოკლედ თქმული წმიდისა დიონისე არიოპაგელიისა დღესა სიკუდილისა მისისა“ (33r-v), დ). „განზრახვა მეოთხე, აღსასრულისა და სასჯელისათჳს“ (33v—39v), ე). „განზრახვა მეხუთე, ჳზთისათჳს“ (39v—44r), ე). „განზრახვა მეექვსე, სასუფეველისათჳს კათასა“ (44v—48v), ზ). „ლოცვა ჴეცისა ქალაქისა იმრუსალიმის მიმართ, რომელი ჩუჴს თანა ევედროს ღმერთსა ჩუჴსთჳს“ (47v—48v), თ). „განზრახვა მეშუდე, საზარებისათჳს ღმრთისა“ (48v—51v), თ). „ლოცვა მადლობისათჳს მიუწდომელისა და სახიერისა ღმრთისა“ (51v—54r), ი). „ლოცვა, რათა მოგეცს ღმერთმან სიმდაბლე“ (54r—55r), ია). „განზრახვა მეორე, განწესებისათჳს უბრწენლოა ჳორცთა და სისხლთა ღმრთისათა“ (55r—56v), იბ). „ლოცვა უწინარეს ჴიარებისა“ (56v—58r, იბ).

„განზრახვა მესამე ვენებისათვის ქრისტესა ლოცვისათვის მტილსა გესამანისასა“ (58r—60v), იღ). „ლოცვა ქრისტეს ვნებისა მალღობისათვის“ (60r-v), იღ). „სვინინდისით საგონებელი მეოთხე, იესო ქრისტეს შეპყრობისათვის“ (60v—63r), იგ). „სვინინდისით საგონებელი მეხუთე, ქრისტეს ტანჯვათათვის და ვნებისაათვის და შეპყრობისათვის განზრახვა“ (63v—65v), იზ). „სვინინდისით განზრახვა მეექვსე, ოდეს მიუყვანეს ანა მლდელთმოდგერისა წინაშე ქრისტეს“ (65v—68v), იფ). „განზრახვა სვინინდისა მეშვიდე პეტრეს უარისყოფისათვის“ (68v—71v), ით). „ლოცვა გამაღობისა მისივე ქრისტეს სატანჯველთათვის“ (71r-v), კ). „საკონებელი ოდეს წარიდგინა წინაშე პილატესსა და მან მისცა იგი სუჭტთა დაბმად და გუშმად იესო, ამას იგონებდე“ (72r—73v), კა). „სვინინდისით საგონებელი მეცხრე, იესუს ეკლის გვრგვინისათვის განზრახვა“ (73v—76r), კბ). „სვინინდისით საგონებელი მეერთმეტე, ჟუარცმისათვის უფლისა საგონებელი“ (76r—77v), კგ). „სვინინდისით საგონებელი მეათორმეტე, იესოს გუშრდის განღებისა და გარდამოქსნისათვის“ (77v—80v), კდ). „განზრახვა პირველი, აღსდგე რაჲ ცისკარს ძილისაჲან, მიუპყარ გონება შენი ღმერთსა, ილოცე მოკლედ და თქუ ლოცვაჲ ესე“ (82v—83v), კე). „აჲა ვიწყით საგონებლობისა: ლოცვანი ამისთვის სამ ნაწილად განუყვით“ (83v—88v).

2. თითოეული „ლოცვა“ თავის მხრივ კიდევ შედგება ცალკეული ნაწილისაგან, რომლებიც ცალკეა გამოყოფილი და დასათაურებული. მაგ., „სურვილი“, „წინა დადება“ და „გარე შეცვლა“.

3. ტექსტში ჩართულია შემდეგი სახის განმარტება: „სწალვანი ამის კეთილად საგონებელთაჲ ლოცვათანი, თუ ვითარ ჟერ-არს:

სვინინდისით ლოცვანი ესრეთ ჟერ-არს, რათა პირუტლად ვისწაოთ გონებისა ლოცვისა კეთილად შეწირვა და გამოვჩინოთ სხუაჲ და სხუაობაჲ ლოცვათა და რომელსაცა ენებოს ქრისტიანებრ სლუა და განჩინებჲა სულისა თვისსა ჟოჯოხეთისაგან და შესლვად სასუფეველად.

დაუტეოს ზორიოდ და ქმნეს კეთილი და ყოვლითურთ თანა აცს შედგომა ღმერთსა და გარდამატება სიყუარულისა მისისა შედგომა და სიყუარული ღმრთისა არა ვის ძალ უცს მოგებად თვნიერ ლოცვისა, ვითარცა პირველად აღვსწერე თვისა ამის წიგნისასა, რამეთუ ორსახენი არიან ლოცვანი, ვითარმედ კვიანი და გონებინი. კვიანი ლოცვაჲ არს ფსალმუნებაჲ, მრწამსი, მამაო ჩუქნიო, გიხაროდენი და სხუანი მსგავსნი ამისნი ლოცუანი, რომელნი წარმოიჩინებთან კვიანითა პირითა და რომელსაცა ლოცვისა შეკმობით იტყვან.

ხოლო გონებისა ესე ლოცუანი არცა სომეხთა და არცა სხუთა მწვალებელთა არა ვინ იციან, რამეთუ არცა წერილი აქუსთ და არცა მასწავლებლებნი ჰყვანან, არამედ გონებისა ესე ლოცვა უადრეს და უზეშთავს და უპატიოსნესად სასარგებლო არს.

საკმარ არს თქმად, ვითარცა უპატიოსნეს არს სული გუამისა, ეკოდენ უპატიოსნეს არს გონების ლოცვა კვიანთა ესე. ესე ამა პატიოსნისა და გულისდადებით გონების ლოცვისათვის აღმიწერია დასაწყისისა წიგნისა ამის, ვინაჲთჲან ზემო აღმიწერია გულის მკურვალეებისათვის, აჲ რაღდა საკმარ არს მეორედ აქცა აღწერად, ვარნა ესე თქუთად, ვითარ თანა გუაც ამისთვის მცირედ რამედ გაუწყო, ვითარ ჟერ არს აღსრულება გონების ლოცვისა აკვმს, რათა ეამთა ეამი და დრო განვიწყსით ანუ ცისკარად, ანუ მწუხრს, რათა მასევე დროსა ჩუჭულდება გვიწონდეს ლოცვისა მისი.

ვითარცა რაჲ კაცსა ვისემ აქუნდეს ჩუჭულება საზრდელის მიღებისა, ეგრეთვე მასევე დროსა მოემზივის და უნებენ საზრდელი, ეგრეთვე ძილი და ღკძილი დროთა მათ ექნებოსევე, ვერეთე რა დააჩუვო თვი შენი დროანსა ეამსა გონებისა ლოცვისასა, მასევე დროსა მოგსურდებიან ყოველივე და მაშინ იწყებ ლოცვასა მას.

ამისთვისცა ერთის დროსა მიხედება კეთილ არს ცისკარს ანუ მიმწუხრი, არამედ ცისკრისა ეამად უმჭობეს არს ვიდრედა მწუხრი, ამისთვის, რამეთუ საზრდელ მიღებულსა მძლავრობს ძილი და ვერ გულის-ქმაჲ ჰყოფს მოქუნებად მას დღესა რა იხილა ანუ რა ესმა, რამეთუ ესენი არიან მიზეზნი საჭირონი ლოცვისა მისთვის. მეორედ გონებითა ლოცვისა საკმარ არს მისთვის ადგილი ერთი მართო სალოცვად — კმაჲ ყოფისა და დაღადებისა მოშორებულთ, ვინაჲთჲან კმაჲ

ყოფისა სმენა მოშლის ლოცვასა. და ესე უმჯობეს არს, უკეთუმცა კარნი და სარკმელნი დაწმენა და ბნელთა შინა ილოცა, რამეთუ რადდენ ბნელ არიან აღგინი სალოცველნი, ეგოდენ. უფროასად განათლებიან თულანი გონებისანი. და თუცა არა იპოვების აღვილი ბნელი, დაიპურენ თულთა შენთა და იგონებდენ. არცაღა თუ იგი დაიპოვა(?!), მაშინდა კეთილ არს შუალამისა ეამსა აღდგომა, ვიდრე სხუათა ყოველთა რამ ეძინოს, რამეთუ ესე ვითარსა ეამსა მსგავს არს სახლი იგი უღაბნოსა, თუცაღა იყოს მუნ სიმრავლე კაცთა. მესამედ, ჭარ არს გონებისა ლოცვისა ეამსა განდევნა ყოველსავე ცუდისა საგონებელისა და სხუანიცა იგი, რომელნი არა არიან მომაკუდინებელნი ცოდვანი, რომელ არს ყოველი ზრუნვა ჭკვეუნიერ სულისა, ჭამისა, სიცილისა და კიცხვისა. ესე არა თუ მომაკუდინებელნი არიან, არამედ განრყუნიან ლოცვასა მას.

მეოთხედ, ყოვლითურთ მართებს ყოველთა მომაკუდინებელთა ცოდვათაგან განწმენდა და ნებსით ქმინება შესანდობელთა ცოდვათაგანცა ამისთვის, რამეთუ უფროერე კეთილად მშობიანებს ლოცვასა ესოდენ, რათამცა შეისმინა ღმერთმან.

უკეთუ ცოდვასა შინა ეგოს, ღმერთსა აც აღსარებდა, და უკუეთუ არა შეუხდეს აღსარებდა, ჭერ არს პირველად სრული სინანული და ცოდვისათვის შეირცხვროს და მოსურნე იყოს აღსარებისა და მერმედა კელ ჰყოს ვონების ლოცვასა.

მეხუთედ, გონებით მლოცავი ეამს ლოცვისა უწინარეს განეშხადოს, ვითარცა იტყუს სული წმიდაჲ პირითა სოლომონისათა: უწინარეს ლოცვისა განაშხადე სული შენით. აჰა, ესრეთ ჰყუე“ (80v—82v).

**ანდერძი** (ლოცვების ლათინურიდან მთარგმნელის): „მე, პეტრე მოძღუარი, მოქალაქე ტფილისისა, გვევდრები ყოველთა, რათა სურვილით შეიტკბოთ თათვომობიანიერ სწავლა წიგნისა ამის და სწრაფად აღასრულოთ საქმიითაცა ძალი ამისი. რამეთუ ესე არს ტაქუცი იგი ოქროსა, რომელსა შინა იდგა მანანა იგი. ხოლო უკეთუ გულისკვირმან განჯნა, ძილავს გემოთა და უკუდავ იქმნების, რამეთუ ესე დაფარულ არს კრეტსაბმელთა, რომელ არს წმიდა წმიდათა, რამეთუ ემართა ლოცვა — თუ იგი ტამარი, სადა დღე ყოველ მღვდელნი შევიდით, ვითარცა ქრისტე, რამა აღვიდის მთასა დღე-ყოველ ლოცვად. ვინათგან ძეწლი იგი მღვდელთმოდღუარი წესისაებრ ერთგვის წელიწადითა შევიდის შინაგან კრეტსაბმელისა მის.

ეგრეთვე ქრისტემან ყო ეამსა მას ჯუარცმისა მისისასა, რამეთუ ერთგვის შევიდა კრეტსაბმელისა შორის და გონებით ილოცვიდა მთასა მას ზეთისილისასა, სადა გარდამოედინა ოფლი, ვითარცა ცვარი სისხლისა, ვითარცა იტყუს წმიდა ლუკა.

ხოლო ესე გონების ლოცვაჲ ესოდენ საქებელ არს, რამეთუ არა ძალ უც კაცობრივსა ენასა გამოთქმა მისი, რამეთუ სიყუარულით დამკვებელი ღმერთსა და კაცთა, რომელ არს ყოველთა უადრეს გონებდა და სიტყუაჲ. კულად საქებელ არს. რამეთუ გემოსა მისცემს კაცსა, მსგავსად მარლისისა. ესე არს ცამარა იგი ნათლისა სერაბინთა, ესე არს, რომელი ათქმევს სიძესა იესუს კაცთა სულისა მიმართ: „მომწყალ მე, დაო ჩემო, და სძალო, მომწყალ ერთითა თუაღითა შენითა“. ესე იგი არს, ვითარმედ: მე შენისა გონების ლოცვისა ერთის თულასა შემოხედიეთა მომწყალ მე, და ესე არს განსაღებელი, რომელი განაღებს გულსა მლოცველისასა, რომელი ხედავთ დაჯშულ არს იესუსთვის სიძისა, ვითარცა იტყუს სოლომონ გულმჭურვალედ სძალსა მას მისსა: „ვანმიღე მე, დაო ჩემო და სძალო, ვანმიღე მე, რამეთუ აღივსო თავი ჩემი ცუარითა სინედღითა ღამისათა, ვითარმედ, სულ მოწმუნეო ჩემო, და სძალო სულვირო, ვანმიღე მე გული შენი გონების ლოცვითა, რათა მას შინა, რომელი განამძე გარე გულსაგან შენისა, ამისთვის შეისვარე ცოდვითა და შეზღალო იქმენ, რამეთუ ცოდვანი შენნი დამე არიან, ხოლო გულისთქუმანი შენნი ცვარნი დამეთანი“. კულად უმეტეს განაღებს კარსა ზეცისასა, რამეთუ ვითარცა ლოცვიდა წმიდა სტეფანე და დაიდგინა მუკლნი, ძილა მე ღმრთისაჲ კორცითა, კულად სხუად სახედ არს განმღებელი, რომელი დაუქშავს გზასა რისხვასა ღმრთისასა და უკუე აქცეს, ვითარცა ყო მოსე: რამ ილოცა, დაუქშნა კარნი რისხვასა ღმრთისასა მოსასრველსა მას, რომელი მოსლვად იყო ისრაელთა ზედა, რომლისათვის ეტყოდა ღმერთი მოსეს: „მიტვეე მოწყუმდად მათდა“. ესე იგი არს,

ნუ ლოცვით მევედრები ერისა მისთვის. ნუთუ განეღოს მოწყალებსა ჩემისა კარნი და მიეფინოს კაცად კაცადსა მათ ზედა, რამეთუ ლოცვასა ძალ უც დაეშვა კართა რისხვსა ჩემისათა.

და კუალად შეაერთებს ესე კაცსა ძესა ღმერთისა, რომლისათუა კმაჲ ყოს მამამან ზეგარდამო მისსა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“ და ვარდამოვლენს სულსა წმიდასა თავსა ზედა მისსა, ვითარცა იტყვს წმიდაჲ ლუკა: „იესოცა ნათელ იღო და ილოცა და განეხუნეს ცანი და კმაჲ იყო ზეცით: შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი, და სული წმიდა გარდამოვდა სახითა კორციელითა და დაადგრა მის ზედა, რათა ჭეშმარიტებით ვირწმუნოთ, რამეთუ საჯონებელი: ლოცვითა განეხუნეოან ცანი და კმაჲ ჰყოფს მამა, და იდიღების ძე, და გარდამოიქდების სული წმიდაჲ, იხარებდენ ანგელოზნი, და მხიარულ იქმნებოან ყოველნი წმიდანნი“.

კაცი ესე მყოფი ქუცყანასა ზედა, რომელსაცა იგონებს საგონებელისა მის ლოცვათა შინა, უქუცმულად მასვე იხილავს ცათა შინა.

კუალად იდიღების ღმერთი ამა ლოცვითა და აღიღებს კაცთარცა ამისვე მიერ, ვითარცა იტყოდან იესუ: „აღიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს“. კუალად ქნარი არს ლოცვა ესე შუდ ძალი, რომელ არიან შუდნი იგონიწნი სულისა წმიდისანი, რომლითა იხარებს ღმერთი ყოველით წმიდით მისითურთ. ეგრეთვე კაცნიცა იხარებდენ სულითა სიმკურვალისა მისისათა და აქებენ და აღიღებენ მოსურნენი ღმერთსა მის მიერ და ქუცყანასა ზედა მდგომელნი, ამით ვალს ზეცათა შინა, ვინათგან ამა ლოცვითა მსახურებს იესუს და აღასრულებს უფალი სიტყუასა მის, რომელ თქუა: „სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახურნი ჩემნი“.

სიტყუსა ამის მიერ ღირს გყოს ყოველნი მორწმუნენი. თუო მკსნელმან ყოველთამან იესუ, რომლისა არს ყოველი და ყოველადე და მას აღიღებენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

მარტოწმენან ღმრთისამან განაძღერა, მარტოწმენან უფლისამან შექმნა ესრეთ“ (88v—90v). (ხელნაწერში ციტატები გამოყოფილი არ არის).

2. „ლოცვა გონების განხილვისა ლათინელთა განკარგვათაგან, ახლად თარგმნული სომხურისა ენისაგან ქართულად იოანე ორბელიანის ქრისტეს აქეთ 3739(?) — შორის სულიერისა წურთილებისა, რომლითაცა კაცი კეთილ მსახურნი იღვაწიან წმიდად დაცვად თავისა თვისისა წინაშე ღმრთისა, არა არს სხუა...“ 91r—93v.

შენიშვნა: ტექსტს ერთგის მთარგმნელის შემდეგი განმარტება: „სიტყული მთარგმნელისა, იმეცნე, მ, აღმოკითხველო. არა ეკალთაგან მოისთვლიან ყურძენი, არცა კუროს თავთაგან ლედუ. ბრძანებაჲ არს ჭეშმარიტი ჩემებრსა ეკალთაგან შემოთბილსა ზედა, გარნა ნაღვაწი ესე ჩემი უტკბილეს კურძნისა და უგემოვნეს ლედუსა არს. დადაცათუ მე ვარ ეკალი და კუროს თავა შრომათა შინა ჩემთა და არა რა კეთილნი მოისთვლიან ჩემგან, არამედ ესეცა ვეუწყების, ვითარმედ რაჲცა თქუან მწიგნობართა ჰქმენითო და საქმეთა მათითა ნუ იქმნითო, თქუწნცა ესრეთ ჰყავთ მეცნიერნო, რომელ ლოცვასა ამის ყური მიუპყრენით, რამეთუ მე ქართლისა ენითა არა მეხილვა და ახლად სომხურისა ვმისაგან ქართლისა კვით მოვიცეალე ესე. ფრიად სასარგებლო და სამარადისოდ შემწე ყოველთა მართლმადიდებელთა, და უმეტესად სკვლისა კეთილმსახურთა, და ყოველთა დიდთა და მცირეთა, რამეთუ მეფეთა სულთა თვსთა წყალობასა შთაუდგეს და ქუცყანისა მოურნეობასა ზედა განაკრძალებს ვინათგან სულთა მათგან იზღვევა ბორთად განმგებელობა მთავართა, და წუნებულთა მძლავრებასა შენანებს და უკუნ უზღავს, და ანგარებასა აღურ ასხნასა ჰაბუეთა გემოვნებისა სიტკბოსა ათერიაკებს და ბორთად მიმოხედვასა დღეისისასა საუკუნოსა აღხილვისა სურვილითა მოფარდაგავს სახელთა, და შემდგომად არღარა მართლ უკუნ აქვიროებს ყრმათა, წესიერად წერითლ ჰყოფს და აღსარებისა საიდუმლოსა ყრბო. მალიად მალიად მყვანებს დედთა ენაწიგობასა და ბაგედლეობისა ჰაბუეთათვს, მრუმოვან ქმნადობისა მტყუწმულებსა აღუკრავს“.

ქალწულთა უმეტეს განამტკიცებს და გელსა მოკდომილსა უნებლიეთსა წარსა  
 ზორს განუტობს მონაზონთა წესსა და კანონსა მოაყენებს და გარდავაკლობა-  
 სსა და მგლოვარედ მღვდარე ჰყოფს და, რაღამე ვთქუა, ყოველსა ქრისტიანსა  
 მჭურვალებისა ცეცხლითა გამოაყურებებს და მრავალ წილ გამოდნობილ ჰყოფს  
 და აღუტყინებს ცეცხლსა მას, რომლისა მიფენად მოვიდა უჯალი ჩუწნი. და  
 პადღეს საყურკმოვანობასა ყურად იღებს, რომელსა იტყუს ვითარმედ: „უკეთუ  
 თავთა ჩუწნი განვიკითხებდით, არამცა განვიკითხებთი. უკეთუცა განვიკითხა  
 თავი თუხი აქაბს და არა გონებდა მიეპყრა ცოლისად, არამც საპოეციი ძენი  
 მოესროდეს და არამცა მეძავად სახელ სდებდა ღმერთი სახლსა მისსა, სადა  
 რტყუს: განმეძავენ სახელი აქაბისიო“. უკეთუცა დავითს განეხილა გონებდა, მა-  
 შინვე სინანულად მოიქცეოდა და არღარა დაიხანებდა ცოდვასა შინა, არამედ  
 ოღესცა განიხილა გონებდა, მაშინ შეინანა და მიერმცა ნათანას პიერითა მხა-  
 ლებითა თავი თუხი განიკანონა და რისხვა იგი დააცხრო და მარადის ილოცვიდა  
 და იტყოდა: „ღმერთო, რომელი გამოეძიებ გულთა და თირკმელთა“, — და მა-  
 შინვე განგვწყნა ლოცვა ესე და თქუა: „რა სთქუათ გულთა შინა თქუქნითა, სა-  
 რეცელთა თქუქნითა ზედა შეინანეთო“. და კუალად: „დავმუჭრი ჰე სულთქმითა  
 ჩემითა და ვბანო მარადლამე (მრადლამე) ცხედარი ჩემი ცრემლითა ჩემითა, სარე-  
 ცელი ჩემი დავალტო“. იხილე, ვითარ მარადლამე გვასწავებს ლოცვასა ამას,  
 რომელ დღვისისა ცოდვისათუს დღესვე შევინანეთო(!) და არა მიწყობრებთ, და  
 კუალად: ვრუნვიდე შე ცოდვისა ჩემისათუსო. და კუალად რა იგი არ მექმნა,  
 იხილეს თუთალთა შენთა და წიგნსა შენსა ყოველნივე შთაიწერეს. იხილე, რომელ  
 შემდგომთა ცოდვითა თუხსა ჯერ არს ლოცვითა ამით განკრძალვა და მარადის  
 შიში და კეთილისა წესისა დადგმა საქმეთა თუხითა, რათა არა წიგნსა ყოველთა  
 მსაჯულისასა შთაიწერეს. განიცადე კუალად მოციქულისა, რომელსა იტყუს: „ხო-  
 ლო სრულთა არს მტკიცე იგი საზრდელი, რომელთა წესითა მით საცნობელნი  
 და გონებანი წურთილნი ქონედ ვანჩევედ კეთილისა და ბოლოტისა“. გრწმენიან,  
 რამეთუ ლოცვითა ამით წურთილ იქმნების გონებდა და მისი ვანჩევედ კეთილსა  
 და ბოროტსა, რამეთუ მოციქულმან პეტრეცა განიხილა გონებდა თუხი და განე-  
 შორა ბოროტისა მიზნითა, და მაშინვე შეინანა. ლოცვა ესე არა დროს სცემს  
 დაყოვნებდ ცოდვასა, ამისთუს რამეთუ შესანდობელთა ცოდვითა ქმნასა მოაძა-  
 გებს და სასიკუდინითა პირულად სინანულად მოიყვანებს, და საბოლოთა ათთა  
 მცნობათათა შეარტავს, და მაშინადვე ძეღულებით წარითრებს აღსარებისა მიმართ  
 და ფრიად დაყოვლებულთა გესლთა წარმოთხვეჩინებს. დაღაცათუ კდარბისაებრ  
 ელოდ დღეს და ხვალე, ვითარცა იგი რა მუცლად იღებს და დარიქსივება მუც-  
 ლითა დედისათა და თანა ყვება ეკალი იგი საშოსა შინა, და ჯერეთ ნელაიას  
 ტკივილსა შეუქმს დედასა თუხსა, და გონიეს დღეს და ხვალე ვანერის ღმობასა  
 მას, არამედ რა უმეტესად აღიზრდების, ეკალიცა უფიქსესად ამახვილებიან,  
 და დღეს და ხვალეობასა შინა განებების მუცელი მშობელსა მას და მოკუდე-  
 ბის. ეგრეთვე შენ, რა მუცლად ილო ცოდვა იგი სასიკუდინითა ეკალთაგან გა-  
 რემო ქმნილი და ელოდ დღეს და ხვალე და მაშინვე არა შეინანო აღთქმითა  
 და სინანულთა ლოცვითა ამით, და არა მიხვიდე კანონისა და შენდობისა და  
 მწარისა სულთქმისა სიტყუთა აღსარებასა შინა, გრძლოთხთაებრ შეგემთხუტვისი,  
 და ვინოა იყოს მარკე შენი. იხილე იფიქიელის პირითა ვითარ იტყუს: „სული  
 წმიდაა „სიმართლემან მართლისამან ვერ განარინოს იგი, რომელსაცა დღესა  
 სცემს, და უსჯულოებამან უსჯულისამან ვერ მოკლას, რომელსაცა დღესა მოაქ-  
 ციოს უსჯულოებისაგან მისისა, და მართალსა ვერ ძალ უცხოვრებდ სიმართლი-  
 სათუს თუხისა, რომელსაცა დღესა ცოდოს (იფ. 33,12), მოიყვნე ვითარ რო-  
 მელსა ეამსა იბოებთ, რისა მოქმედ, მითვე საქმითა განიკითხევი. ხოლო შენ  
 უკეთუ დღეინდელსა ცთომასა დღესვე არა შეინანებ და არა განიხილავ გონებასა  
 და არა გსურის აღსრულებისათუს (მშე) მაშე, გეწია ანაზღუდული სიკუდილი გან-  
 სუტენებისა ცხედარსა ზედა და არა ცრემლითა დაღტობილსა რამე ყოფად არს  
 სასაგელი ღმრთისა, რომელსა იტყუს ეზეიელის მიერ: „გულსიკმაჲ ჰყავ ვითარ  
 მრავალნი გვიხილვენ ანაზღუდელისა სიკუდილითა მოპოედარნი მასა შინა და  
 მღერასა, ვინა ცხედარსა ანუ ველსა. ვინა უწყის ვითარ იყუნენ განმზადებულნი  
 თუ განუმზადებულნი. გონებდ მოვედ, ვითარ თავადი წინა დაგვდებს სახარებასა  
 შინა, რამეთუ არა უწყით, ოდეს იგი უფალი სახლისა მის მოვიდეს მუწხრი ანუ

შუალამესა, ანუ ქათმის კობასა, ანუ განთიად. ნუუკუჭ მევსეულად მოვიდეს და გპოვნეს თქუქნ მძინარენიო. აღიკსენე ვითა გონებისა განუხილვითა და მაშინადვე შეუნანებელთა უწოდს მძინარედ, და ვითარ ჭამთა და ღრითა ტკბილად გვასწავებს ესევეთარისა სინანულისათა, რამეთუ ამით ესევეთართა შეისმენს ღმერთი, ვითარცა იტყუს პირითა ესაიასითა, რამეთუ: „ერმან წმიდამან სიონს შინა დაიმკურდოს და ისრამლისამან (იძლმმნ) ტირილით იტირა: შემიწყალე მე, შეგიწყალოს შენ კმისა ღაღადებისა შენისა რაჟამს იხილა შეგოწყალა შენ, და კუალად ვითარ ილოცა ეზეკიამან უფლისა მიმართ, ვითარცა წერილს არს: „და ისმინა ღმერთმან და მიუვლინა წინაწარმეტყულები ესაია. და შესმენეს ლოცვანი შენი და უყო რატა ითხოვა: და ანგელოზისა კელითა მოსრნა მტერნი მისნი. და კუალად დაუტევენ უთნომან გზანი მისნი და მოიქცეთ უფლია მიმართ და შეწყალებულ იქმენით, რამეთუ ფრიად მიგეტევენ ცოდვანი თქუქნნი“. განიცადდეა იერემიას მიერი, ვითარ იტყუს: „მხადოდიით მე და მხილოდიით და ილოცეთ ჩემდამი და ვისმინო თქუქნი“. და კუალად გოდებასა შინა: „ვახდე სახელსა შენსა, უფალო, მღვიმისგან უქვებისაო“ (გოდება 3,55), რამეთუ სიღრმითა გულისათა ვამს ლოცვა ესე, რომელ უქვეშე არს მღვმისა გონებითა განხილულთა ვედრებაჲ, ვითარცა მღვიმით მოქენესა არა აქუს საქვირგობი არცა მარჯულ და არცა მარცხლ თვინიერ ერთისა ზენათ კერძო აღსახედისა მიმართ. ეგრეთვე შენ ლოცვითა ამით შინა ნუ მაქცევ გონებასა მიმო იმიერ, გინა ამერი სოფლისად, არამედ ვითარცა იგი მხოლოდ აღიმხედგარე გონებით ზენით მიმართ ერთისა მის სახედისა და სთქუ: კმისა ჩემისა გესმა, ნუ დაფარავ ყურთა შენთა ვედრებისამო, ჩემისა და ღაღადებისა შეწვენად ჩემდა. მოვახლე დღე, რომელსა გვახდე. მარქუ მე: ნუ გეშინნი, დაღაცათუ იოანასებრ შთაუნთქამხარ ცოდვითა მუცელთა თუსთა და დაუხმენლებიეს სულისა თუანნი, რათა არა განიხილო გონებაჲ. ვითარცა იგი ვერ არს მხედი არა თუ (ხელნაწერში შეცდომით უთა) მუცელთა მისთა, ეგრეთ შენ მაშინცა ელოცე სიღრმით მოკსენებად შთათქმელთა მათ შენთა ცოდვითათჳს და წარმოიშობო დღე შუა ნათელთა მათ სინანულისათა. და მერმეცა მოვედ და ზაქარია წინასწარმეტყულებისა ყურად იღე და ქმენ, ვითარცა იტყუს: „და განვლო მესამედი ცეცხლისა მიერ და განვკურენე ივინი“. ვითარცა განკურადების ვერცხლი და გამოვსადენე ივინი, ვითარცა გამოიცილების ოქროთჳს (წინასწარმეტყველება ზაქარიასი, 13,9). შენცა ესრეთ ქმენ და გამოკურდი ლოცვითა ამითა და ცეცხლისა სინანულისათა. იქმენ ვეცხლ უმანკო და პატიოსან, ვითარცა ოქრო და გექმენს კუალად, რა იტყუს: „ესრეთ უწოდდეს სახელსა ჩუქნსა და მე ვისმინო მისი“ და ვთქუა: ერი ჩემი არს ესე...“ (წინასწარმეტყველება ზაქარიასი, 13,9) (97v).

2. ტექსტი ფურცლების დაკარგვის გამო წყდება. A—908 ხელნაწერის მიხედვით აკლია 6 გვერდი.

3. მთარგმნელის კომენტარის დასაწყისში კიდევ ჯერის უორმით მიწერილია: „და შეივედროს წყალობასა ღმრთისასა და მეოხებასა ქალწულისა მარიამისასა და მფარველობასა თუსისა ანგელოზისასა, სარეცელი თუსი საფლავად შერაცხოს და ოდეს დაწვეს, იტყოდეს: მ, იესუ, მარიამ, იოსებ კელითა თქუქნითა შევედრებ სულსა ჩემსა და ყოველად განზრახვითა სიტყუაჲთა და საქმეთა ჩემთა, ჩემთა, ამინ“ (93v).

4. თარგმნილი ლოცვის დასაწყისი ფურცელზე, კიდევ მიწერილია: „ყოველსა მწუხრსა კაცმან. ქრისტიანემან უწინარეს დაწოლისა ჯერარს, რათა ილოცოს ჰემშარიტად ამისთჳს, ხოლო ვინ უწყის თუმცა ანახდელი სიკუდილი ეწიოს და ვანუშხადებელი იპოვოს. ამისთჳს ესე ლოცვა ილოცოს, რომელ არს გონებისა განხილვისა, რომელიცა განიყოფების ხუთად ნაწილად:

მადლობად 1

თხოვად 2

განხილად 3

სინანულად 4

პაემნის დადებად 5

და თუ ვითარ პნებაჲს ქმნად: უკეთუ სახლის უფალი იყოს და კელის ქუეშეთნი აქუნდეს, ყოველნი ერთად შემოკრიბოს და ყოველთა ჭუარი გამოასახენოს. და



უკუეთუ არა აქუნდეს, თუთ ესრეთ წართქუას“ (91r). თარგმანში თიხოველი ნაწილი გამოყოფილია და სათაური მიწერილია აშიაზე.

5. A—908 ხელნაწერის მიხედვით ნათელია, რომ მთელი წიგნი ლათინურიდან სომხურ ენაზე უთარგმნია თბილისელ მოქალაქეს მოძღვარ ჰეცრეს, ხოლო სომხურიდან ქართულად ორ კაცს. დასაწყისიდან ვიდრე მესამე განზრახვამდე იოანე ორბელიანს, ხოლო დანარჩენი დავით მესხს (იხ. A—908, 1r).

6. თხზულებასთან დაკავშირებით იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 74, სქ. 4.

## 847

## ლიტურგიკული კრებული: 1743

11+105 ფ.; 15,5×10,5; თეთრი ვალესილი ქაღალდი; ტყავდაკრული ფიკრის ყდა; რომელსაც აქვს ვერცხლის პატარა ბალთები; შიგადაშიგ ფურცლები ამოკვენილია; ნუსხური; შავი მელანი, სათურები სინჯურით; ნაწერია ორ სვეტად; სვეტები მოვარაყებულ ჩარჩოშია ჩასმული; ხელნაწერი შემკულია თავსამკაულეებით (3r, 10r, 39r, 34r, 57r-v, 68r, 77r, 82r, 90r, 99r) და მხატვრულად შესრულებული ხეული მოავრული ასოებით; გადამწერი: ნიკოლაოს (76r), 1743 წ. (1v), დაუწერელია: 11v, 2v, 9v, 28v, 56v, 57r-v. 67v, 81v, 89v, 98r-v.

1. „წესი და განგება წმიდისა ზიარებისათს. — ოდეს გენებოს შეწირვა უსისხლოსა მსხუჭრალისა, წინა დღე მცირე სერობისა ილოცე ესრეთ: კურთხეულ არსი, მეუფეო ზეცათაო, წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუწნო, კს<sup>ნი</sup> იბ, მოვედით თაყუანისვ. გ მიწყალე, ღმერთო შეწვენასა ჩემსა, უფალო შეისმინე, დიდებამ მაღალთა შინა, და ღირს მყვენ, მოწამესი, და მეყსეულად ვალობამ ესე კ<sup>ა</sup> ბ. უვალობდითსა. — დიდებამ შენდა, ღმერთო ჩუწნო, დიდებამ შენდა. მოვედით ერნო. პური ცხოვრებისა საუკუნოსა მექმენინ...“ 3r—9r.

შენიშვნა: სათაური ხეული ასოებითაა შესრულებული.

2. „ლოცვა წმიდისა ზიარებისა წმიდისა მამისა ჩუწნისა ბასილისი. — წმიდისა მამისა ჩუწნისა ბასილისი: მეუფეო, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუწნო, წყაროო სახიერებისა და უკუდავებისაო და ყოვლისა დაბადებულისა. ხილულისა და უხილავისა, შემოქმედისა, დაუსაბამოსა მამისა თანა, დაუსაბამოო ძეო...“ 10r—24v.

შენიშვნები: 1. სათაური აქაც და საერთოდ ყველგან ხეული ასოებითაა შესრულებული.

2. ამ თავში ბასილის ლოცვის გარდა შედის: ა) „ლოცვა ბ ზიარებისა, წმიდისა მამისა ჩუწნისა იოანე ოქროპირისა“ (11v—12v), ბ) „ლოცვა გ, წმიდისა სუმეონ მეტაფრასისა“ (12v—13r), გ) „ლოცვა დ ზიარებისა, სუმეონ მეტაფრასისა“ (13r—15v), დ) „ლოცვა ე ზიარებისა, წმიდისა მამისა ჩუწნისა იოანე და მასკელისა“ (15v—16r), ე) „ლოცვა ვ ზიარებისა, წმიდისა დიდისა ბასილისი“ (16r-v), ვ) „ლოცვა ზ, წმიდისა სუმეონ ახლისა ლიმეტყუმლისა“ (16v—18v), ზ) „ლოცვა თ ზიარებისა, წმიდისა იოანე ოქროპირისა“ (18v), თ) „ლოცვა ი ზიარებისა, იოანე ოქროპირისა“ (19v—20r), ია) „ლოცვა იბ ზიარებისა, თქმული წმიდისა მამისა ჩუწნისა დიდისა ბასილისი“ (20r—23r), იბ) „ლოცვა იგ, ზიარებისა იოანე ოქროპირისა“ (23r—24v).

3. „შემდგომად ზიარებისა ვიტყვთ ამას: დიდებამა შენდა ღმერთო, ღმერთობამა შენდა ღმერთო, დიდებამა შენდა ღმერთო, ამისსა შემდგომად ლოცვამა ესე სამადლობელი შემდგომად ზიარებისა. — გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ არა მომიძაგე მე ცოდვილი, არამედ, ზიარ ყფდ მე სიწმიდეთა შენთა...“ 24v—27v.

**შენიშვნა:** „სამადლობელი“ შედგება შემდეგი ლოცვებისაგან ა) „ლოცვა შემდგომად ზიარებისა, თქმული მისივე“ (25v—26r), ბ) „ლოცვა დ შემდგომად ზიარებისა, წმიდისა ბასილისი“ (26r), გ) „ლოცვა ე შემდგომად ზიარებისა, თქმული სუმონ მეტაფრასისა“ (26r—27r), დ) „ლოცვა ვ შემდგომად ზიარებისა კრიულე ალექსანდრიელისა“ (27r), ე) „ლოცვა ზ შემდგომად ზიარებისა, წმიდისა მიმართ ლისმობელისა“ (27r-v).

4. „სადიდებელნი გალობანი უფლისა ჩუჲნისა იესო ქრისტესნი. — უგალობდითსა, კ ა ბ, გ ი, ზ დ მე წმლ.“

იესუ, ტკბილო, ქრისტე, იესუ სულგრძელო სულისა ჩუჲნისა, წყალობანი განაკურნენ იესუ და დაატკბე გულნი ჩემნი...“ 29r—33r.

**შენიშვნები:** 1. გალობას უძღვის სინგურით შესრულებული წინათქმა: „სადიდებელნი გალობანი უფლისა ჩუჲნისა იესო ქრისტესნი ბერძულისაგან რუსულად თარგმნილი, ხოლო რუსულისაგან ქართულად თარგმნილი საქართველოს მეფის ძის ალექსანდრეს მიერ, კურთხეულმა არს საქსენგებელი მისი ან“ (29r). ეს არის სრული კანონი, რომელსაც ერთვის „დასდებელნი სინანულიანი უფლისა ჩუჲნისა იესუ ქრისტეს მიმართ“ (32v—33r).

2. ტრ. რუხაძე მიიჩნევს, რომ ეს საგალობელი 1737—1744 წლებში დაიბეჭდა იოსებ სამეგელის მოსკოვის სტამბაში (იხ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობიდან XVI—XVIII სს., თბილისი, 1960, გვ. 184). „ქართული წიგნის“ მიხედვით (გვ. 48) დასტამბული ტექსტი იწყება: „პირველ ეკლესიად რუსეთად თქუ ლოცვა ესე: ვიხარე, რომელთა მრქუეს...“ ხელნაწერთაში წარმოდგენილი კანონის დასაწყისი არ უდგება.

5. „დაუჯდომელის განგება. ხოლო ცისკრისსა [ვრ]ეკეთ ეამსა მეხუთესა განგებისათს დაუჯდომლისა. და შემდგომად დაწესებულთასა. ღმერთო უფლისა და ზედა — ბრძანებული ჩუჲნდა. ხოლო ფსალმუნებთ კანონსა ორსა და შემდგომად პირველისა კანონისა ვიტყვთ კონდაკსა ღმრმობლისასა: ზეშთა მბრძოლისა და ექუსთა შედეგთა მისთა, და შემდგომად კონდაკისა. — ზეშთა მბრძოლისა, — და მერმე ვიკითხავთ საკითხავსა მის დლისასა, რომელსაცა განგყოფთ სამკითხვად. და კუალად ფსალმუნებთ: ნეტარი არიანთა, და შემდგომად ვიტყვთ: ზეშთა მბრძოლისა და ექუსთა შედეგთა მისთა. და კუალად ზეშთა მბრძოლისა და ვიკითხავთ ნეშტსა საკითხავისასა. ამისსა შემდგომად მიწყალე და გალობანი დაუჯდომელთანი...“ 34r—56r.

**შენიშვნები:** 1. ლიტურგიული მითითებების შემდეგ მოდის საგალობლის ტექსტი.

2. საგალობელში ჩართულია კანონი, ხოლო დაუჯდომელის შიგელი ტექსტის შემდეგ მოდის: „სენაქსარი. პირველად თენისა და მერმე ესე დღესა ამას ვლდესასწაულობთ დაუჯდომელსა გალობით ყოვლად წმიდისა დიდებულისა დედოფლისა ჩუჲნისა ღმრმობლისასა ესეგითარისა მიზეზისათს, რამეთუ ეამსა ერეკლე ბერძენთა თუმბყრობელისა მის მეფისა ეამსა, იხილა სპარსთ მეფემ ხოსრომ...“ მოთხრობილია კონსტანტინეპოლის განათვისუფლება სკვითთა, სპარსთა და არაბთაგან“ (44v—49r).

3. ტექსტი პირველი ორი სტროფის მიხედვით მიყვება Sin № 5 (160r) და H—98-ის მეორე ტექსტს.

5. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა



6. „პარაკლისი სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღმრთისა მიმართ. — მღვდელმან კწრსი. მოვედით თაყუანისა. გ. უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისა, ყურად იღე ვედრებამ ჩემი კეშმარიტებითა შენითა, შეისმინე ჩემი სი-მართლითა შენითა...“ 58r—66v.

7. „პარაკლისი სავედრებელი წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა მიმართ. — მღვდელმან კურთხეულ არსი. მოვედით თაყუანისვც. გ. უფალო შეისმინე სრულიად. აღილუია გ. ღმერთი უფალი. და ზედა ოხითა, კწა ბ. — წინა მორბედო და ნათლისმცემლო, და უდაბნოსა მოქალაქეო, რომელსა გესმა საღმრთოთა ეგე ვამა მამისა, რომელი ღირს იქმენ ძისა და უფლისა ნათლისცემად...“ 68r—76r.

8. „სავედრებელნი ვალობანი ანგელოსისა მიმართ მცველისა. — უვალობ-დითსა კწა დ გწი. უვალობდეთ უფალსა, რომელმან განიყვანა ერი თვისი ზღუფსა მას მეწამულსა მას მხოლოსა...“ 77r—80v.

9. „ვალობანი ყოველთა წმიდათა სავედრებელნი. უვალობდითსა, კწა ბ გწი. წამისყოფითა. — უკორცოთა კრებულნო, ზეცისა ერთა ბანაკნო, მგალო-ბელნო ყოვლად წმიდისა...“ 82r—89r.

10. „განგება ათანასისა უქმი, ღვინო და ზეთი ბ გზის. უფალო ღმრთი. კწა დ. მკნეონი. — სწავლათა წენთა(!) ელვამან უკუდავებისა ყუავილნი, ათა-ნასე ნეტარო, აღმოაცენნა და ღვაწლთა მათ შენთა წყმანი...“ 90r—97v.

11. „ლოცვა უკეთუ მღვდელსა დაცემა შეემთხვიოს ძილსა შინა. — შემ-დგომად დაცემისა მეყსეულად აღდგეს და თქუას: კურთხეულ არსი, წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუწნო, რამეთუ შენი არს სუფევა. კწანი იბ. მოვედით თყწის გ. მიწყალე — სრულიად, ოფალო შეისმინე ლოცვის სრულიად. ღმერთო შე-წვენას სრულიად. დიდებამ მალათა შ. — სრულიად. მრწამს ერთი — სრუ-ლიად. გვკსნენ გვლზინე. ოხითა. იბაკოა მის დღისა და ზედა ესე ოხითა. კწა ბ. — ვცოდე შენდამი მაცხოვარ, ვითარცა უძღებმან შკლმან. შემიწყალე მე მამაო...“ 99r—105v.

**შენიშვნები:** 1. ლოცვაში გამოყოფილია: ა) „სხუთა ლოცვა ბასილისა“ (101v—102r), ბ) „ლოცვა წმიდისა მამისა ჩუწნისა იოანე ოქროპირისა“ (102r—103v).

2. მთელ ხელნაწერში სათაურები მოხატულია და ხვეული ასოებითა შესრულებული.

3. 1v-ზე მხედრული ხვეული ასოებით შესრულებულია გადამწერის ანდერძი: „ადიდეს(!) უფალმან ბატონისშვილი ანტონი, რომლისა ბრძანებითა აღვსწერე წიგნი ესე, მწერალ მჩხაბავ მჩხაბავ(!) მზვერავმან სი[ო]ნის დეკანოზის შვილ-მა ნიკოლოზ, ქკს ულა“.

4. ხვეული ასომთავრულით 11v-ზე წერია: „ნიკოლოზ აღწერე“.

5. 11v-ზე ასევე ხვეულად: „ბატონისშვილის ანტონისა“.

6. 28r-ზე ასომთავრულით ხვეულად: „ნიკოლოზ მწერალი“.

7. 81r-ზე ვკითხულობთ „ნიკოლოზ ემუშაკობ“.

8. 56v-ზე არის გამოხატული ჯვარი, რომელიც უპირავეთ გველვაპებს.

**ანდერძი** (გადამწერისა): „ყოვლად წმიდაო ქალწულო, შემწე მეყავ დღესა განკითხვასა მწერალსა ამისსა ნიკოლოზს“ (76r).

**მიწაწერები:** „ღმერთმან საუკუნოსა ნეტარებასა შინა გადიდოს ვანისუნებუ-ლო დეკანოზი ნიკოლოზს, რომლისაცა ყოვლად შუწნიერი ესე ღვაწლი მიპყრეს მე უძრფასეს საუნჯედ გლაზკს ბერს, მღვდელმონაზონს ტარასის, სოლომონ დეკანოზის ძეს ალექსიშვილს, რომელსაცა მანიჭა მისმა ბრწყინ-ულადამ ღვარსაბ ზაზას ძემან თარხნისშვილმან ნიშნად თვისს ჩემდამო სულიერის სიყვარულისა და მეგობრობისა, წელსა ჩულე“ (2r). (უზის ბეჭედი. ეგვეე ბეჭედი დასმულია 105v-ზე).

## სადღესასწაულო (ფრაგმენტი). XIX

1+35 ფ.; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; შავი მელანი; სათურები სინგური; [XIX ს.]; კვირნიშანი 1825 წ. (ფ. 16 და 31); დაუწერელია: 1v, 13v, 35v—35v.

[სადღესასწაულო], — „თთუცსა აგვსტოსა ივ. წარმოყუანება ედესით კოსტანტინეპოლედ ხელითქმნელისა ხატისა უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტისი, ესე იგი არს წმიდისა ტილოსი, და წმიდისა მოწამისა დიომიდესი. უფალო დაღადყავსა ზედა დასდებელი, მუხლი ვ, კმა დ. რომელი იწოდე. — ხატი და ბრწყინულება ლთისა მამისა მოწყალებითა გამოუკლველითა ნებსით თვისით კაცი იქმნა და ხატი მონისა მიიღო...“ 1r—25r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი წარმოადგენს სადღესასწაულოს ფრაგმენტს.  
 2. შეიცავს 16 ავეისტოს და 26 სექტემბრის განგებებს.  
 3. A—151-თან შედარებით 26 სექტემბრის განგება სევაობს როგორც მასალის დაღაგებით, ასევე საღალობლებითაც. ხელნაწერი ძირითადად იმერტებს ანტონის რედაქციას, შდრ. S—1464.

მინაწერი: „ნიკონის ბიბლიოტეკისა“ (ზედა საცავი ფურცლის r).

## ამბავი მაჰხმადის თარგმანთა შინა ფსალმუნთასა. 1821

11—69 ფ.; 12,5×9,5; ქალაღი; მოვარაყებული წითელი მუყაოს ყდა; მხედრული; შავი მელანი; სათურები სინგური; შემდგენელ-გადამწერი თეიმურაზ ბატონიშვილი (62v); 1821 წ. (62v); დაუწერელია: 1r—11v, 64r—69v.

„ამბავი მაჰხმადისი თარგმანთა შინა ფსალმუნთასა შემოსმული და წიგნთაგან მაჰხმადიანთასა გამოღებული და ნათესაობა მათთ. გალობა, ფსალმუნი ახაფისი(?) კბ. — ესე ფსალმუნი წინასწარმეტყუელმან აგარიანთა ნათესავისა და ისმიიტელთათვის თქუა, რამეთუ წინასწარ ხედვიდა სულთა განმრავლებასა მათსა და განფენასა ყოველთა კიდეთა ზედა...“ 1r—62r.

ანდერძი (გადამწერ-შემდგენელისა): „აღვსწერე წიგნი ესე განმარტებაჲ კბ ფსალმუნისა, რომელიცა გვაუწყებს წლეილიად(!) სარწმუნოებასა მანმედლიანთასა და სჯულსა მათსა ყოვლისა კეთილმსახურებისაგან განვრდომილისა გარე.“

ოთუ ჳელითა ჩემითა ვიწრომე მე — მეფის ძემ თეიმურაზ ქრისტესით წელსა 1821, სექტემბრის 19. ხოლო ქართულსა წელთმოქცევასა დასაბამითაგანსა შეათოთხმეტისა ქორანიკონისასა 509-ს პეტერბურგს“ (62v).

2. „ვითარცა ნათლისა და შარავანდელისა განწორება შეუძლებელ არს მზისაგან, ეგრეთვე არა ძლიდების ჳეშმარტისა ქრისტეანეთა სარწმუნოებისაგან განწორება სიმართლისა და კეთილმოქმედებისა. ხოლო სარწმუნოება და მსჯული მოცემული მოჰმედის მიერ ყოვლითურთ წინააღმდეგომ არს ამისსა. მაშასადამე, ბნელ არს იგი და ყოვლითურთ საცთურ არა ჳეშმარტება, არამედ სიცრუე და არა კეთილისმოქმედება, არამედ ყოველი ბოროტის მოქმედება, რომელიცა ზარადის შეუღდების მას და წარსწყმედს დიდებისაგან ლთისა ყოველთა შემდგომთა მისთა.“

მომიხსენეთ მხილველთა და წარმკითხველთა ამისთა მეფის ძე თეიმურაზ (63r-v).

მინაწერი: „ხოლო მე, ამის მეფის ძის თეიმურაზისაგან ვიჩუქე წიგნაკი ესე, რომელსა ვმსახურე ოთხ წელ სასახლის ეკლესიასა შინა მღვდელ-ლად. იერომონახი ტარასი“ (63v).

## 350

## ფსალმუნნი. XVI

X + 178 ფ.; 10,2×7,5; აქვს რვეულბრივი აღრიცხვა; ქაღალდი გაყვითლებული, დალაქავებული. ფ.ფ. I—X და 171—178 გვიანა ჩაყვრებული ხელნაწერში; ტვიფრული ტყავადაკრული ხის ყდა, ყუაზე სამი ჭვარი, ხოლო ზემო ყდაზე ერთი დიდი ჭვარია ამოტვიფრული; ბოლონაკლული, ამოვარდნილია ფ. 89; ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით. ილუსტრაციები: 1v, 2v, 3r (ილუსტრაციები და დავით წინასწარმეტყველის გამოსახულება ბერძნული ნაბეჭდი წიგნიდანაა ამოპირილი და შემდეგ ჩაწებებული ხელნაწერში). მხატვრულად გაფორმებული საზედაო ასოები: 16r, 24v, 32v, 48v, 56r, 73r, 82v, 92r, 131v; [XVI ს.], აქვს ჭვირნიშანი; გადამწერი: იოანე ჩანჩა(ი) (128v); დაუწერელია: 1v—Xv, 1r, 2r, 170v—178v.

[ფსალმუნნი]. „ფსალმუნი დავითისი პირველი. ალ. — ნეტარ არს კაცი. რომელი არა მივიდა ზრახვასა უღთოთასა...“ 3r—158r.

შენიშვნები: 1. ერთვის: ა. „გალობანი“ (158v—169v); ბ. ანდერძი გიორგი მთაწმიდელისა „თარგმანებისათვის დავითისა“ (157v). ანდერძი ბოლონაკლულია. სრული ტექსტი იხილეთ აქვე A—351-ის აღწერილობაში, (შენ. I ბ). გიორგის ანდერძი ამ ხელნაწერიდან გამოქვეყნებული აქვს ა. შანიძეს წერილში: „უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო (ოსუ მოამბე, ტ. 2, 1923, გვ. 405).

2. 170r-ზე შემორჩენილია ნაწყვეტი ფსალმუნთა საძიებლისა.

3. ფსალმუნი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა. ფსალმუნის ეს რედაქცია დაბეჭდილია. იხ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მშეკალა შანიძემ, თბ., 1960.

4. 103v-ს ქვემო კიდზე გადამწერის ხელით დაწერილია კრიპტოგრაფია, რომლის პირველ ნაწილში იკითხება „ხრისტოს იესუს“.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი იოანე ჩანჩა, ეკა“ (128v).

მინაწერი: „ნიკონის ბიბლიოტიკისა“ (1r).

## 351

## ფსალმუნნი. 1494

168 ფ.; 10×7,5; ეტრადი; მწვანე ფერის ტვიფრული ტყავადაკრული ხის ყდა, ლითონის ორი საკეტი, ერთი გატეხილია, ყდის შიდა გვერდზე დაჭრულია წითელი ფერის ქაღალდი; ნუსხური, სათაურები და დასაწყისები ოქროსფერი მელნით. ფერებში შესრულებულია დავითის სურათი, რომელიც ქანარზე უკრავს (2r), თავსამკაული: 3r; 1494 წ. (165r); გადამწერი: ამბროსი (165r); დამკვეთი: მშეკალე ყვარყვარის ძე (164r-v); დაუწერელია: (2r); ხელნაწერი აღრე ეკუთვნისა ჭუათახევის მონასტერს (167v).

[ფსალმუნნი]. „ფსალმუნი დავითისი პირველი. ალ. — ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა...“ 3r—150v.

შენიშვნები: 1. ერთვის: ა. გალობანი (150v—163v); ბ. ანდერძი წმიდისა გიორგი მთაწმიდელისა. — წმიდანო და ღმერთშემოსილო მამანო და ძმანო, რომელნიცა წმიდათა ამთ დავითთა მიემთხვენთ, ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ფრიადითა იძულებითა წმიდათა და სულიერთა მამათა ჩემთათა ვთარგმნენ ესე დავითნი ახლად ბერძულისაგან ქართულად მე, გლახკმან უღირსმან გიორგი ხუცეს-მონაზონმან ფრიადითა ქირითა და რულუნებითა; თუთ იცის ღმერთმან, მრავალთა ბერძულთა [ღედათა]

და დავითის თაოგმანთაგან შეგვწამებია ფრიაღითა გამოწულივითა და გამოძიებითა.

ა<sup>7</sup> გვევდრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხვივნეთ წმიდათა ამთ დავითთა, რთა ჩუშნთუხ ლოცვაჲ ჰყოთ და ვინ სწერდეთ, ვითა აჲა ჰპოოთ, ეგრეთვე შეუცვალებლად დასწერდეთ, ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ. ჩუშნ რომელი ჯერ იყო ჩაგურთავს და რომელი ჯერ იყო დაგვკლია, ვითა ჩუშნსა ენასა მოვიდოდა და წესი საქმისა ეძებდა, ნუცა დონ-ანსა დააკლებთ, ნუცა რამეთუსა.

და ესე ეგების გონიერისაგან გულის-ჰმის ყოფად, რომელი იგი დონ-ანი ჩუშნსა ვიციოდით და თუმცა რაას ავინებდა გინა იგი, გინა სხუაჲ რომელიცა სიტყუაჲ არა დაუტეობდით, არცა აღმოგვპოცდით, ხოლო უკუეთუ ვინმე ამას ჩუშნსა შრომით და რუდუნებით ჰქმნილსა და ყოვლითა ჰუმარბრებთა სავსესა ნაშრომსა და აღწერილსა არა ჯერ იყოს და კე იციოდის ანუ ლარ, გინა ოტი ანუ ლმერთი და უფალი. გინა თუ რიტორიცა იყოს ანუ ფილოსოფოსი, მაშა ჩუშნსა ნაშრომსა ჴედა ნუ ბრძნობს ახლად, თუთ ვითა გინდა თარგმნეს სხუანი დავითნი, არას ვზრუნე, და თუ ქართულთა დავითთა დაიწერდეს, ჴუბარი აქუს და კურთხევაჲ, რომელმან კულა [ჩუშნი დავითი გინა ჴეპირი] იძალოს, გინა ესე მრავლეთა სისხლითა თარგმნით წინა დავითსა და მოსარყუნად და ჴე-ქუშ ქვევად დაუწყოს, სასჯელი მოჰვადენ დღესა მას საშინელსა სასჯელი-სასა; და ვინ ამა ჩუშნთა დავითთა დასწერდეს და ესე ჩუშნი დაწერილი ან-დერძი არა დაწეროს, ლმერთსა მან გასცეს პასუხი, უკეთუ მე, გლახკმან, ესე-ოდენ ჰორი ვნახე და ესე უსასყიდლო მარგალიტი არა დავიცოვე აღწერად გან-მანათლებულად მკითხველთა და მსმენელთა, მას ამა ორთა სიტყუათა დაწერა რად ჴარ ავ? და წმიდასა მამასა ეფთჳმეს ნუ ვინ იმოწმებს? წმიდამან მამა-მან დავითი თარგმნა და მწერალსა ვისმე მისცა დაწერად და მან ვანარყუნა და უქმარ ყო, და მიერთვან სხუაჲ არაღარა თარგმნა, არამედ ქართულნი დავითნი თანა ესხნიან და სადაცა სიტყუაჲ ევმარებოდის მუნთ ეწამის, და ამითისა ჴუმარიტებისა მოწმედ და სიმართლისა მყავს ყოველი საბერძნეთი და ყო-ველნი ბერძენნი დავითნი. ვის არა ჰრწმენეს, შეაწამენ“ (166r—167r). ანდერ-ძი გამოქვეყნებულია იხ. ფსალმუნის ქვემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 027.

2. ხელნაწერი დედნად ყოფილა გამოყენებული ან უნდა გამოყენებით სხვა ხელნაწერისათვის. ამ.ზე მიუთითებს ხელნაწერის კიდებზე ნუსხურით გაკეთებული შენიშვნები: „დაფარნა ცანი დასწერე აჲა“ (156v—157v); „აჲა აღდგენ მკუდარნი დასწერე“; „აჲა წითლული ვალობაჲ ჴაჲა ორისი და კურთხეულ არსი...“ თუ ვისმე გენებოს ამ ფურცელს იქით ანდერძი დასწერე, კიდევ უნდა“ (162v).

3. 168v-ზე მხედრულთ დაწერილი მინაწერი ამოუშლიათ და აღარ იკითხება.

4. ხელნაწერი გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაა. ამ რედაქციის ტექსტი გამოქვეყნებულია, იხ. „ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მუქელა შანიძემ“, თბ., 1960.

5. ამ ხელნაწერის შესახებ იხილე „ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული აღბომი შეადგინა ილია აბულაძემ, თბ., 1949, გვ. 313, ან 1973, გვ. 236—237, 371; ლ. შერვაშიძე, მინიატურები ჴუთ. № 115 და ლენინგრადის ხელნაწერისა № 58 (სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 14, № 1, 1953, გვ. 60) ე. მაჴავარიანი, რუსთაველის პორტრეტი ე. წ. ჴაზასეული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერიდან (პალეოგრაფიული ძიებანი, II, 1969, გვ. 51).

ანდერძები: 1. (ოქროსფერი მელნი): „ნათელი სოფლისა, უფალო ჴრისტე ლმერთო, ღირს ყავ განათლებად სულით და კორციით ნათელსა შინა ღვთაე-ბისა შენისასა სუფევად უკუე პატრონი მ ჴეჴა ბუჴ, რამეთუ ფრიაღ მოსურ-ნე არს სწავლად საღმრთოთა მცნებათა შენთა“ (163v).

2. (ოქროსფერი მელნი): „დიდებაჲ და მადლობაჲ დასაბამსა და სრულე-ბასა ყოველთა არსთასა და არა არსისაგან მომყვანებელსა არსთა არსებისასა ლმერთსა ჩუშნსა, რომელი იგი მარადის არს და მარადის სამგუამოჯან და ერთ არს, რომლისა მომადლებთა და წყალობითა და მეოხებითა ყოველთა სათნა-



თა(!) მისათა და წმიდისა [ღთის]მშობლისათა სრულ იქმნეს წმიდანი ესე ღმერთის ფსალმუნნი ბრძანებითა ღიდისა წარჩინებულისა თუთ-მყრობელისა პატრონის ყუარ ყუარეს ძისა, მენისა და ახოვნისა პატრონის მზექაბუჯისითა, რომლისა მრავალმცა არინ წელნი სუფევისა მისისანი და კსენება მისი მოუკლებელ ყოს ღმერთმან სიმრავლესა შინა ქამთასა, ამინ“ (164r-v).

3. (შვი და ოქროსფერი მელნი): „აღაწერიენ წმიდანი ესე დავითნი მე, მონამან და მოსავეს ქრისტეს ღმან მზექაბუჯ, საქსრად და საცოდ სულისა ჩუენისათა, და შესანდობლად მშობელთა ძმათა და ნათესავთა ჩემთათჳს. აწ ვინცა მიემთხვენეთ, ესრეთ შენდობასა ბრძანებლით პატრონსა დედის იმედსა. ცოდვანი მისნი შეუნდოს ღმერთმან. პატრონი ყუარ ყუარე აღღვგრძელ და ცოდვანი მისნი შეუნდოს ღმერთმან. პატრონსა ქაიხოსროს შეუნდოს ღმერთმან. პატრონსა მზექაბუჯს შეუნდოს ღმერთმან. პატრონსა ბაადურსა შეუნდოს ღმერთმან. ყოველთა ძმათა და ნათესავთა ჩუენთათჳს შენდობასა ბრძანებლით, რათა უფალმან ღმერთმან ჩუენმან ჩუენცა და თქუენცა მოგვესენეს“ (164v—165r).

4. „გათავდეს ქორიციონსა რაბ, აპრილსა კე კელთა ფრიად ცოდვილისა მწერლისა ამბროსესითა. უფალო ღმერთო, მოუკლებელ ყავ კსენება პატრონის მზექაბუჯისი, ამინ“ (165r).

5. „ღმერთო შეიწყალე ამის გამკეთებელი იოანე“ (167v).

მიწაწერები: 1. (მხედრულით): „ქებათახევის მონასტრისა არის, მეფის გიორგის ძის, ბაგრატ ბატონიშვილის შვილისა დაკითხისაგან არს მოცემული 1847-ში“ (1v).

2. (მხედრულით): „წიგნი ესე ეკუთვნის ქუათახევის მონასტრის ბიბლიოტიკას აღწერთა 1855-ის წლისათა. არხიმანდრიტი ტარასი“ (3r—23r).

3. „წელსა ქრისტესისგან 1494-სა“ (165r).

4. (ნუსხურით): „მე, ფრიად ცოდვილმან ქავქავასძემან როსტევან, აგარიანთა კელისგან გამოვიკენ და ვიყიდე დავითი ესე სულისა ჩემისა სამლოცველოდ და ცოდვათა ჩემთა შესანდობლად ჩემთა აღლითა(!) საქონლითა. აწ ვინცა მიემთხვენეთ და ანუ იეთხვიდეთ, ჩემ ცოდვილისათჳს შენდობასა ბრძანებლით, რათა უფალმან ღმერთმან თქუენცა შეგინდვენს“ (165v).

5. (მხედრულით): „წიგნი ესე ეკუთვნის ქუათახევის მონასტრის ბიბლიოტიკას აღწერთა 1855-ის წლისათა. არხიმანდრიტი ტარასი“ (167v).

6. (ფანქრით): „1854—1494=360 ამდენი წლის დაწერილი არის“ (168v).

### ლოცვანი. XVII

180 ფ.; 10,4×7,5; აქვს რვეულებრივი აღრიცხვა; ქაღალდი (ახალი რესტავირებული); ტყავადაკრული მუყაოს ყდა (ახალი შეკინძული), აქვს ყდის საცავი ფურცლები. გვერდები არეულია. თავ-ბოლონაკლული (პირველი ფურცლის ფრაგმენტები მოღწეული); ნუსხური, სათაურები და დასაწყისებია სინგურით, თავსამკალი: 1r (ფრაგმენტი), 59r, 80r, 109v, 174r. ილუსტრაცია: 138v; [VII ს.], აქვს ჰვირნიშანი; დაუწერელია: 58v, 173v.

1. [ლოცვანი შუალამისანი]. — „...და ღაღადებისა ვაქებდე და უგალობდე უფალსა...“ 2r—58r.

შენიშვნა: შუალამის სხვა ლოცვებთან ერთად აქ შედის: „სხუა ლოცვა შუალამისა ქართული ე. — შეუერდები მე არაღირსი ესე მონა შენი...“ (14r—16v); „სხუა ლოცვა ყოვლად წმიდისა ღმერთისა მიმართ, თქმული გერმანოზ კოსტანტინეპოლელ პატრიარხისა(!). ე. — დადებულ დედოფალო...“ (16v—17v); „ლოცვა სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღმერთის-მშობლისა მიმართ, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა მარკოზ მონაზონი-

სა. — მრავალნი და დიდებულნი ნიჭნი მომეცნეს მე...“ (25r—29v); „სხუა ლოცვა შუალამისა წმიდისა იოანე დამასკელისა. — ღმერთო, ღმერთო, რომელი მდიდარ ხარ წყალობითა...“ (39v—42v); „სხუა ლოცვა შუალამისა თქმული წმიდისა დიდისა ბასილისა. — იგ. — მეუფეო ზეტათო, ღმერთო ჭეშმარიტო...“ (44v—48r); „სხუა ლოცვა შუალამისა თქმული მისივე წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა ბასილი კესარიელ მთავარეფისკოპოსისა. — უფალო, ღმერთო ჩუშნო...“ (48r—56v).

2. „დაუჯდომელი ღვთისმშობლისა დ გ-ი. — ზეშთა მბრძოლისა ჩემის-  
 თს და მოღვაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ კსნილნი განსაცდელთა-  
 გან...“ 59r—80v.

შენიშვნა: აქვე შედის: „ლოცვა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა მი-  
 მართ, თქმული ფილოთეოზ კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა. —  
 უბიწო, შეუგინებლო, უხრწნელო, ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო...“  
 (69r—73v); „ლოცვა განთიად და მიმწუხრი სათქმელი წმიდისა იოანე  
 დამასკელისა. — დიდებამა შენდა, ღმერთო დამბადებელო...“ (78r—80r).

3. [ლოცვანი სინანულისა]. — „ლოცვა თქმული წმიდისა მარკოზისი. —  
 გმადლობ შენ უფალო, ღმერთო ჩუშნო...“ 80r—109r.

შენიშვნა: შეიცავს: ლოცვა წმიდისა მამისა ჩუშნისა იოანე ოქრო-  
 პირისა. — გმადლობ შენ უფალო, ღმერთო ჩუშნო...“ (83r—89r); „ლოცვა  
 წმიდისა იოანე ოქროპირისა აღსრულებისათს. — ვა ჩემდა, რამე-  
 თუ ცოდვანი ჩემნი არიან უფროს ქუშისა ზღსა...“ (88r—89r); „ლოცვა წმი-  
 დისა ამონასი. — უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო...“ (97r); „ლოც-  
 ვა ეფრემისა, — ვიცოდე მე და არა ვანეშორე ცოდვასა...“ (89v); „ლოცვა  
 წმიდისა ისაკ განშორებულისა. — უფალო იესუ ქრისტე ჩუშნო,  
 რომელი ეგე მოწყალეებითა სტიროდე...“ (89v—92r); „ლოცვა წმიდისა ტი-  
 მოთესი. — უფალო ღმერთო და შობელო ყოველთაო...“ (92r-v); „ლოცვა  
 წმიდისა მამისა ჩუშნისა დიდისა ბასილი მთავარეფისკოპოსისა სინანუ-  
 ლისათს ცოდვასა, თარგმნილი წმიდისა მამისა გიორგისი. — უფალო  
 იესუ ქრისტე, კაცო და მწყემსო...“ (92v—104r); „ლოცვა სინანულისა, თქმუ-  
 ლი მისივე წმიდისა მამისა ჩუშნისა დიდისა ბასილისა. — უფალო  
 ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო...“ (104r—108v); „ლოცვა ბოროტთა გულის-  
 სიტყუათათს. — უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუშნო, განშეშვიდე მე...“  
 (108v—109r).

4. „ლოცვა განტევებულის სიტყუათათს კვრიაკესა. — უფალო ღმერ-  
 თო ჩუშნო, რომელმან სინანულისა მიერ მიტევებამა ცოდვათა კაცთა მიანიჭე...“  
 109v—125v.

5. „ლოცვა უკეთუ მღდელსა დაცემა შეემთხვოს ძილსა შინა. — შემ-  
 დგომად დაცემისა მეყსეულად აღდგეს და თქუას...“ 125v—129r.

შენიშვნა: აქვე შედის: „ლოცვა წმიდისა დიდისა ბასილისა“  
 (128r—129r).

6. „წესი და განგებამა წმიდისა ზიარების ლოცვისა. — ოდეს ვენებოს შე-  
 წირვა უსისხლოასა მსხუტრპლისა...“ 129v—135r.

7. „ხოლო ზვალისადა, ოდეს სრულ ყოს ქამნობამა წესისაებრ, შემწირვე-  
 ლი მსხუტრპლისა იტყვს „კურთხეულ არსსა“. „წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუშ-  
 ნო“, კს-ნი იბ. მღ-ით თყ-ნის გ. და ზ-ა ფს-ნი ესე. — უფალმან მწყისო  
 მე...“ 135v—138r.



8. „ლოცვა ზიარებისა, თქმული წმიდისა მამისა ჩუჴნისა ბასილისი. — მეუფეო უფალო იესუ ქრისტე...“ 139r—165r.

შენიშვნა: აქვე შედის ლოცვები ზიარებისა იოანე ოქროპირისა:  
 ა. — „უფალო ღმერთო ჩუჴნო, უწყი, რამეთუ არა ვარ ღირს...“ 141r—143r;  
 ბ. — „ღმერთო, მიხზინე, მომიტევე და შემინდვენ...“ (152v—153r); გ. — „არა ღირს ვარ მეუფეო...“ (153r-v); დ. — „მრწამს უფალო და აღვიარებ...“ (160r—162v); ე. — „გმადლობ შენ კაცთმოყუარეო...“ (162v—163v); ვ. — „მეუფეო ქრისტე ღმერთო, მეუფეო საუკუნეო...“ (163r-v).

სვიმეონ მეტაფრასისა: ა. — „მხოლო, წმიდაო უხზრწნელო უფალო...“ (143r—144r); ბ. — „ვითარცა საშინელსა და თვალ-უხზუვისა საყდრისა შენისა...“ (144r—147v).

იოანე დამასკელისა: ა. — „მეუფეო უფალო იესუ ქრისტე ღმერთო ჩუჴნო, რომელსა მხოლოსა გაქუს მოწყალებდა...“ (148r-v); ბ. — „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუჴნო...“ (153v—154v); გ. — „წინაშე კარსა ტაძრისა შენისა...“ (154v—155r).

ბასილი დიდისა: ა. — „უფალო უწყი, რამეთუ უღირსად მოვიღებ...“ (148v—149r); ბ. — „გმადლობ შენ უფალო, მამაო მოწყალებისო...“ (155r—160r).

სვიმეონ ახლისა ღვთისმეტყველისა: — „შეგინებულთა ბაგეთა საძაგელისაგან გულისა...“ (149v—152v).

კვირთე ალექსანდრიელისა: — „ქორცი შენი წმიდა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო...“ (164r).

9. [ფრაგმენტი საკითხავების ცხრილისა]. — „პირველ შესაქმე გამოსლვათა ლევიტელთა...“ 165v.

10. [წმიდათა მოსახსენებლები მთელი წლის მანძილზე]. — „თვესა დეკემბერსა აქუს დღე ლ. დღეთა აქუს ქამი იბ და ღამეთა ქამი იბ. — ა. ღირსი ს<sup>ნ</sup> უ<sup>გ</sup>ა ზ. ბ მ<sup>შ</sup>ა...“ 166r—173r.

11. „პარაკლისი ღვთისმშობლისა მიმართ. — მ<sup>ღ</sup>ნ: კ<sup>ხ</sup>ლ<sup>რ</sup>სი. მ<sup>ღ</sup>დით თ<sup>ყ</sup>ნი ს<sup>გ</sup>. უფალო, შეისმინე სრულიად...“ 174r—180v.

წყდება: „... და სურვილით მგალობელთა...“

შენიშვნა: 174r-ზე თავსამაჴულში ამოშლილი ანდერძი ასე იკითხება: „ყოვლად წმიდაო, შეიწყალებ... ფ...“

### 353

#### იბაკონი წმიდისა ღვთისმშობლისანი. XVII—XVIII

59 ფ.; 10,4×7,5; აქეს რვეულგებრივი აღრიცხვაც; ქაღალდი, დაზიანებული, ახალი რესტავირებული; ყვისფერი კოლენკორადაკრული მუყაოს უდა, ყუაზე ლურჯი ლედერინი, კუთხეებში ცისფერი კოლენკორი, ახალი შეკინძული, აქეს ყდის საცავი. ფურცლები; ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით, ტექსტი ფერად ჩარჩოშია ჩასმული, ილუსტრაციები: 2v, 42v; [XVII—XVIII სს.], აქეს ჰვირნიშანი; დაუწერელია: 40v—41r, 59r-v.

„იბაკონი წმიდისა ღვთისმშობლისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების. კ<sup>ჴ</sup>დ გ<sup>ი</sup>. — ზეშთა მბრძოლისა ჩემისათუს და მოლუაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ კსნილნი განსაცდელთაგან სამადლობელსა აღესწერთ...“ 3r—58v.

შენიშვნა: სხვა ლოცვებს შორის შედის ლოცვები: ფილოთეოს კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა ლოცვა ღვთისმშობლის მიმართ. —

უბიწო, შეუგინებელი, უბრწელო, ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო..." (20r—27v) და იონე დამასკელის — „ლოცვა განთიად და მიმწუხრი სათქმელი. — დიდებაა შენდა, ღმერთო დამბადებელო..." (36r).

მინაწერები: 1. „ტარასი“ (1v).

2. „იერომონახი ტარასი“ (2r).

3. „ღმერთო დედაო, იოხე უღირსი ბერი, არხიდაკონი ტარასი, რომლისა არის წიგნი ესე“ (42r).

იხ. მინაწერები: 1r, 11r.

## 354

## ანდრია კრიტელი, დიდნი გალობანი. 1824

46 ფ.; 10×6; ქალაღი; ოქროთი მოვარაყებული წითელი ფერის ტყავ-გადაკრული მუყაოს ყდა, კიდეების ჩამონაპერი ოქროსდერი, აქვს ყდის საცავი ფურცლები (ლურჯი და თეთრი ფერის); მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით და ნაწილობრივ ნუსხურით; 1824 წ. (43 v); გადამწერი მღვდელ-მონაზონი ტარასი (43v); ადვილი პეტერბურგი, ალექსანდრე ნეველის ლავრა; დაუწერელია: 44r—46v.

„დიდნი გალობანი, თქმულნი წმიდისა მამისა ჩუჴნისა ანდრია კრიტელი-იერუსალიმელისა. გალობა ა, ჳმა ვ. სძლისპირი. — შემწე და მცხნელ და მფარუჴლ მეყაენ მე მაცხოვარებად ჩემდა..." 1r—43v.

შენიშვნა: ანდრია კრიტელის დიდნი გალობანი სამჯერაა თარჯმნილი: ექვეთიმე ათონელის, გიორგი მთაწმიდელის და არსენ ბერის მიერ. იხ.: კ. კეკელიძე, „ეტიუდები“. V, გვ. 14; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I. 1960, გვ. 209, 228, 313, 314; Н. Марр, Исторический очерк грузинской церкви с древнейших времен. Церковные Ведомости, 1907, № 3, прилож. გვ. 141; თაყაიშვილი ექვთიმე, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 32, 33 (გიორგის ანდერძი), 37—38 (არსენის ანდერძი).

წინამდებარე ხელნაწერი შეიცავს არსენ ბერის თარგმანს. „დიდნი გალობანი“-ს არსენიელი თარგმანი ბერძნულ ტექსტთან ერთად გამოცემულია. იხ. სიმონ ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1973, გვ. 284—297, მასზე იქვე გვ. 166—168.

ანდერძი: „გარდწიწრა ძუმლის მარხუნისაგან სანკტპეტერბურდს, ლავრასა შინა ალექსანდრე ნეველისსა, წელსა 1824, მ-მ. ტ.“ (43v).

მინაწერი: „ნიკონის ბიბლიოტეკისა (ზემო ყდის საცავი ფურცელი).

შენიშვნა: ნიკონის ბიბლიოთეკის შესახებ იხ.: ი. გაჩეჩილაძე, ცნობები ზოგიერთ წიგნთსაცავთა და მათ დამაარსებელთა შესახებ (მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1975, გვ. 150).

## 355

## კრებული. XIX

I+32 ფ.; 16,5×11; ქალაღი სხვადასხვა ფერისა და ხარისხის; ქალაღ-გადაკრული მუყაოს ყდა, ყუაზე კოლენკორი; ბოლონაკლული; მხედრული (სხვადასხვა ხელი), 26r-ზე სათაური ნუსხურითაა დაწერილი, სათაურები და დასაწყისები წითელი მელნით; [XIX ს.], აქვს ჳვირნიშანი; დაუწერელია. 1r-v; ხელნაწერი ადრე ეკუთვნოდა ნიკონის ბიბლიოთეკას (ზემო ყდის საცავი ფურცელი).



1. „ძეგლის-წერა სარწმუნოებისა, რომელი აღჰსწერეს წმიდათა მამათა, კოსტანტილუპოლის შეკრებულთა, წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს, რომელიცა წარიკითხვოდა სოფია წმიდასა და ყოველთა შინა წმიდათა ეკლესიათა პირველსა ამას კურიაკესა წმიდათა მარხუათასა, წმიდასა ლიტურგიასა ზედა, სამღუდლოთა შესამოსლითა მოსილისა ხუცისაგან უწინარეს ქაშნობისა. გუაყურთხენ უწმიდესო მეუფეო. „ვინ არს ღმერთი“ გ გზის და ზედა ესე. — წინასწარმეტყუელთა ქადაგებისაგან დამტკიცებულნი და ჭუარისა სახარებისა ბრძანებათა დამორჩილებულნი...“ 6r—25v.

**შენიშვნები:** 1. ძეგლის წერაში მოხსენიებულ ბიზანტიელ მართლმადიდებელ კეისართა რიგში იხსენიებიან: „უკეთილ-მსახურესთა და უთვთ-მპყრობელსთა მდგომარეობითა, იმპერატრიცათა ყოვლისა რუსეთისათა, ელისაბედ პეტრეს ასულისა და. ეკატერინა ალექსის ასულისა საუკუნო იყავნ სახსენებელი მათი.

უკეთილ-მსახურესისა და უმალღესისა ცხებულისა უფლისა, მეფისა თეიმურაზ მეორისა და ძისა მისისა უკეთილ-მსახურესისა და უმალღესისა მეფისა ირაკლი მეორისა ყოვლისა საქართულოასათა საუკუნო იყავნ სახსენებელი მათი.

უკეთილ-მსახურესთა და უმალღესთა დედოფალთა ყოვლისა საქართულოასათა თამარისი, ანნასი, ანნა ხანუშისა და დარიასი საუკუნო იყავნ სახსენებელი მათი.

კეთილ-მორწმუნეთა ძეთა მეფისა ირაკლისათა ვახტანგისი და ლეონისი საუკუნო იყავნ სახსენებელი მათი.

უნეტარესთა და უწმიდესთა პატრიარხთა ყოვლისა საქართულოასათა დომენტიისი, ბესარიონისი, დომენტისი, ნიკოლოსისი, ანტონისი და იოსებისი საუკუნო იყავნ სახსენებელი მათი.

ყოვლად-სამღუდლოთა მიტროპოლიტთა, არხიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა და ყოველთა სამღუდლოთა და სამონაზნოთა წესთა ყოვლისა საქართულოასათა მართლ-მადიდებლობით აღსრულებულთა საუკუნო იყავნ სახსენებელი მათი.

კეთილ-მორწმუნეთა სილკიტთა, მკედართ-მთავართა და ქალაქთ-მთავართა და ყოველთა ქრისტეს მოყუარეთა მკედრობათა ყოვლისა საქართულოასათა, მართლმადიდებლობით აღსრულებულთა, საუკუნო იყავნ სახსენებელი მათი.

უკეთილ-მსახურესთა და უთვთ-მპყრობელისი დიდი ჯელმწიფე, იმპერატორი ალექსანდრე პავლეს ძე ყოვლისა რუსეთისა და მეუღლე მისი კეთილ-მორწმუნე დიდი ჯელმწიფე, იმპერატრიცა ელისაბედ ალექსის ასული და დედა მისი და კეთილ-მორწმუნენი ჯელმწიფენი, ძენი, სძალი და ასულნი და ძის-ძენი და ასულნი მათნი მრავალ-ქამიერ.

უნეტარესი და უწმიდესი კათოლიკოს-პატრიარხი ანტონი მცხეთისა და ყოვლისა საქართულოასა მრავალ-ქამიერ.

ყოვლად სამღუდლონი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და ყოველნი სამღუდლონი და სამონაზნონი წესნი ყოვლისა საქართულოასანი მრავალ-ქამიერ.

კეთილ-მორწმუნენი სილკიტნი, მკედართ-მთავარნი და ქალაქთ-მთავარნი და ქრისტეს მოყუარე მკედრობა და ყოველნი მართლ-მადიდებელნი ქრისტეანენი ყოვლისა საქართულოასანი მრავალ-ქამიერ.

ყოველთა მათ ღვაწლით-შემოსილთა მამათა მართლ-მადიდებლობის მქადაგებულთა და ვიდრე სიკუდილადმდე მოღუაწეთა ლოცვითა და ვედრებითა დაგვკუნეს ჩუენ უფალმან და ღირს გუყუნეს მობაძე-ყოფად სამღრთოისა მის მოქალაქობისა მათისა მოწყალებითა და მადლითა დიდისა მის და პარველისა მღუდელ-მთავარისა ქრისტეს ჰემპარიტისა მის ღმრთისა ჩუენისათა და შტეწენისა სულისა წმიდისათა და მეოხებითა დიდებულის მის დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, წმიდათა დიდებულთა მთავარ-ანგელოსთა და ყოველთა ზეცისა ძალათა და ვედრებითა ყოველთა

წმიდათა, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყუნეს ღმერთსა. დიდება, პატივი და თაყუანის-ცემა მამასა, და ძესა, და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ (24r—25v).

2. უძღვეს: თავფურცელი წარწერით: ა. „ძეგლის-წერა სარწმუნოებისა ა-სა კურიაკესა წმიდათა მარხუათასა წარსაიეთხავი“; ბ. „დაწვებად ესრეთ: მღუღელი იტყუხ: „ქლ-არს ღმერთი ჩუენი“. მკითხულმან: „მეუფეო ზეცათაო, წმიდაო ღმერთო“, „მამაო ჩუენო“, „მოვედით თაყუანის ვსცეთ“ გ გზის და ფსალმუნი ოღ. — აღგაროთ შენ...“ (2r—5r).

2. „სიტყუანი შესხმითნი მცირე და ყოვლად უნდოა საქართუშლოასა მეფისა ირაკლი მეორისა ძისა გიორგის ძისა დავითისადმი, ოდეს მოიქვა ძღუევით აგარიანთავან, ყოვლად მდაბლისა და უღირსისა პროტოპრეზვიტელის სოლომონის მიერ, წელსა 1789, ოკდ. კთ. — მის ერთისა საუკუნოსა არსისა, რომელი სამობასა შინა ცნობილ-ექმნა ძუშლ სადამე წინაპარსა შენსა მამათმთავარსა...“ 26r—28v.

შენიშვნა: იხ. ი. გაჩეჩილაძე, მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლა... (მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, 1974, გვ. 162, 163).

2. „მოვა გლახ ეამი, ოდეს ამისი მწერალი მიწა და მტეშა ქმნულ იყოს, მაშინ შეიწყალე სული ჩემი, ქრისტე ძურუხსენებელი“ (64r).
3. „იესუ ქრისტე, შეიწყალე ანტონი ვარძიელი (87r).
4. (სათურთან სინგურით) „ქრისტე, შეიწყალე მარკოზ“ (228v).
5. (სათურთან სინგურით) „ქრისტე, შეიწყალე სული ნიკოლოზისი“ (284r).
6. (სათურთან სინგურით) „ქრისტე, შეიწყალე ანტონი“ (311r).
7. „მოვალს გლახ ეამი, ოდეს ნაქმარი ჩანდეს, ხოლო მოქმედი მიწა და მტეშა ქმნილ იყოს, მაშინ შეიწყალე სული ჩემი, ქრისტე, ძეო ღმრთისაო“ (344r).

**მინაწერები:** 1. (XIV ს. მხედრული) „ყოლად წმიდა[ა]ო იოანე მ[ა]ხარებელი, შეიწირე მცირე ესე შესაწირავი მათე მახარებელის ნათქვი და შენის მოსახელის იოანე ოქროპირის, ქრისტეს პირის პავლე ნ გარდმოცემული. არცა... ..ერისთვის შურისაგან თქუნთ ეს მოკსენებულ...“ (8v).

2. (XIV ს. მხედრული) „ქ. ვინცა და რამანცა გურმან აღაქმ[ა]ნთ[ა]გან რაიცა მიზგოთა მო... ..ზღოს წმიდას მახარებელის რისხესმც...“ (1r).

3. (XVIII ს. მხედრული) „ქ. წმიდაო იოვანე ოქროპირო, შეეწიე ისაკს“ (11r).

4. (გვიანდელი ნუსხურით) „ერთ ვითხოვ“ (15r).
5. (XIV ს. მხედრული) „რაიცა ამას პატრ... და ჩუენთვის ჰპრრ(!) რასათუის განრ...“ (16v).
6. XV ს. მხედრული) „... ჩუნ ღმერთი(!) ... მას და იყსენე... სალოცველად გლახ(!) ... გიორგი“ (17v).
7. (XIV ს. მხედრული). „ჩემოშვილმა, მე, ივანე, არცა ს[ა]მ[ა]მ[ა]ნი დაგიგდე და არცა საჯათ ღთიე შენ გლახ სულისა ჩემისათუის და გარდასრულთა ჩემთათუის. შეიწირე და ჩვენთა სულის...“ (83r).
8. (XIV—XV სს. მხედრული) „... ბერი გიგო. მოი მე, მ [ოი] მე, რამეთუ დავი[ც]ვენ ყურნი [რ]წმენად საღმრთო ... ელებთა... ბოროტ ... ურებად... ვიდრე უკა... ..ო ვყვენ. ვაი მე, ვაი. ქართაგან მიმბრატებულსა“ (83v). (მინაწერს მარცხენა მხარე ჩამოჭრილი აქვს).
9. (XIV ს. მხედრული) „... წმინდა... მამოვიც... ..ღესი: თქუნე ...ღენიოდ: არ ...გარეთა ითხე: ...ველი: შეებ... დაოქირე[ბელა]დ და თუ არ... ..ემდებ: ...თახელო(!)...“ (89v). (მინაწერს მარცხენა მხარე ჩამოჭრილი აქვს).
10. (XIV ს. მხედრული) „უწყოს(!) ბერს დანიელს შეუნდენ ღმერთმან“ (102v).

11. (ნუსხურით) „სულსა გაბრიელს შეუნდენ ღმერთმან“ (111r).
12. (XIV ს. მხედრული) „გვიამე, ძმანო, ჩემო საყუარელნო, ამისსა წამკითხავსა და თქუენგან ერთმანერთისა ვერ მკერისა სიყუარულისა მგალობელსა და...“ (122r).

(მინაწერს ბოლო ნაწილი წაჭრილი აქვს).

13. (XIV ს. მხედრული) „სადაცა ღთო... ..რე მოიმას... ..ღებისო მო... არცა ეშმაკ... ..თო ოარესთა მთა შეილთ... ბრძოლნი გზ... ლორისა“ (124r). (მინაწერს მარცხენა მხარე ჩამოჭრილი აქვს).

14. (XV ს. მხედრული) „ქ. ღმერთო, შეიწყალე სული ჩემი“ (144v).

15. (XVI ს. მხედრულით) „ღმერთო და საშინელო(!) იოვანე მახარებელი, შეიწყალე სული ქაიხოსროსი ათაბაგის. ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქუენცა შეგინდეს ღმერთმან“ (254v).

16. (XVIII ს. მხედრულით). „ქ. მე ფრიად ცოდვილმან მღუღელ-მონაზონმან გერმანემ, ფრიადი სურვილი და ტფიალება მქონდა წიგნისა ამის და ახალიციელი მღუღელი იოანე გაგვზავნე ვარძიას და იმან მაყიდა წმიდა ესე მათეს თავის თარგმანი. ფასი მივეც შეიდი თუმანი. ორი თუმანი თავის გასამკელო, ზუთი მინალთუნი მოსაცხოველები, ზუთი მინალთუნი შესაკრავი, მაგრა, თუ მეცნიერი კაცი გასინჯავს, ფასი არა სძევს. ვინც იხილოდეთ, შენდობით მომიხსენებდით. სრულ იქმნა წმიდა წიგნი ესე იანვარს (ჯ-ს). ქვსა უ. (1712 წ.) ამასვე ქვსა აპრილის კბ, მეფე ვახტანგ ვაპრძანდა ისპანს

ყენთან(1). ვნახოთ ღმერთი რას მოწყალეებს მოუვლენს საქართველოს“ (254v).

17. (ნუსხურით). „რას ქეშმარიტად ღვთისუღიერი წიგნი ესე თარგმანი სახარებისა მატეთსი, მათის მეფობის სიმაღლის მეფისა ირაკლი მეორის კარის ეკლესიის კარისა ღწმინდობისა თელავს. ქქს ოპბ“ (254v).

18. (ნუსხურით) „ცოდვილმან ხამი... ..თორმან დაე... ..ჩხბე ღონ... ..[შ]ენ-ღობა... ..ღ ღთუთრთ“ (254v).

19. (XIV—XV სს. მხედრული) „მამათ ოქროპირო, ცხად წანს ..რელ არ შენვე მეცნიერ ხარ ჩემ უღირსისა ნაყოფის გიორგ... მმარხველობისა იმ... ..შენვე მოიცაღე ბუნებისა ჩემისა უძღურებისა ..ღო მადლიერად სიუჟარულისა ...უჟარელისა შენისასა. ცოდვილი ბერი გვიგი“ (347r). (მინაწერი დაწერილია ძირითადი ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე. ამზე მიუთითებს სამყურა ნიშანი, რომელიც უზის ტექსტს და მინაწერს).

20. (XVIII ს. მხედრული) „წმიდაო ოქროპირო, შეიწყალე ცოდვილი გერმანე“ (347v).

21. „სიბერისა ჟამისა მოქცეულათვის“ (382v).

22. (გვიანდელი ნუსხური) „სახარებამ ვითარც, ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ბასილი“ (417r).

23. (ნუსხურით) „ღმერთო, შეიწყალე ვაშაყმაძე ნიკოლოზ და მისი მეუღლე შამადუხს შეუნდენ ღმერთმან“ (499r).

24. (ნუსხურით) „ღმერთო, შეიწყალე სლთია(!) ბასილისა“ (520r).

25. (ნუსხურით) „ღმერთო, შეიწყალე სული ელიაზარისი“ (520v).

26. (ნუსხურით) „უფალო ღმერთო, შეიწყალე ბასილი“ (520v) იხ. სომხური მინაწერი 473v-ზე.

იხ. აგრეთვე მინაწერები: Iv, 10v, 92v, 131v, 214r, 254v, 259r, 313r, 497v, 519v.

### 366

#### გულანი. 1714

I+218 ფ: 44×32, აქვს მხედრული ანბანური ფურცლობრივი და ნუსხურით რვეულეობრივი აღრიცხვა; ქალაღი დალაქავებული, ზოგჯერ კიდევშემოცვეთილი (ფ. 1, 2, 5, 7, 212, 213), გახეული (82, 101, 126, 137, 207); შავი ფერის ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა, დაზიანებული, ჰქონია ორი ტყავის საკეტი ბოლოში ლითონის ბალთით, შემორჩენილია ერთი; ამოვარდნილია ფ. I, აკლია 5r-სა და 7v-ს შორის, ამიტომ ხელნაწერის მეორედ შეკინძვის დროს აქ სუფთა ფურცელი ჩაუკინძავთ (იხ. ფ. 6); ნუსხური ორ სვეტად, სათაურები და დასაწყისები სინგურით. ყოველი ახალი თვე იწყება თაღისებური ფორმის თავსამკაულით, რომელიც სათაური ჩაწერილია ჩართული ასომთავრულით, ასომთავრული შესრულებულია მეფის ერეკლე I-ის ასულის მარიამ ბატონიშვილის მიერ (ანდ. 13). (იხ. 1r, 54v, 107r, 155v); 1714 წ. (155r); გადამწერი: მგალობელი დემეტრე. მიღიან მგალობლის ძე (216v); დამკვეთნი: ალავერდელი ნიკოლოზ, ჩოლაყაშვილი ედიშერ და მისი მეუღლე მარიამ ბატონიშვილი (216v); დაუწერელია: Iv, 217r—218v.

[თვენი]. „თვესა სეკდენბერსა აქუს დღე **ლ**, დღესა აქუს ჟამი **იბ** და ღამეთა აქუს ჟამი **იბ**. — მწუხრი, შემდგომად კანონისა აღვიღებთ უფალო დადაცვისა აკმა და უქცევთ ათთა მუქლთა ზედა. ხოლო უკუჭთუ კრიაყესა დემთხვოს, პირველად ყოველი აღდგომისა, ხოლო უკუჭთუ სხუათა დღეთა — არა რაჲს ვიტყუთ პარაკლიტონისასა. შენ სიტყუაჲ. **კ** ა. — თავადისა ქრისტეს ღმრთისაჲ. ლოცვაჲ გვსწავიეს ჩუჲნ ყოველთა დღეთა ესრეთ მისა მიმართ უმობად: **ჟ** მამათ, რომელი ხარ ცათა შინა პური არსობისა მომეც ჩუჲნ...; თვესა სეკდენბერსა აქუს დღე **ლ**, დღეთა აქუს ჟამი **იბ** და ღამეთა ჟამი **იბ**.

თვესა სეკდენბერსა ა. — გვრგვინ წელიწადისა და დაწყება ინდიკტიონისა და კსენება წმიდისა ღმრთობელისა მასინეს შინა და წამება წმიდათა ორმოცთა დედათა მოწესეთა და მოწამეთა, რომელნი იყუნეს ერთსა მონასტერსა შინა და იწამნეს და მათ თანა ეწამად ამონაცა დიაკონი და აითალად... და კსენება წმიდისა მამისა ჩუშნისა სუმეონ მესუმცისა, რომელი იყო მონასტერსა მანდროასასა...“ 1r—216v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს ოთხი თვის სექტემბერ-დეკემბრის მასალას. ამ ხელნაწერის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს A—379.

2. თვენში შესულია ქართული მასალაც: „თვესა სეკდენბერსა იგ, ქეთევან დედოფალი კახთა“ (19v); „თვესა ოკდონბერსა ე, წმიდისა მამისა ჩუშნისა გრიგოლ ხანძთელისა, ქართველთაგანისა“ (66r); „თვესა ნოენბერსა ი, წმიდისა კოსტანტი ქართველისა, რომელი იყო შვილი დიდებულთა“ (122v); „თვესა ნოენბერსა ით, წმიდისა მამისა ჩუშნისა ილარიონ ქართველისა, საკვირველთმოქმედისა“ (138v). „თვესა დეკემბერსა ბ, წმიდისა მამისა ჩუშნისა პეტრე მამოსა(!) ქალაქისა ეპისკოპოსისა. ესე იყო ძე ქართველთა მეფისა (156v).

3. ხელნაწერის კიდევზე მიწერილია: ა. გადამწერის შენიშვნები: (სინგურით) „ოხთა დამრჩა, ვერ დაეწერე“ (8v), (სამაგიეროდ გადამწერს ტექსტის გადამწერის დროს გამოჩენილი „ოხთა“ ხელნაწერის კიდვე დაუწერია); „უფალნო ჩემნო, ამ მეცხრე დღის დასდებელს „დღესა უჩენდა ევამს“ ტიბიკონში ოთხი დედა შევაიწმე და ყველას ეს „მოგიცემი“ ეწერა და მეც ესე დაესწერე“ (15v); „ესე საწინასწარმეტყულო ქეთევანისა“ (20r); „უფალნო ჩემო, ნუ შეყვეთ ღმრთისა გულისათჳს, ეს ქეთევან დედოფლისა გალობა, დიად, ავი დედა იყო, რომ ამისგან უფროა არ ეწებ. ბევრს ეცოდნე მართვასა, მაგრამ ვინ იცის, რომ კიდე იყოს რამე? ნუ გამიწყრებით, უფალნო ჩემნო. უფალნო შეიწყალე დემეტრე დიაკონი“ (23v); „უფალნო ჩემო, ნუ გამიწყრებით, მერთიან კი იცის, რომ დიად სიფრთხილით ესწერდა, მაგრამ ავი დედა იყო. ეს კათოლიკე იმაში დაესწერე და მასუკან სხუთში შევაიწმე და გვაკეთე, ცოტა რამ სიტყუა იყო გამოცვლილი“ (46r); „უფალნო ჩემნო, ცისკრად ამ სახარებას უჩენდა ტუბიკონში და მეც ეს დაესწერე და ახლა სტანბაში ვნახე და ამის სახარებასა წირვანდ უჩენდა“ (46v); „ესე აღვიკენითის დიდება არ ეწერა და სხვაში ვნახე და სხუას დედაში კი ეწერა და მეც დაესწერე“ (73v); „უფალნო ჩემნო თუ ეს წარდგომად ავად ეწეროს, ჩემი არა ბრალია. ოთხს დედაში ვნახე, ოთხივ ასრე ეწერად და მეც ამთ ვეღარ შევეცილე, უფალნო ჩემო“ (135r); „უფალნო ჩემო, ნუ გამიწყრებით, ეს იბაკა იქონი დედადევასათა უნდოდა და დამრჩა“ (140r). (ტექსტში გამოჩენილი ეს ნაწილი გადამწერის ხელნაწერის კიდვე დაუწერია); „ეს წიგნი ტუბიკონზედ არის დაწერილი, ტუბიკონმა კი არ გაუჩინა საწინასწარმეტყულო და თუ გინდოდეს იოანე ოქროპირისა წიკითხეთ იგ ნოენბერსა, უფალნო ჩემნო“ (163v); „მამანო და ძმანო, ეს კარი ერთს საათს დაესწერე. სივსათჳს, ნუ შეყვეთ“ (166r). ბ. სამღვდელმსახურო მითითებები: „მასვე ზედა“ (4r); „უფალნო ჩემო, „უსალმუნი დღისა... სხუთა კანონად სარწმუნოებისა „ღმერთთა უფალსა“ ზედა ბრძანე“ (4v); „განგება“ (9v); „განიცადე: რომელმან შეჰქმნა ანგელოზნი“ (10v); „უქმი ყოველთა თევზითა და ღვინთა ჳსნილი ორ გზის“ (12r); „დიდება, თუ უნდა“ (13r) და ა. შ.

4. კიდევზე საგალობლებთან მიწერილია ავტორთა სახელები: „სოზონი“ (10v); „ანდრაი“ (14v, 190r, 190v); „გრიგოლი“ (22r); „კოზმან“ (27v, 28v); „სტეფანე“ (51v); „თოფანე“ (61v, 63v, 65r, 69v, 72r, 81r, 84r, 85r, 86v, 90r, 94r, 109v, 116r, 124v, 125v, 126v, 133v); „ეგვანთი“ (101r); „იოსებ“ (66v, 82v, 88r, 91v, 97v, 100r, 102v, 113v, 123v); „იოანე“ 112r, 117r, 130v; „ეფრემ“ (113r); „არსენი“ (118v); „კჳპრიანი“ (163v).

5. ზოგჯერ კიდევზე აღნიშნულია იმ წმინდანის სახელი, რომელსაც ეხება მის დაწვრივ მოთავსებული ტექსტი. იხ. 57r, 58r, 103r, 104r და ა. შ.



6. სინგურით დაწერილი ასოები ტექსტის გადაწერის შემდეგ არის ჩაწერილი, ამიტომ ზოგ ადგილას გამოჩენილია ჩაწერა და სიტყვებს დასაწყისი ასო აკლიათ. მაგ.: 46v, 57r და ა. შ.

7. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. მ. ქავთარია, ძვ. ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII—XVIII სს. 1977, გვ. 112, 180, 245; მისივე, XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1974, გვ. 39); მისივე, XVIII ს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (მრავალთავი, II, 1973, გვ. 98); მისივე, XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (მრავალთავი, III, 1973, გვ. 158); ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, 1936, გვ. 43; სვინაქსარული რედაქციები (XI—XVIII სს.) გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაუთმო ენრიკო გაბიძაშვილმა, 1968, გვ. 236, 294, 429; კ. კეკელიძე, დიონისე არხოვაგელი და პეტრე იბერიელი („ეტიუდები“, VI, გვ. 238); მისივე, მაკინესე ლიტერატურული მემკვიდრეობა („ეტიუდები“, XIII, 1974, გვ. 27, 28, 30); მისივე, მე-18 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953, გვ. 158—172, ან „ეტიუდები“, IV, გვ. 225—251).

ანდერძები: 1. („თავსამკაულში“) „მკედართა შორის მთავართ, და მოწამეთა შორის მკნეთ, ლუაწლისა მძლეო გიორგი, მწერალი ასომთავრულისა ამის, ბატონისშვილი მარიამ მოიქსენე წინაშე ღვთისა, რომელი დავშუშრ თუთ ჭელითა ჩემითა. ამინ (1r).

2. (ქვემო კიდებზე) „უფალო, შემიწყალე მე, დემეტრე მქალბელი“ (10v).

3. უფალო, შეიწყალე დემეტრე“ (12r, 13r, 50r, 53v).

4. „უფალო ღმერთო, შემიწყალე ცოდვილი დემეტრე და მომიმართე ჭელი ამ გულანზე, რომ სრულ ვყოთ წმიდაჲ ესე გულანი“ (20r.)

5. „უფალო, შემიწყალე დემეტრე ამის მწერალი“ (39v).

6. „ღმერთო, შემიწყალე ცოდვილი დემეტრე“ (50v).

7. „უფალო, შეიწყალე დემეტრე, მგალობლის შვილი“ (53v).

8. (თავსამკაულში) „მეოხ მეყავ, დიდებულ გიორგი, შშრომელსა ასომთავრულისა ამის ბატონის შვილს მარიამს“ (54v).

9. „უფალო, შეიწყალე ცოდვილი დემეტრე, მგალობლის შვილი (106v).

10. „რომელი დავშუშრ ასომთავრულსა ამას ბატონისშვილი მარიამ, შენდობაჲ ყავ, უფალო, მარიამისა ამისთვის“ (107r).

11. „უფალო, შეიწყალე დემეტრე, ძე მგალობლისა“ (133r).

12. „ნებითა ღმრთისათა და მეოხებითა დიდებულისა მოწამისა მისისა გიორგი ლუაწლისა მძლისათა სრულ იქმნა წმიდაჲ ესე ნოენბერი ჭელითა ჩემ ცოდვილისა დიმიტრი მგალობლის ძისათა. წმიდანო მამანო, რომელნი მიემთხვენეთ წმიდას ამას გულანს, კსენებულ მყავთ წმიდათა ლოცვათა თქუშნთა, რათა თქუშნცა კსენებულ იქმნეთ სასუფეველსა მკსნელისა ჩუშნისა იესუ ქრისტესსა. და კულად ესეცა უწყოდეთ მკითხველნო, რამეთუ ბრძანებითა ამბაჲ ალავერდელისა ნიკოლოზისათა და წარსაკებელითა საფასეთათა მძისწულისა მისისა ჩოლაყაშვილის სახლთუხუცის ედიშერისა და თანამეცხედრისა მისისა კახის ბატონის ასულის მარიამისათა დაიწერაჲ წიენი ესე სრული საწელიწდო და ღირსმცა არანი ივინი წიდათა შინა აბრაჰამისთა და საუკუნომცა არს კსენებაჲ მათი. ქორონიკონსა უბ“ (155r).

13. (თავსამკაულში. მხედრულით) „წმიდაო გიორგი, შეიწყალე ასომთავრულისა ამის შშრომელი ბატონისშვილი მარიამ, რომელი დავშუშრ თუთ ჭელითა ჩემითა“ (155v).

14. „სრულ ვყავ ნებითა ღმრთისათა და შეწვენითა დიდებულისა წმიდის გიორგისათა სკეცნებერი, ოკონებერი, ნოენბერი და დეკენბერი მე, სულითა გლახკამან და სკრკითა უღირსმან, ქუშმთრემან(!) ცოდვათა შინა ყმამან და მსასობელმან მთავარმოწამისა გიორგისამან, რომელ არს კახთ მეფისა სამარხოჲ ალავერდს, ძემან მდივან მგალობლისამან, თუთ მგალობელმან დიმიტრი ბრძანებითა და წარგებითა სფასეთათა ჩოლაყას შვილისა, კახეთის სახლთუხუცის ედიშერისათა და მეუღლისა მისისა მეფის მეტრეკელს ასულის, ბატონისშვილის მარიამისათა, საუკუნომცა არს

საკენებელი მათი, და ნებითად ბიძისა მათისა ჩოლაცას შევილის, ამბაი ალავერდის ნიკოლოზისათა, მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი. ხოლო დადებულ იქმნა შეწირვით ალავერდს საუკუნოდ საკენებელად ამათად. და რომელთაა იხილოთ ნაშრომი ესე ჩემ მიერ, შენდობით კსენებულ მყავით დიმიტრი, და რომელმან კელ ყოს გამოხუცდად, ამისდა წყველ იქმენინ, ვითარცა იუდაა და შეჩუნებულ იყავნ საუკუნოდ, ამინ“ (216v).

შინაწერები: 1. „№ 19. გულანი ანუ [სა]ზოგადო წლის [სა]დღესასწაუ-  
[ლო]“ (1r).

2. (შავი ფერის ფანქრით) „2 книга. მე[ორე] წიგნი“ (217r).

## 367

## ოთხთავი (ფრაგმენტი), X

8 ფ; 24×20; ეტრატი, უყდო, ფრაგმენტი, ასომთავრული, ორ სვეტად, ქვემო კიდებზე — მუხლების საძიებლები; [X ს.].

[ოთხთავი] — „... უკუეთუ კრებულისადაცა არავე ისმინოს, იყავნ იგი შენ-  
და, ვითარცა ხარკის მკრებელი და მეზუერე...“ მათე 18, 17. 1r—8v.

წყდება: „... დადგა იესუ მოუწოდა მათ და პჩქუა: რაა...“ მათე 20, 32.

შენიშვნები: 1. ტექსტი ოპიზური რედაქციისაა.

2. ხელნაწერი A—367 ამჟამად შეუერთდა მარტვილის ოთხთავს (S—391), რომლის ნაწილსაც (მერვე რვეულს) წარმოადგენს ეს ფრაგმენტი. იხ. S—391 ფფ. 59—66.

## 368

## გამოკრებილი თვენი (ფრაგმენტი) XIV—XV

9 ფ; 20×17; ეტრატი, დაზიანებული; უყდო, დაშლილი, ფრაგმენტი; ნუს-  
ხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XIV—XV სს.].

[გამოკრებილი თვენი]. „... ესრეთ ჰმოძღურედა ურჩთა მათ ჰურიათა...“  
1r—9v.

წყდება: „... რამეთუ არა იყვ...“

შენიშვნა: შეიცავს: „თვესა ივლისსა კ, წმიდისა წინასწარმეტყუელისა  
ელიახსი“ (2r—4v); „თვესა ივლისსა კზ, წმიდისა პანტელეიმონი-  
სი“ (4v—7v); „თვესა ავისტოსსა ვ, ფერისცვალება უფლისა ჩუენისა იესუ  
ქრისტესი“ (7v—9v).

## 369

## სამოციქულო (ფრაგმენტი). X

14 ფ; 25×20; ეტრატი (კარგად დამუშავებული), დაზიანებული, 1r და  
1v ნაწილობრივ გადასულია და არ იკითხება; უყდო, დაშლილი (ფრაგმენტი);  
ნუსხური, სათაურები სინგურით; [X ს.].

[სამოციქულო] „... ფილიპშ-თ(!) ბ. კორინთელთა მიმართ ა. და ბ. პრომშთ

3. გალატელთა მიმართ...“ 1r—14v.

წყდება: „... მუკლი ლა. თავები გალატელთა მიმართ ებისტოლესა ა...“

7. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

**შენიშვნები:** 1. სამოციქულოს ეს ფრაგმენტი წარმოადგენს ევთალეს სტიქომეტრიის ნაწილს.

2. ხელნაწერი A—369 აღწერის შემდგომ შეუერთდა S—1398-ს, როგორც მისი წინა ნაწილი.

3. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ აკაკი შანიძის რედაქციით. თბ., 1974, გვ. 013.

**შინაწერი:** (გვიანდელი ჩართული დამწერლობით) „ღალადება“ (12r). იქვე თ. ქორდანისა მიერ გაშიფრული: „ღალადება — თ. ე.“.

## 370

## კრებული (ფრაგმენტი). XII

8 ფ.; 31,5×24; ეტრატი; უყდო; ნუსხური, ორ სვეტად, სათაურები სინგურით; [XII ს.].

[კრებული] 1. „თუშსა აპრილსა, წამებაჲ წმიდისა მარკოზ მახარებლისაჲ ალექსანდრიას შინა. საკითხავი. მ. გ. — წელსა ოცდამეათხუთმეტესა, შემდგომად ვნებისა მაცხოვრისა ჩუჭნისა და მესნელოსა იესუ ქრისტეს ღმრთისა ჩუჭნისა, ოდეს იგი სულისა წმიდისა წინამძღურებითა განიყვნეს მოციქულთა ყოველნი კიდენი სოფლისანი...“ 1r—4r.

**შენიშვნა:** ტექსტი გამოცემულია, იხ.: კ. კეკელიძე, ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტ. I, 1918, გვ. 193—197.

ამის შესახებ იხილეთ აგრეთვე: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 449.

2. „წამებაჲ ტიმოთე მოციქულისაჲ მოწაფისა წმიდისა პავლე მოციქულისაჲ და პირველსა ეპისკოპოზისაჲ ეფესულისაჲ. — გულის-ჯმა ეყავთ და გვეუწყა, ვითარმედ აღწერნეს სახენი მრავალნი და ცხოვრებანი და წესნი და საქმენი საიდუმლონი...“ 4v—6r.

**შენიშვნა:** ტექსტი გამოცემულია, იხ.: კ. კეკელიძე, კიმენი ტ. I, 1918, გვ. 103—106. იხ. აგრეთვე კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 449.

3. „საკითხავი წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებლისა იოანე ღვთისმეტყველისა და კუნოპისათუს და ყოვლისა გრძნებისა და ბოროტად კელოვნებისა მისისათუს, რომელი ქმნა წინაშე პირსა იოანესსა, ყოველთაგან ჭალაკთა ბოროტთა და ძნელთა კაცთაგან. მ. გ. — იყო ვინმე კაცი პატმოს ჭალაკსა შინა მოგვ და ამისი სახელი კუნოპ...“ 6v—8v.

**წყდება:** „... ვითარმედ მოგვ არს იგი იოანე და გატუნებს თქუენ ბრძანებითა კიცხვისადათა. და...“

**შენიშვნები:** 1. ამის შესახებ იხილეთ: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 446; ც. ქურციკიძე, ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, 1959, გვ. 029—031.

2. ეს ხელნაწერი წარმოადგენს რომელიღაც დიდი ხელნაწერის 49-ე რვეულს. ძველი აღრიცხვით გვ. 534—549-ს.

## 371

## იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ იოანეს სახარებისა (ფრაგმენტი). XI

2 ფ.; 29×23; ეტრატი, უყდო, ფრაგმენტი; ნუსხური, ორ სვეტად; [XI ს.].

[იოანე ოქროპირი, თარგმანებად იოანეს სახარებისად]. — „... რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ ესე არს ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი...“ (ი. 7,40). 1r—2v.

შენიშვნა: თარგმანი ექვთიმე ათონელი ს. იხ. კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, V, გვ. 68.

## 372

(წარმოადგენს ფრაგმენტს ანდერძისას, რომელიც დართული აქვს იოანე ოქროპირის მათეს თავის განმარტების ქართულ თარგმანს. ფრაგმენტი ამჟამად შეუერთდა A—136-ს როგორც მისი ნაწილი (იხ. ფ. 390, 5 რვეულის დასაწყისი).

## 373

## კრებული. XIX

8 ფ.; 23×18,5; ქაღალდი, უხაზო, დალაქავებული, ერთ რვეულად შეკრული; უყდო; მხედრული, სათაურები და დასაწყისები მთავრულით; რუსული ენიდან მთარგმნელის, ტარასი არქიმანდრიტის ავტოგრაფი (შეადარე A—377-ს); [XIX ს.]; დაუწერელია 8r-v.

1. „წმიდისა მამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ არხიეპისკოპოსისა, სამძღურებელი დაწყებასა შინა წმიდისა ორმოციოსისა. — ვიშუშბ და ვიხარებ, ვხედავ რა ღღეს ეკლესიასა ღთისასა სიმრავლითა შვილთა თვსთათა შემკობილსა...“ 1r—5r.

შენიშვნები: 1. სათაურში სიტყვა „სამძღურებელ“-თან მხედრულით ტარასისავე ხელით მიწერილია: „საუბარი“.

2. ამ ხელნაწერის შესახებ იხილეთ: კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, V, გვ. 80 (წიგნში შეცდომით A—373-ის ნაცვლად დაბეჭდილია A—73).

2. „ცხოვრებისაგან იოანე მოწყალისა, ალექსანდრიის პატრიარხისა. თავი 21. — მღუღელთმთავარი ქრისტესი იოანე საუბრობდა რა მოწყალებასა ზედა, შემოიღო ერთი შესწავების ღირსი შემთხუშტულება...“ 5v—7v.

შენიშვნები: 1. ბოლო ფურცელზე (7v) გაკეთებულია შენაშენა: „ხსენება მისი არის სეკენდრის 22 ღღეს“.

2. ტექსტი ნასწორებია თვით ტარასი არქიმანდრიტის მიერ.

## 374

## იოანე ოქროპირი, სწავლანი (ფრაგმენტი). XIX

8ფ.; 21,5×17,5; ქაღალდი, უხაზო, დალაქავებული; უყდო, ერთ რვეულად შეკრული; ფრაგმენტი; მხედრული, სათაურები და დასაწყისები მთავრულით; [XIX ს.]; ავტოგრაფი ტარასი არქიმანდრიტის (შეადარე A—377); დაუწერელია 8v.

<იოანე ოქროპირი, სწავლანი>. „წმიდისა იოანე ოქროპირისა, სწავლა მეცხრე, ქება ფიცის ხმეულების დამტევებელთა და ვითარმედ არავის დამჯერ არს ეგოდენ ცუდმორწმუნეობა, რათამცა ცოდულად შერაცხა, უკეთუ მოვიდის

ვინმე ეკლესიასა შინა სმენად სიტყუისა ლთისა შემდგომად საზრდელის მიღებისა, ეგრეთვე თუ რაესათვის რომელთამე ყამთა შემდგომად მოცემულ იქმნა წერილი და ამას ზედა ცანი უთხრობენ დიდებასა ლთისასა, სადა შემოვალს სჯაჲ ბუნებითისა სოფლისათვის და დასასრულ ფიცითა არა ხმევისათვის. — ვითარ იგი პირველ ვიზრახვიდი მე თქვენთანა...“ 1r—8r.

**შენიშვნები:** 1. აქვე შედის: „წმიდისა იოანე ოქროპირისა სწავლა მერვე, შემცველი განღვიძებისა სათნოებისა მიმართ და მას ზედა ვიდოდა ღმერთი შორის სამოთხისა მიმწუხრი და ფიცთაგან ყენებისათვის. — სცანთ მცირედ უწინარეს ამისა...“ (3v—8r).

2. ეს ფრაგმენტი შესაძლებელია A—377-ის ნაწილი იყოს, იდ რვეული.

3. ხელნაწერი ნასწორებია თვით დამწერის მიერ.

## 375

## იოანე ოქროპირი, მღვდლობისათჳს. XIX

36 ფ.; 21×17,5 და 23×18; თეთრი და მწვანე ქაღალდი. დალაქავებული, რვეულბად შეკრული; უყდო, დაშლილი, ბოლონაკლული, მხედრული, სათაურები და დასაწყისები მთავრულით; ავტოგრაფი ტარასი არქიმანდრიტის (შეადარე A 377); [XIX ს.], აქვს ჰვირნიშანი; დაუწერელია 1v; ამ ხელნაწერიდან ძველი აღრიცხვით ფ. 35—255 გადატანილია A—377-ში. იხ. ფ. 24—245.

[იოანე ოქროპირი, მღვდლობისათჳს]. „წინა უწყება მღვდელთადმი. — ითხნი ვიდრემე არიან თანამდებობანი, რომელთაცა გულმოდგინედ აღსრულებისადმი თანა-შეკრულ არიან მღვდელნი...“ 1r—36v.

წყ დ ე ბ ა : „... ვითარცა კეთილი მხედარი ქრისტე იესოსი...“

**შენიშვნები:** 1. შედგება შემდეგი თავებისაგან: „თავი პირველი, იპყრობს თჳს შორის შეყუანალებასა მღვდლობითისა თანამდებობისა მიმართ აჩუქნებელსა. — მღვდლობა არს მსახურება ახალსა აღქმასა შინა მოცემული ქრისტეს მიერ...“ (4r—7r); „თავი მეორე, პირველისათჳს ნაწილისა მღვდელთა თანამდებობისა, ესე იგი მსწავებისათჳს მძველთასა — ვინადგან თანამდებ არს მღვდელი მსწავებელ მხვეალთა თვისთა...“ (7r—25r); „ნაწილი ბ, მსწავლებისათჳს, რომელსაცა თანამდებ არს მღვდელი ერთა საქმით მსწავებელ. — რომელსაცა თანამდებ არს მღვდელი ერთა საქმით მსწავებელ...“ (25v—36v).

2. ტექსტი ნასწორებია ხელნაწერის დამწერის მიერ.

3. თარგმნილია რუსულიდან ტარასი ალექსიშვილის (მესხიშვილის) მიერ. იხ. ტრიფონ რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს. გვ. 199—200; კ. კეკელიძე, „მტიუდები“, V, გვ. 69.

## 376

## გიორგი მცირე, ცხოვრება და მოქალაქობა გიორგი მთაწმიდელისა. XIX

8 ფ.; 22×18; მწვანე ფერის ქაღალდი; უყდო, დაშლილი, თავნაკლული, წარმოადგენს რომელიცა ხელნაწერის მეათე რვეულს; მხედრული; [XIX ს.], აქვს ჰვირნიშანი; გადამწერი: ტარასი არქიმანდრიტი (შეადარე A 377); დაუწერელია 8v.

[გიორგი მცირე, ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა გიორგი მთაწმიდელისა]. „... ნამძღრო იქმნეს და ესე სადა ფოლოცთა შინა სამეფოთა დაღაცათმცა ქჳსა ვის აქუნდა გული...“ 1r—8r.

**შენიშვნა:** გამოცემულია: იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ალაბებით, საიბიბლიო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, 1901 წ., გვ. 338—351; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), გვ. 101—207.

## 377

## იოანე ოქრობირი, სწავლანი. 1838

245 ფ.; 22,5×18,5, აქვს რვეულბრივი სათვალავი; ქაღალდი, დალაქავებული, რვეულბოდ შერული, უყდო, დაშლილი, ნაკლული, აკლია იდ რვეული; მხედრული, ავტოგრაფი ტარასი არქიმანდრიტის (245რ); სათაურები და დასაწყისები მთავრულით; 1838 წ. (245რ), აქვს ჰვირნიშანი; მთარგმნელი ტარასი (245რ); ადგილი: თბილისი, ფერისცვალების მონასტერი (245რ); დაუწერელია: 1v, 23v, 229r—230v, 245v.

<იოანე ოქრობირი, სწავლანი>. „წმიდისა იოანე ოქრობირისა ჰსწავლა ბირველი, თქმული ეკლესიასა შინა ძუშლად სახელდებულსა, ეამსა მლუდელობისა მისისასა ანტიოხიას ამას სიტყუასა ზედა პავლესსა: „ღვინოცა მციარედ იხმიე სტომაქისათუს და ზედას-ზედა უძლურებისა შენისათუს. — გესმათა ჯმა მოციქულებრი, საყვირი ზეციერი და ქნარი სულიერი...“ 2r—245r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს შემდეგ თავებს: „სწავლა მეორე, თქმული ანტიოხიას ეკლესიასა შინა ძველად სახელდებულსა, ეამსა მისისასა უბედურებისა შემთხვევასა ზედა ქალაქსა შინა მიზეზითა აღშფოთებისათა, რომელსა შინა დამხობილ იქმნენ ანდრიანტნი თუ დოსი დიდისა, კეთილშახურის იმპერატორისანი, და სიტყუასა ზედა მოციქულისასა: მდიდართა მათ ამას სოფელსა ამცენ, რათა არა მადლოდენ და მონაგებთ-მოუყარებისათუს. — რაა ესთქუა და რასა ვიტყოდენ...“ (24r—40v); „ჰსწავლა მესამე, წარსულესა ზედა ქლაბიანე ეპისკოპოსისა იმპერატორის მიმართ სამეოხოდ მისდა წყალობისა თუს ქალაქისა ანტიოხიისა, ეგრეთვე თუ რაასა შინა ჰკვის ჰემმარტი მარხუდა და ვითარმედ ყვედრებაა კაცისა უდიდესი გარდამავლობა არს ვიდრელათუ კორცთა მისითა, ეგრეთვე მოკლულთათვის ეამსა აღრეულეებისასა და თანაღმობისათვის ურვეულთასა, ვითარმედ მრავალნი უბრალონი შეყენებულ არიან საკრველებათა. — რაეამს მიგხედავ დატევებულსა და დაცლებულსა მეუფისაგან...“ (41r—58r); „ჰსწავლა მეოთხე, ერთსა მიმართისა მცნებისა შემცველი დიდსულობისა და მოთმინებისათვის, მოღებული იობისა და სამთა ყრმათა მაგალითთაგან და ფიცთაგან ყენებისათვის. — კურთხეულ არს ღმერთი მტკივნეულთა სულთა თქუწნათ...“ (58v—69v); „სწავლა მეხუთე, შემცემლი თუს შორის კულად ერთა მიმართისა მცნებისა დიდსულობით მოთმინებისათვის წინამდებარისა ჰირისა, რაეამს იპოებიან ეგოდენ კმანი მაგალითნი უფროს დიდისა ძვირბილულებისანი მოთმინებასა შინა იობისა და ნინეველთასა. ეგრეთვეც, ვითარმედ არა ჯერ-არს მოშიშება სიკუდილისა, არამედ ცოდვისა, და თუ რაა არს ბოროტად სიკუდილი. მასთანავე ღლოლვისათუს კოვლითა მოსწრაფებითა ფიცისხმეულებისაგან და ძრვისათვის. — მოთხოზობამან სამთა ყრმათა და ბაბილონისა სახმლისაგან...“ (69v—85r); „ჰსწავლა მეექვსე, მისთვის, ვითარმედ სარგებელ არს შიში უფალთ-მთავართა მიმართ, და თხრობათუ რა შეემთხვიათ გზასა ზედა აღშფოთებისა ამბის მაუწყებელთა ველმოფიფისათა და ვითარმედ უსამართლოდ თავსმდებელი რაასამე და მმალეობელი მისთვის ღთისა მიმშეგებელისა მისისა თანასწორ არს თვით ღთისათვის ვნებულისა, რომელსა შინა შემოიღებიან კულად მაგალითნი სამთა ყრმათაგან და ბაბილონისა სახმლისაგან, ეგრეთვე მოიხსენების ფიცთაგან ყენებისათვისცა. — არა მოვირდნი ვიხმიენით ზენ დღენ...“ (85r—98v); „სწავლა მეშუთე, მისთვის, ვითარმედ მწუხარებაა სახმარ არს ცოდუთა ოდენ აღზოცისათვის, ეგრეთვე სიტყუასა ამას ზედა დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუწყანა და კუა-

ლად მხიარულებისადმი უმეტესი განდიცებაჲ არს მზრახველობაჲ სოჯლის  
 შექმნისათვის, ეგრეთვე აღამ სადა ხარ და ფიცთა არა ხმევისათვის, — ძრავალ-  
 ნი მრავალთათვის ვისაუბრე მე გუშინ...“ (99r—111v); „სწავლა მეათე, ქება  
 შემდგომად საზრდელის მიღებისა ეკლესიად მოსრულთა სასმენელად სწავლისა,  
 ეგრეთვე ღმერთმყოფელთა მიმართ ქმნულებისათა და ფიცთა არა ხმევისა-  
 თვის. — მიხარის და მოგილოცავ თქვენ ყოველთა...“ (112r—121r); „სწავლა  
 მეათერთმეტე, მადლობისა შეწირუა ღმრთის აღშფოთებისა ძლით მოსლოდე-  
 ბელთა ჭირთაგან განთავისუფლებისათს და მოხსენება შემდგომად მისა ქმნულ-  
 თა შემთხულებათა, ეგრეთვე სიტყვისგება სხეულისა ჩუშნისა მძაგებელთა  
 მიმართ და განგებისათს კაცისა მცნებისა თანა ფიცთაგან ყენებისა. — ეგონებ  
 რა წარსულთა უწესობათათვის...“ (121v—129v); „სწავლა მეათორმეტე, მად-  
 ლობისა შეწირუა ღმრთისა შენდობის მიღებისა წილ შეტოდებასა ზედა იმე-  
 რატორის მიმართ და სოფლისათს სჯაჲ ბუნებთისმებრ სიბრძნის მოყურებისა,  
 ეგრეთვე შექმნა რა ღმერთმან კაცი შთანერგა მის შორის მსკლუო ბუნე-  
 ბითი და ყოვლითა გულსმოდგინებითა ფიცთაგან ყენებისათს. — გუშინცა  
 ვიტყოდი მე...“ (130r—139v); „სწავლა მეათცამეტე კუალად მადლობისა შე-  
 წირუა ღმრთისა განრინებისათვის ქალაქისა ძვირშემთხულებებისაგან და მოხსე-  
 ნება ტანჯულთა ეამსა აღშფოთებისასა, ეგრეთვე წარმოჩინება ვანჯებისა კაცი-  
 სსა და ვითარმედ მიუღებეს მას სჯული ბუნებითი და მას თანა სრულიად აღ-  
 ხოცისა თვისცა ფიცის ხმეულებისა. — კუალად მასვე დაწყებასა და მასვე წი-  
 ნითქმობას...“ (140r—147r); „სწავლა მეათთხმეტე, ერისა ვანთავისუფლე-  
 ბლისა ყოვლისაგან შეძრწუნებისა და სიმხნესა შინა მოსრულსა, ოღეს რომ-  
 მელთამე ბოროტის განმზრახთა კუალად შეაშფოთეს ქალაქი ცრუთა კმათა გან-  
 თქმითა და მხილებულ იქმნენ მას შინა. ამას უკუქმ შემთხულებელთა შინა შემო-  
 იღებდა ოქროპირი სახმარსა სწავლასა, სადაცა აზრახებს ეგრეთვე ფიც-  
 თა არა ხმევისათვის და მასთანა შესძინება ისტორიასა იონათანისა, რა-  
 ულისა და იეფთაესისა, აჩუშნებს, ვითარმედ ფიცისხმეულებისაგან  
 იქმნების ფიცის დარღვევაჲ. — არა მცირედ აღაშფოთა გუშინ სულმან ბო-  
 როტმან...“ (147r—157r); „სწავლა მეათხუთმეტე, კუალად ძვირბილულებისა-  
 თვის ანტიოხიის ქალაქისა, ეგრეთვე ვითარმედ ტრილა ყოველსა ზედა  
 საარგებელ არს და რომელ გლოვა კეთილ-საიმედო არს უფროს სიცილისა, და  
 სიტყუასა ამას ზედა უწყოდ. რამეთუ შორის საფრტეთასა ხუდ და ვითარ  
 მელ ფუცევა უსჯულოეს არს, ვიდრემდის კლევა. — ჰშუწოდამცა, ვითარცა აჲ  
 ეგრეთ ვარდაულისცა...“ (157v—167v); „სწავლა მეათექუსმეტე, რაჲამს  
 მიიწია ვმა ქალაქთ მთავრისა მიმართ, ვითარმედ შეძრწუნებულ არს ერი  
 მსწრაფლ იავარყოფისა და აღმოფხურისათვის ქალაქისა და განიზრახავს სიგლ-  
 ტოლუსა, და იგი შესრული ეკლესიად, ნუგეშინისცემდა მოქალაქეთა, რომ-  
 ლისა თანა თქმულ არს სწავლა, რომელსა შინა მოიხსენების ეგრეთვე ფიცის  
 ხმეულებისაგან ყენებისათვის და შემოიღების სჯაჲ სიტყუასა მას ზედა მოცი-  
 ქელისასა: პავლე კრული იესო ქრისტისა. — ეაქებ ქალაქ მთავარსა წინათ-  
 მხედველობისა მისისათვის...“ (168r—180v); „სწავლა მეათშვიდმეტე, მთავართა  
 მიმართ ე...ევის მედღართმთავრისა და კესარიოს წესთმთავრისა, იმპერატორის  
 თეოდოსიანისაგან მოვლინებულთა განსახილველად გარდამავლობისა, რომე-  
 ლი იქმნა სამიმერატოროთა ანდრიანთა დამზობითა. — კითრი შესაბამად და  
 კეთილ ქამიერად ვიგალობეთ ჩვენ აჲ ყოველთა...“ (181r—191r); „სწავლა  
 მეათორამეტე, შემთხუშვასა ზედა ზემოგანცხადებულისა აღრეულკებისასა, ეგ-  
 რეთვე სამოციქულოსა სიტყუასა ამას ზედა: ვიხაროდენ მარადის უფლისა  
 მიერ. — მრავალნი ვიხილენ მე მოსრულნი...“ (191v—200v); „სწავლა მეათცხრა-  
 მეტე მხოფრეთსა კვირთაეცა, შემდგომად პასქისასა, ქმწყანის-მოქმედთა მი-  
 მართ, ეგრეთვე ფიცთაგან ლტოლვისათსცა. — გარდასარულთა დღეთა შინა  
 იმუშდებით თქმენ...“ (200v—211v); „სწავლა მეოცე, მისთვის, ვითარმედ მხო-  
 ლოდ მარხუა ორმეოცი არა კმა არს სრულისა განმზადებისათვის საღმრთოსა  
 მიმართ ზიარებისა და ვითარმედ მოითხოვებიან ამასდა უმეტეს სათნოებანი  
 გულისა და სულისა ჩუშნისანი, ეგრეთვე, თუ ვითართა სახითა შუშნისა ჩვენსა  
 და ბოროტებად და ვითარმედ ამის სათნოებისა მიმართ აქუს ღმერთსა საკუ-  
 თარი სათნოყოფა. ეგახედდევ, ვითარმედ ძვირის ხსენება ჭერეთლა უწინარეს

საუკუნოსა სატანჯველისა დასჯის კაცსა უკანასკნელ ფიცთაგან ყენებისმუნს და მოთვის, რომელთა ჯერეთ არა ეგრეთ განუმართავსთ თავი თვისი, რათამცა სრულიად დაუტენეს ფუტუანი. — აჰა ესერა მისდრკების მარჯუა დასასრულისა მიმართ...“ (212r—228v); „ჰსწავლა ოცდამეერთე, უკმოქცევასა ზედა ქლბიანი ეპისკოპოსისასა და იმპერატორისაგან შეწყალებასა ზედა ქალაქისასა, ეგრეთჲ შემცოდნებელთა მიმართ ბრალეულად აღმოჩენილთა დაძახობასა შინა ჭანდაცბულის სახისასა. — ეჲლად სიტყუათა მათგან, რომელთა მიერცა ქამსა შიშნეულებათა...“ (231r—245r).

2. აკლია მერვე და მეცხრე სწავლა (იდ რვეული), ეს ის მასალაა, რომელიც A—374-ში ინახება ფრაგმენტის სახით.

3. ტექსტი ნასწორებია თვით მთარგმნელის ტარასი მღვდლის მიერ.

4. ტექსტი თარგმნილი უნდა იყოს წიგნიდან: **Иоанн Златоуст, Беседы к Антиохийскому народу, Москва, 1778 г.**

5. ამ ხელნაწერის ნაწილი ფ.ფ. 24—245 (ძვ. აღრიცხვით 35—255) აღრე ინახებოდა A—375 ნომრის ქვეშ.

**ანდერძი:** „ითარგმნა რუსულით ტფილისს ფერისცვალების მონასტერსა შინა 1838-სა წელსა აპრილის 13. მ. ტ ა რ ა ს ი“ (245r).

## 378

## კურთხევანი. XVII

92 ფ.; 15×10,5; აქვს რვეულებრივი სათვალავი, ქალაღი, დალაქავებული; ხელნაწერის აღწერის დროს მას ჰქონდა ყავისფერი ტყავადაკრული ხის ყდა, ზემო ყდა გატეხილი იყო, ქვემო ყდაზე კი ტილის ქსოვილი იყო შეიკნიდან გამოკრული. ამჟამად ხელნაწერი რესტავირებულია და ახლავ შეიკნიძელი. აქვს შინლისფერი კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა, ყუაზე ყავისფერი ლედგინით. ტილის ქსოვილი ხელნაწერიდან ამოღებულია. აქვს ყდის საცავი ფურცლები; თავბოლონაკლული, ამოვარდნილია ფ. 4—5; ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურიით; [XVII ს.], აქვს ჰვირნიშანი.

[კურთხევანი] — „... ესე შენი იქსნა მონებისაგან მტერისა და შეიწყნარე სასუფეველსა შენსა...“ 1r—92v.

წყდება: „... ვიდრე შეილისა შეილთამდე გამოაჩინე და...“

**შენიშვნა:** შედგენილობა: „... ლოცვა წმიდის ნათლისღებისა“ (4v); „ლოცვა ახლად ნათლისღებისა დღეს მერვესა“ (11v); „განგებამ გვრჯნთა კურთხევისა“ (12v); „ლოცვა ახმლნი გვრჯნთასა“ (20r); „წესი, რომელი აღესრულების დაფლვისა შესუშნებულისა“ (20v); „ლოცვა შესუშნებულნი“ (29v); „ლოცვა შემურვისა“ (33v); „ლოცვა ჩჩულთა ზედა აღსრულებასა“ (31v); „ლოცვა მღვდელსა ზედა აღსრულებასა“ (35r); „სხვა ლოცვა მღვდელთა ზედა აღსრულებასა“ (35r); „პანაშუდი, რომელი იქსნის მიცვალებულთა ცეცხლისაგან სატანჯველისა“ (37v); „კურთხევა ბაიასი“ (60r); „კურთხევა საკითხავისა საღვთოსა“ (62v); „კურთხევა საკლავისა საღვთოსა“ (64r); „კურთხევა საკლავისა სულისათვის მიცვალებულისა“ (64v); „კურთხევა მართლისა კარვისა“ (65r); „სამთვარიო მართალი და ჰეშმარიტი“ (66r); „წესი და განგებამ მათ ზედა, რომელნი წვალებისაგან მოიქცეს“ (80r); „უკეთუ არა წმიდათაგან რამე შთავარდეს წყაროსა ანუ ჭაურღმულსა“ (81v); „ლოცვა ყოველსავე საქმარსა ზედა შეგინებულისა“ (83v); „ლოცვა ყოველსავე ჰაურჰელსა ზედა შეგინებულისა“ (84v); „განგებამ უკეთუ არა წმიდათაგან რამე შთავარდეს შეგინებულთა ჰაურჰელს შინა ზეთისასა გინა ღვინისას“ (85v); „ნუგეშინის ცემა, რომელი წარიკითხვის მიცვალებულისა სულისათვის...“ (86r); „ლოცვა აღჰენების სახლისა“ (92r).

2. ტექსტში გვხვდება ა-მეტობის შემთხვევები.



## 379

## გულანი. 1716

I+199 ფ; 44×32; ქალაღი, დალაქაეებუღი, შიგადაშიგ დაზიანებუღი (კიდებშემოცვეთიღიღა ფ. 25, 113, 121, 126, 128. სინგურღა გადასუღიღა 94r-ზე); შავი ფერის ტვიფრუღი ტყავეგადაკრუღი ხის ყღა, დაზიანებუღი. ჰქონიღა ორი ტყავის საკეტი ლითონის ბალთებით, შემორჩენიღიღა ერთი. ნუსხური, ორ სვეტად. სათაურებღი და დასაწყისებღი სინგურით. ყოველი ახალი თვე იწყევა თაღისებრი თავსაგუღი, რომელშიც სათაური ჩაწერიღიღა ჩართუღი ასომთავრუღით, შესრულებუღი მეფის ერეკლე I-ის ასუღის მარამ ბატონიშვიღის მიერ (1r, 75r, 115v, 155v); 1716 წ. (198v); გადამწერი ზაქარია ჰალიაიშვიღი (198v); დამკვეთი: ალავერდელი ნიკოლოზი და ბატონიშვიღი მარამ-ყოფიღი მაკრინე (198v); დაუწერღიღა: Iv, 199v; ამ ხელნაწერის გაგრძელება A—38r, ხოლო დასაწყისი — A—366.

[თვენი]. — „თვესა იანვარსა აქეს დღე ლა, დღეთა აქეს ყამი ო და დამე-თა აქეს ყამი იდ. თვესა იანვარსა ა, კორცითა წინადაცვეთა უფლისაა ჩვენისა იესუ ქრისტესი და წმიდისა მამისაა ჩვენის დიდისა ბასილის, კესარია კაბადუქისა მთავარებისკობისა. — მწუხრი უფალო დღადყავსა. უქცევთ რვა-თა მუჯღთა ზედა და ვიტყვთ დღესასწაუღისათა ჳამა დ გ-ი. ედემი. — წესი ყოველი აღასრულე შენ შჯუღისა და მაღღისაა წინამძღუეარმან და მკსნელ-მან ყოველთამან...“ 1r—198v.

**შენიშვნები:** 1. შვიცავს ოთხი თვის (იანვარ-აპრიღის) თვეების მასალს. ფურტუღობრივი მხედრუღი ანბანური აღრიცხევა აგრძელებს A—366-ის ფურტუღობრივ აღრიცხევის, რომელიც ამ ხელნაწერის დასაწყისს წარმოადგენს.

2. თვენიშუ შესუღიღა ქართუღი მასლაღ: „თვესა იანვარსა წ, წმიდისა მოწამისა ა ბ ო ს ი, რომელი იწამა ქალაქსა ტფიღისსა ქართღს“ (27v); „თვესა იანვარსა იდ, წმიდისა დედისა ჩვენისა ნინოსა“ (39v); „ქებით უგაღობ სასოსა ჩემსა ნინოს არსენი“ (42v); „თვესა იანვარსა კა, ქსენებამ წმიდისა დიდისა მეფისა დავით აღმაშენებელისა“ (63v); „თვესა მარტსა კ, ღირსთა მამთა ჩვენთა, რომელნიცა წმიდასა საბაღას დავრას მოიხრნეს. ამასვე დღესა წმიდათა დიდებულთა მოწამეთა ორთა დიდთა მეფეთა ქართველთასა არჩიღ და ლუარსაბიღსა“ (137r); „თვესა აპრიღსაა იე, წმიდათა მოწამეთა მესუქეველთა სუქიასი და მოყვასთა მისთა ქართველთა“ (174r).

3. ხელნაწერის კიდებზე მიწერიღიღა: ა. გადამწერის შენიშვნები: „უწინ ეს წარდგომა წაიკითხეთ და მას უკან ამის ზემოთ რომ სწერია ის წაიკითხეთ. წინამ უკან მომივიდა დაწერა. ღვთის მაღღსა, ნუ დამწყევთ“ (2v); „ამ გვერდზე ავი ჳელი დავწერე, დიღ ავი ქალღღი იყო, ძმანო, ნუ დამწყევთ ღწიგუღისათუს. დიღ გამსარჯა“ (3v); „ძმანო, ნუ დამწყევთ ღწიგუღისათუს, დიღ შეუძღოდ ვიყავ, თავი ჳელთ არა მქონდა, ტრიქონი გარდამეცალა“ (39r); „ამ ქალღღმა გამაჯერა“ (82v); „ძმანო და მამანო, თავღ დასდებულად ყოველი სასოებამ უნდა“, ტიბიკონამა ის გაუჩინა, სტიქარონს ჳეშმოთ სხუღა უფაღო ღყი ავღ სწერია“ (143v); „ძმანო, ნუ დამწყევთ ღვთის გუღისათუს, ამ ქალღღმან, დიღ, გამსარჯა“ (149v); ბ. სამღვეღღმასხუღო მიითებებღი: „ეს მუჯღი ბ-ჯერ ბრძანე“ (1r); „წმიდის სიღიბისტროს ოხითა სეღღენებრს ბ იდიე, კანონად სარწმუნეზი“ (6v); „ძიღის პირი ბბ-ჯერ, დასდებუღი დღ-ჯერ“ (24v) და ა. შ.

4. კიდებზე სავაღობუღებთან მიწერიღიღა ავტორთა სახელებღი: „ი ო ვ ა-ნ ე“ (3r, 3v, 4v); „თ ე ვ დ ო რ ე“ (3r, 3v, 4r, 4v); „ოხითა ანტონი ქართვეღისა“ (49r); „ი ო ს ე ბ“ (167r).

5. წარმოადგენს თვენიდან დაახლოებულ საღღღსასწაუღოს. იბ. ვ. კეკელიძე, მეთვრამეტე საუკუნის ქართუღი ლიტერატურის ისტორიიღამ (ლიტერა-

ტრული ძიებანი, VIII, 1953, გვ. 158, 160, 168, 169 ან „ეტაუღები“ IV, გვ. 232—243); მისივე, მაკრინეს ლიტერატურული მემკვიდრეობა („ეტაუღები“ XIII, 1974, გვ. 26—54); მ. ქავთარია, ძვ. ქართული პუბლიის ისტორიიდან XVII—XVIII სს. 1977, გვ. 87, 208, 278, 282; მისივე, XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან („მაყნე“, ენისა და ლიტერატურის სერია № 2, 1975, გვ. 81); მისივე, XVIII ს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (მრავალთავი, II, 1973, გვ. 98); ე. გაბიაშვილი, სენაქსარული რედაქციები (XI—XVIII სს.) (ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 1968, გვ. 44, 236, 301, 302, 304, 433); ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, 1936, გვ. 43.

**ანდერძები:** 1. (თავსამკაულში) „ასომთავრულისა ამის მწერელი ბატონიშვილი მარიაამ მოიხსენე უფალო იესუ ქრისტე“ (1r).

2. „სრულ იქმნა იანვარი კელითა ფრად ცოდვილის ზაქარიასითა. ღმერთო, შემიწყალე“ (74v).

3. „მკნეო შორის მოწამეთაო და მკედაროა უფლისაო, დიდებულო გიორგი, შემწე მექმენ მშრომელსა ამ ასომთავრულისა ბატონის შულს მარიაამს, რომელმან დაეწერე თუთ კელითა ჩემითა და რაოდენთა აღმოიციხითო, შენდობაჲ ჰყავთ“ (75r).

4. „რაოდენთა იხილოთ ასომთავრული ესე, ესენებულ მყავთ შენდობით ბატონიშვილი მარიაამ შრომისა ამისთჳს“ (115v).

5. (მხედრულით) „მოწამეთა შორის მნათობო გიორგი, შემიწყალე ბატონისშვილი მარიაამ, მწერალი ასომთავრულისა ამის“ (155v).

6. „სრულ იქმნა კელითა ჩემ ცოდვილის ზაქარია ქალაქსა ისათა ოთხი თვენი: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, და სრულ ზატიო. ვინც მიემთხვივნეთ, წმიდანო მამანო, შენდობას ბძანებდეთ ღმერთსათჳს. რაოდენ ძალ მედგა, სიკეთეს ვეცადე, თუ რამ დამეშევებინოს, ნუ დამწყევთ, ქრისტეს სიყვარულისათჳს, არამედ მომიხსენეთ“ (198v).

7. „ეჲ, აღმოცენებულო ყოვლად შუქნიერად კეთილ ხეო, საყოფიეროა, დანერგულო მდინარესა მას თანა სულისა წმიდისასა, რომელსა რტინი გარდაეფინეს ყოველთა კიდეთა ქუწყნისათა და განისვენებენ მისდა ყოველნი მსახურნი სამებისანი. რომელი ევე დაშუშრ ღმრისმსახურებისათჳს და საწველითა მით სათნოებისათა წარმართე ორნატი იგი ღოაწლისა შენისა და მიუძღვანენ სამოცეული და ასეული, რამეთუ ცრემლით სთესე და სიხარულით მოაჲკე და მისცემ უხუად მადლსა მას მონიჭებულსა ღმრთისა მიერ შენისა უსასყიდლო ყოველთა მვედრებელთა შენთა, და აწ მეცა, თანამედბი ესე ბევრისა ცოდვითა ტლანტისა, ვითხოვ შეწვენასა შენსა, —სარჩელსა მას კაცსა განაჩისასა წინაშე მსაჯულისა, რომლისა იქმენ ერთგულ მოწამე სისხლთა ნაკადულითა და ეწამე პირველ წამებასა ოცდა ოთხთა ქუძლისა სჯულისა წესთასა და წერილებასა სულისა მიერ წმიდისა უწყებულსა. ხოლო მამათა მათთა ათორმეტთა მამათაგართა ღრამატიკობასა და მისწავებასა, რომელმან გულის-ემაჲ ჰყავ, თუ ვითარ საღმრთოთასა სიყვარულისა მიერ განიმრთდების კაცი მიწიერი, და ზეშთა ბუნებისა იქმ საკურველებათა, რომელმან მოაკლდინე უხილავისა მძაძოლისა თანა ხილულიცა ვეშაბი და ივსნენ დაღონებულნი ერნი კორციელისა და სულიერისა ტყულობისაგან. და აწ ტაძრისა შენისა მიერ საკურველომკემდე უხვად მიმცემლობითა კურნებისათა, რამეთუ აღდგენილთა გამოცხადებითა მაცხოვრისათა სამას სამოცდა ხუთთა დღეთა წელიწადისათა თითო სახეთა სენთა და საღმრთობათა კურნებაჲ და ხუტისა ურმის თვალისა და კრების განართხნისათვისა წარკუთმისა და ასოტულად დაჭრისა წილი, მიერ დღითაჲ, ვიდრე მეორედ მოსვლადმდე, იქმ დიდ-დიდთა საკვირველებათა, რომელთა ენა კაცთა ვერ გამოიტყუს, ჰკურნებ და იხსნი ჰირვეულთა, განასხამ სულთა არა წმიდათა, აღადგენ დაერლომითა შეწევით ქერითა, ჯილსა აღუპყრობ ოზოლთა და სცემ ამპარტავანთა, ხოლო კეთილად მსახურთა ყოველთა წინამძღუარ ექმნები. ვინ ღირსა შენთა მოწყალებათა გემსახუროს, ყოვლად ბატონისანო? ვინ შენთა ღირსებათაგერ გმონოს, ყოვლად ბრძენო? ვინ შენთა ახოვნებათაგერ გადიდოს, შენ, სახიერო? ვინ შენთა ქუძლისა მოქმედებათაგერ გუნს მოღვაროს, ყოვლად მწყალობელო? ვინ შენთა ზედა მოღვაწეებათაგერ მოქმენ გეყოს, რომელ ურუ-



ლო მოქენე ხარ ქრისტეს მიმართ მისთა მართლმორწმუნეთათჳს? რომელშია  
კაცთაგანმან ღირსად ილიტანოს რაითნი პარაკლის მედრებელობანი, ანუ რაა-  
მე ღირსი მძინობისა იმემსხუტრბლეს კაცთა ბუნებაჲმან, დიდებულო გი-  
ორ გი? გარნა ვითარცა ყოველსავე ზედა ექმენ მობაძე მეუღესა შენსა, ამას  
ზედა აღასრულე საქმით მსგავსებაჲ მისდა და ნუ უგულებელს ჰყოფ შეწი-  
რულსა ამას შემწირველთაგან. და მე, მოშაკსა ამისა მღელე-მონაზონს ზა-  
ქარია ქალაა შვილს მექმენ შემწე და მომტევებელ ცოდვითა ჩემთა,  
რამეთუ თვთ შენვე უწყი, ვითარი იყო სურვილი შენი გონებასა ჩემსა. დაი-  
წერაჲ წიგნი ესე სრული საწელიწდო ბრძანებითა ამბაჲ ალავერდელის ნიკო-  
ლოზისთა და წარსაგებელთა საფასისათა ბატონის შულის პარიამ-ყოფილის  
პაკრიცესთა. საუკუნომცა არს ესენებაჲ მისი, ქორონიკონსა ოდ“ (198v).

მინაწერი: (ფანქრით) აღრიცხულია ორას ერთი (201) ფურც. ნ. კ. (199r).  
იხ. მინაწერები: Ir, 198v.

380

## გულანი. 1716

I+198 ფ; 44×30; ქაღალდი, დალაქავებული. დაზიანებულია ფ. 33, 46,  
73, 77; გაცვეთილი შავი ფერის ტყავგადაკრული ხის ყდა. ჰქონია ორი ტყავის  
საკეტი. ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით. ყოველი ახალი თვე  
იწყება თაღისებური ფორმის თავსამკაულით, რომელშიც სათაური ჩაწერილია  
ჩართული ასომთავრულით, შესრულებული მეფის ერეკლე I-ის ასულის მარიამ  
ბატონიშვილის მიერ (1r, 49r, 101r, 146v); [1716 წ.] (იხ. ამ ხელნაწერის და-  
საწყისი—A—366-ის და A—379-ის აღწერილობა) გადაწერი: მახარებელი (61r,  
71v); დაუწერელია: Iv, 77v-ს I სვეტის სამი მეოთხედი და I სვეტი, 78r-ს  
I სვეტის ნახევარი, 146r-ს II სვეტი, 197r-v, 198v.

[თვენი]. — „თვესა მაისსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს ქამი იდ და დამე-  
თა აქუს ქამი ი. — ჩუჭულებისაებრი ფსალმუნებაჲ, დასდებელნი წმიდისანი  
და ღლისანი, და, ეგრეთვე, გალობანი, ჳა დ გი. ში სასწაული. — ჰოჲ დი-  
დებულო ღმრთისმეტყულლო, იხილე რაჲ სულითა მბოვარებაჲ ქალაქისაჲ, ნე-  
ბითა ღმრთისათა დაჰვარე კიდობანი სჯულისა...“ 1r—196v.

შენიშვნები: 1. შეიცავს ოთხი თვის (მაის-აგვისტოს თვეების) მასალას,  
ხელნაწერის ფურცლების მხედრული და რვეულების ნუსხური ანბანური აღ-  
რიცხვა აგრძელებს ხელნაწერების A—366-ის და A—379-ის აღრიცხვას. ეს  
ხელნაწერები წარმოადგენენ წინამდებარე ხელნაწერის დასაწყისს.

2. თვენში შესულია ქართული მასალაც: „თვესა მაისსა ჳ, წმიდისა მამისა  
ჩუშნისა იოანე ზედაძნელისა“ (8v); „თვესა მაისსა იგ, წმიდისა და  
ნეტარისა მამისა ჩუშნისა ეფთჳმისი“ (23v); „თვესა ივნისსა ლ, წმიდისა  
მამისა ჩუშნისა გიორგი მთაწმიდელისა“ (97v); „თვესა ივლისსა  
კდ, წმიდისა მოწამისა ბიძინა ქართველისა“ (135v); „თვესა ივლისსა  
კთ, წმიდისა მოწამისა ევსტათი მცხეთელისა“ (142v); „თვესა აგუს-  
ტოსა გ, წმიდისა მოწამისა რაქდენისა, რომელი იფამა ქართველს, სო-  
ფელსა წრომსა“ (150r).

3. ხელნაწერის კიდებზე მიწერილია: ა. გადაწერის შენიშვნები: „უფალ-  
ნო ჩემნო, უწყოდეთ, რამეთუ ყოველს კელით დაწერილს თვენებში ამ წმიდის  
ირინეს დღესასწაული ოთხს მაისს სწერია და ახლა სტამბაში ზუთს დაუ-  
წერიათ, ოთხს პელაგიასი, და მეც ისევ პირველულად დაესწერე, დედა-  
შიაც ისე ეწერა. და ახლა ოთხს მაისს პელაგიასი უნდა და ზუთს მაისს  
ირინისი უნდა. უფალნო ჩემნო“ (5r); „ნუ შეჩუჭნებულ მყოფთ, უფალნო  
ჩემნო, უწყის ღმერთმან, რამეთუ დედაშიაც შეცვილო ეწერა პახუმიის  
სვინაქსარი, ზედ მობმული ჰქონდა, და მეც ისრე მომივიდა, როგორც დედაში  
ეწერა, და ამოფხიკე და მას უკან ეგრეთ დაეწერე“ (28r);

„უფალნო ჩემნო, ეგ ღამითგანის მესამე მუკლი რომ არის, წათლითა შე-  
 ნითას“ გარდასათქმელი, დედაშიაც ისრე ნაკლებად ეწერა და მეც ისრე დაეწე-  
 რე. სხუას დედაში ეგ მუკლი არსად ეწერა, თუ წინწილზე კარგად არა მოვიდეს,  
 მე ნუ მბარალობთ, უწყის ღმერთმან, სხუას დედნებში ვეძებე და ვერსად  
 ვპოვნე ეგ მუკლი“ (44v).

„უფალნო ჩემნო, ეგ ნიკიფორეს „გამოავლინე“ დედაში გაჩენილი  
 ჰქონდა და მე თან დასეწერად(!) მინდოდა, ბევრ რიგად ვეცადე და ვერსად  
 ვიპოვნე“ (51v).

„უფალნო ჩემნო, თუ შეჩუქნებულ მყოფთ, ამა იუ და მიციქულის სა-  
 ვალობელს დედაში კზა, აკზა, აზა და გამოავლინე ყოველი აკლდეს ამა გ  
 გ-ის კმისანი. უწყის ღმერთმან, ფრიად ვილუაწე ამისს პოვნისათუს, ჩაგრამ  
 ვერ ვპოვე. ადგილი დაღვდე ეგერა, ვითარცა ხედავთ და აწ უკუმაუ ინებოს  
 ღმერთმან და პოოთ სადმე ამისი შემდგომი, ღმრთის სიყუარულისათუს, დაუ-  
 წერელს ნუ დაავდებთ. გალობანი სხუაც დამიწერია, ემა გალობარე წინაშე თუ-  
 ალთა თქუწნთა არს მუნით, ივალობეთ. უფალნო ჩემნო, ესე რვეული ცხზა  
 ფურცელ არს“ (76v); „ესე მუკლი თუ სწორად არ მოვიდე, მე ნუ მბარალებთ“  
 (116v); „აქა არ იყო მუკლი“ (125r); „უფალნო ჩემნო, დედაში ეგ სუნაქსრისა  
 ამოხებული იყო (126v), (როგორც ხელნაწერიდან ჩანს ეს ადგილი თითონ შეუე-  
 სია); „ქუტყანასა მწყურნზსა გაუჩინა ტიბიკონმან და არსად იყო, უფალნო  
 ჩემო“ (192r). ზ. სამღვდელმსახურო მითითებები: მაგ.: გვ. 28v, 35v, 40r, და  
 ა. შ.

გ. საგალობლების ავტორები: „იოანე“ (14r); „თეოფანე“ (18r,  
 28v, 29v, 37r, 38v); „იოსებ“ (43r); „ეგნატო“ (49v, 51v, 55v).

დ. იმ წმინდანების სახელები, რომელსაც ეხება მის გასწვრივ მოთავსებუ-  
 ლი ტექსტი. მაგ.: 184v.

4. ხელნაწერში ნაკლებად ადგილებთან დატოვებულია თავისუფალი ადგი-  
 ლები, რათა შემდეგში შეძლებისდაგვარად შეეცნოთ იგი. ასეა შევსებული მო-  
 გვიანებით 160r-ს I სვეტის დაუწერელი ადგილი.

5. ამ ხელნაწერის შესახებ იხ.: კ. კეკელიძე, XVIII ს. ქართული ლიტერა-  
 ტურის ისტორიიდან (ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953, გვ. 168—169; ან  
 „ეტიუდები“, IV, გვ. 234, 242, 243); მისივე, მაკრინეს ლიტერატურული მემკვიდ-  
 რეობა („ეტიუდები“, XIII, 1974, გვ. 27, 28); მ. ქავთარია, ძველი ქართული  
 პოეზიის ისტორიიდან XVII—XVIII სს. 1977, გვ. 87, 112, 117, 203, 380); მის-  
 სივე, XVIII ს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (მრავალთავი, II, 1973,  
 გვ. 98), ე. გაბიაშვილი, სვინაქსარული რედაქციები (XI—XVIII სს.) (ძველი  
 ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გვ. 311, 317),  
 ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, 1936, გვ. 43.

ანდერძები: 1. (მხედრულით) „მეოხ მექმენ წინაშე ღმრთისა, მოწამეო გ-  
 ო რ გ ი, ასომთავრულისა ამის მწერალს ბატონისშვილს მარიამს თვით  
 კელითა თვისითა მშრომელს“ (1r).

2. „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი მახარებელი“ (25r, 51v, 71v).

3. „უფალო, შეიწყალე ცოდვილი მახარებელი“ (36v, 55v).

4. (მხედრულით) „წმიდაო გიორგი შემიწყალე მშრომელი ამის ბატონ-  
 ისშვილი მარიამ, მაკრინად კობილი“ (49r).

5. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი“ (82v).

6. (მხედრულით) „ღიდებულო მკედარო ქრისტესო გიორგი, მიოხე გან-  
 სჯასა ჩემსა კელითა ჩემითა მშრომელსა ასომთავრულისა ამის ბატონისშვილს  
 მარიამს“ (101r).

7. „ღმერთო შეიწყალე“ (106r).

8. „გიხაროდენ შენ“ (108r).

9. (მხედრულით) „მკნეო შორის მოწამეთაო, ღეწლმრავალო ვიორგი,  
 მოიხსენე ბატონისშვილი მარიამ, მაკრინედ კობილი, მშრომელი ასო-  
 მთავრულისა ამის“ (146v).

10. „გიხარონ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი... მშკდთა მრ-  
 ვალ არს ცოდვთა შინა, ამინ, ალა“ (151r).

მინაწერები: (XVIII ს. ხელით) „თვენის ფურცელი ექვსას და ათი. თვე-  
 ნის რვეული სამოცდაჩვიდმეტი“ (196v).

2. (XX ს. ხელით, ფანქრით) „აღრიცხულია ასოთხმოცდაჩვიდმეტი (197)  
 ფურც. ნ. კ.“ (198r).

იხ. მინაწერი: 1r.

## 381

## კრებული. 1837—1838

I+284 ფ.; 33×20; აქვს გვერდობლივი ანბანური აღრიცხვა; სხვადასხვა  
 ქაღალდი, დალაქავებული, ზოგიერთი ფურცელი იქონიან მელანს; ყაქაფერი  
 ტყავგადაკრული ხის ყდა, დაზიანებული, (ჰქონია სამი საკეტი), ზემო ყდა და  
 ყუა მოცილებულია ხელნაწერს; ამოცვენილია ფურცლები: 1—47, 92—97; აკ-  
 ლია 47v-სა და 48r-ს შორის. 240v—241r-ს შორის ამოჭრილია ფურცლები;  
 მხედრული, სხვადასხვა ხელი, ორ სვეტად დაწერილია ფ.ფ. 264r—269r; 1837—  
 1838 წწ. (144v, 161v), აქვს ჭვირნიშანი; გადამწერები: ანნა, არაგვის ერისთვის  
 ბეჟან საირიდანის ძის ასული (144v), სოფრონოსი (281r), ტარასი ალექსიევი  
 (277v); დაუწერელია: 1v, 2v, 3v, 8v, 13v, 25v, 33v, 39r, 40r—42v, 43v,  
 61r-v, 69v, 92r-v, 97r, 98r, 104v—105r, 117r, 145r—146v, 162r—163v, 178v,  
 197r, 205v, 219r-v, 224v, 231v, 233v, 240v, 248v, 261v, 278r-v, 281v, 282v—  
 284v; ხელნაწერის ძველი ნომერია  $\frac{122}{2}$  (1r).

[კრებული]. 1. [ლექსი] —

„ა. ეშა, უღალი ქვეყნის მპყრობელი,  
 ადამისათვის გვერდ განპობილი,  
 ოთხ კუთხ ქვეყნისას მამად ხმობილი,  
 დედა მარიაჲ, ქრისტეს მშობელი...“ 1r-v.

შენიშვნა: შედგება 8 სტროფისაგან.

2. „დედაც უფლისაც. —

იტყვის, სადა ხარ შეილო,  
 ურიათ შეპყრობილო,  
 ჯვარზედ ვით-ვით გიჩილო  
 ნათელო, ბნელთა ჩრდილო“ 1v.

3. [ლექსი]. —

„მეგონა გვამი უსულოდ სამარედ დიდებოდა,  
 წესით განმყოფი თვის-თვისად საფლავად შეიცვებოდა... 1v.

შენიშვნა: როგორც ლექსიდან ჩანს, ავტორი ნიკოლოზ დეკანო-  
 ზია: „ნიკოლოზ დეკანოზი მოსკოვს ვმყოფობ ლექს დაწერი“.

4. „ზანდუკი საუფლოთა მეტაფრასათა...“ (დაუმთავრებელი). 2r.

5. „სწავლანი გამოკრებულნი სულიერნი დიდთა წიგნთაგან მარგარიტი-  
 სა. დაბადებისაგან. — დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა, და ქვეყანა  
 ესე იყო უხილავ და განუზომელ, და ესე არს იგი უცნობელ ხორცთა შესხმა  
 ქალწულისაგან...“ 3r—5v.

შენიშვნა: ამის შესახებ იხილე: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ის-  
 ტორია, ტ. I, 1960, გვ. 451—452.

6. „თამარ მეფის საფლავსა ზედან დაწერილი. —

„ოდესმე ნაპარმაკევსა შვიდნი მეფენი სუფრასა ზედა დამესხნეს...“ 6რ.

7. „გამოცხადებისათვის მეღქისედევისა. — შვა ასელა სალი და სალმან შვა მეღქინ...“ 6v—8r.

შენიშვნა: იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 200.

8. „პარაკლისი სავედრებელი წმინდისა დიდებულისა დიდისა მოწამისა და ძლევამოსილისა და საკვირველთმოქმედისა გიორგისა. — მღვდელმან „კურთხეულარსი“ ბიძანოს და შემდგომად — „მეუფეო ზეცათაო ნუგეშინის მცემელო“ და სხვა...“ 9r—13r.

9. „შესხმა წმინდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისა, რომელი სთქვა წმინდამან ბასილი კესარიელმან ღღესა მას ღვაწლისა მის წმინდისასა. — მარადის ბრწყინვალე და ყოვლად ქებულ არიან წმინდათა მოწამეთა სახსენებელნი...“ 14r—25r.

შენიშვნა: იხ. კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, V, გვ. 19. წარმოადგენს „ოთიკის“ მეორმოცდაათე თავს, თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ.

10. „წმინდისა და ყოვლად ქებულისა დიდისა ქრისტეს მოწამისა დიმიტრის წამება და ცხოვრება. — ესე წმინდა და დიდი მოწამე დიმიტრი იშვა ქალაქსა თესალონიკისასა...“ 26r—33r.

11. „თვესა ივლისსა იმ, წმინდისა მამისა ათანასესი, რომელი იწამა ქალაქსა შინა ყილიზმას, რომელ არს ეგვიპტეს. გ. მ. — იყო მეფობასა დეოკლიტიანესსა და მაქსიმიანოსსა, უღმრთოთა მათ და უკეთურთა მეფეთასა...“ 34r—38v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია, იხ. კ. კეკელიძე, მარტილობა ათანასე კულიზმელისა, (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VIII, გვ. 56—70).

12. „გამოცხადება ჯვარისა, თვესა იანვარსა კთ, რომელ ზეცით ეჩვენა დიდსა კოსტანტინე მეფესა. — მეშვიდესა წელსა სუფევასა დიდისა კოსტანტინე მეფისასა, თვესა აპანს ძველსა, რომელ არს იანვარი, შეკრბა დიდძალი ერი...“ 44r-v.

შენიშვნები: 1. გამოცემულია: სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 237—243, 293; ნაწყვეტი — ა. შანიძე, ძველი ქართული ქრესტომათია, 1935, გვ. 45—52.

2. ამ თხზულების ავტორის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, V, გვ. 89; თ. მგალობლიშვილი, კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი რამდენიმე საკითხავის დადგენისათვის („მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, № 3, 1971, გვ. 59).

13. „პოენა პატიოსნისა ჯვარისა. — და იყო მას ეამსა შინა მეფობასა კოსტანტინე დიდისასა, რომელი იყო მეფე, და დედა მისი ღვთისმოყვარე, რომელსა ერქვა ელენა დედოფალი...“ 45r—47v.

წყუდება: „... მაშინ კითხა ღვთისმოყვარემან ელენა დედოფალმან, რომელი არს...“

შენიშვნა: იხ. კ. კეკელიძე, მოქცევაჲ ქართლისაჲ (ლიტერატურული ძიებანი, I, 1943, გვ. 21, შნშ. 3, ან „ეტიუდები“, I, გვ. 21, შნშ. 3); მისივე,

„ეტიუდები“, V, გვ. 90; თ. მგალობლიშვილი, კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი რამდენიმე საკითხავის დადგენისათვის („მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, № 3, 1971, გვ. 59).

14. „თვესა სეკდენბერსა იდ, ნეტარისა ანდრია კრიტელისა სიტყვანი და მოთხრობანი ყოვლად მსოფლიოსათვის ამალღებისა პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა გ. მ. — აღვსძრათ დღეს, საყვარელნო, ბავენი სახედ და მაგალითად ბობლნისა, და აღვიღოთ საფსალმუნე, და ორღანოსა უვალობდეთ ღმერთსა, უვალობდეთ გულისხმის ყოფითა...“ 48r—51v.

**შენიშვნები:** 1. 50v-ს ზემო ნაწილი დაუწერელი დაუტოვებია კადამწერს. ამის მიზეზი იქვე კიდევ აღუნიშნავს: „ზეით არ დაიწერებოდა, აქ აღმოიკითხეთ“, მართლაც, ამ გვერდის ზემო ნაწილში მელანია გამოქონლია.

2. თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ იხ. Q კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ტ. I, გვ. 116; ელ. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. 1, გვ. 115—125); თ. ბრევაძე, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმანი ძეგლები (მრავალთავი, I, 1971, გვ. 432).

